



ქათაჲნი: ენი: ნუთისთჲნი:

••: ეთჲნი: ეთჲნი: ••



ბიორგი გობოლაშვილი

ქართული ენის  
წუთისოფელი

თბილისი 2021

რელაქტორი მურმან თავდიშვილი

ტექნიკური რელაქტორები: ლევან ვაშაკიძე,  
ირაკლი ავალიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი  
გარეკანის დიზაინი

## წინათქმა

ვაჟა-ფშაველა ფიქრობდა: „ვეფხისტყაოსნის“ სიღიადეს განსაზღვრავს ისიც, რომ იგი ქართულ ენაზე დაიწერა: „როგორ შეიძლებოდა, თქვენვე იფიქრეთ, რუსთაველს მონგოლურად ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“? ან დიდი მცოდნეც რომ ყოფილიყო მონგოლურის ან არაბულის ენებისა და მათ ენაზე დაეწერა თავისი უკვდავი ნაწარმოები, ის იქნებოდა, რასაც ღღეს ვხედავთ? არც მესამედი!...“ რატომ? – პოეტის აზრით, ქართული ენა არის ის უდიდესი სიკეთე, რაც „ვეფხისტყაოსანს“ სძენს უკვდავებას!...

მაინც რა არის ქართული ენა? როგორ განვმარტოთ მისი არსი? – ენათმეცნიერის პასუხი ამ კითხვაზე ვერ იქნება ლაკონიური და შთამბეჭდავი. ლაკონიურად და შთამბეჭდავად პოეტს შეუძლია თქვას:

„ქართული ქართველთ რწმენაა!  
ღმერთია!  
ბედისწერაა!  
ზღვა როა –  
იმოდენა!“

(მუხრან მაჭავარიანი)

სხვაგვარად დავსვათ კითხვა – რას წარმოადგენს ქართული ენა ქართველი კაცისთვის? – პოეტი ასე უპასუხებს ამ კითხვას (როს ქართულ ენას მიმართავს):

„შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,  
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა...“

(ირაკლი აბაშიძე)

ქართული ენის სიდიადეს ასე აღიქვამს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა, უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნებებზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია... ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი თუ არ ვსთქვათ, პროგრამაა“ (ნიკო მარი).

ეს კი, მაგრამ იქნებ უფრო კონკრეტულად განვმარტოთ, რა არის ქართული ენა? რას ნიშნავს ქართული ენა ქართველი კაცისთვის? რა გზა განვლო ქართულმა ენამ, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა? როგორია მისი დღევანდელობა და პერსპექტივა?

მე, ენათმეცნიერი, აი, ასე ვუპასუხებდი ამ (და სხვა) კითხვებს, ასე მოვეყვებოდი ქართული ენის თავგადასავალს; ამ თვალთ დაგანახვებდით **ქართული ენის წუთისოფელს** (ანუ ქართული ენის ცხოვრებას):

„საქართველოს მთავრი გაბაჩინა ზენაა...“

„ერი დედაა ენისა“ – ესეც ვაჟა-ფშაველამ ბრძანა.

ერი ენის გარეშე და ენა ერის გარეშე არ არსებობს. მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთმნიშვნელობას იაკობ გოგებაშვილი ასე აზუსტებს, ასე აკონკრეტებს: „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია; თუ ენა უკან-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალ-ღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება“.

მეცნიერები განმარტავენ, რომ ენა ერის მეობის უპირველესი ნიშანია. ერთი მხრივ, ენა მისი მშობელი ერის აზროვნების განმსაზღვრელია და, მეორე მხრივ, ამ აზროვნების გამოხატვის საშუალებაა. ენაში ერის ისტორიაცაა უკუფენილი: რა გზა გაიარა ერმა; ისტორიის გზაშარაზე ვის გადაეყარა, როგორი იყო ურთიერთობები შემხვედრებთან – სამოყვრო თუ სამტრო; ყოველივე ეს რაღაც სახით ყოველთვის აისახებოდა ენაში... ამიტომაცაა, ჩვენს ენაში – ქართულში – უხვად ვხვდებით სპარსული თუ არაბული, ბერძნული თუ თურქული, მონღოლური თუ რუსული ენების შემონატანს, მათ კვალს...

ეს იმის შესახებ – თუ ვინ გადაეყარა გზაშარაზე ქართულ ენას და როგორი იყო ეს შეხვედრები... მაგრამ სად დაიბადა და აქ, საქართველოში, როდიდან მკვიდრობს ქართველი

ერი – მშობელი ქართული ენისა? სად იშვა ქართული ენა – პირმშო ქართველი ერისა? – ეს ის კითხვებია, რომლებიც არ შეიძლება არ გაუჩნდეს ქართველ კაცს, როცა თავის ქართველობაზე დაფიქრდება...

კაცობრიობის ისტორია იცნობს არაერთ შემთხვევას ხალხთა მიგრაციისას. ათასწლეულების განმავლობაში მსოფლიოს ხალხები სხვადასხვა მიზეზის გამო იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს; გადადიოდნენ ერთი საცხოვრისიდან მეორეზე... ხშირ შემთხვევაში ამგვარ მიგრაციათა კვალი წაშლილია; ამიტომაც ჩნდება ვარაუდები, ჰიპოთეზები ამა თუ იმ ხალხის თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ... ბუნებრივია, ამგვარი პრობლემა იჩენს თავს ჩვენს შემთხვევაშიც, როცა ქართველ ხალხზე ვსაუბრობთ...

გახსოვთ, ალბათ, პოეტი რომ ამბობს ქართული ენის შესახებ – „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამო“ (ლალო ასათიანი).

ეს იმას ნიშნავს, რომ, პოეტის აზრით, ქართული ენის მშობელი – ქართველი ერი – აქ, კავკასიის მთებში, ცხოვრობდა ოდითგანვე და აქ დაიბადა ქართული ენაცო... დიახ, ამგვარ მოსაზრებას აქვს სერიოზული მეცნიერული საფუძველი, ეს არ არის ოდენ პოეტის ფანტაზიის ნაყოფი...

თუმცა უმჯობესია, მსჯელობას თანმიმდევრულად მივყვეთ.

\* \* \*

ქართველი ხალხის წარმოშობის (ანუ, როგორც მეცნიერები იტყვიან, ქართველთა ეთნოგენეზისის) პრობლემა ქართული მეცნიერებისათვის (ქართველოლოგიისათვის) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

ამის თაობაზე არაერთი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისია გამოთქმული. სწავლულები ამ საკითხით ჯერ კი-

დეკ ანტიკურ საბერძნეთში დაინტერესებულან. სწორედ ანტიკური ავტორები გვთავაზობენ ლეგენდარულ სამოსელში გახვეულ ცნობებს ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ. ბერძენ ავტორთა ყურადღების ცენტრში უპირველესად კოლხეთი (დასავლეთ საქართველო) მოექცა. მოგეხსენებათ, კოლხეთი ბერძენი ისტორიკოსებისა თუ მწერლების მრავალმხრივი ინტერესის სფერო იყო...

რას ფიქრობდნენ ძველ საბერძნეთში კოლხების შესახებ? ისტორიის მამად წოდებულ **ჰეროდოტეს (V საუკუნე ჩვენს ერამდე)** მიაჩნდა, რომ კოლხები ეგვიპტური წარმოშობის ხალხია. საიდან მივიდა იგი ამ დასკვნამდე? – ჰეროდოტე კოლხების ეგვიპტელებთან მსგავსების საბუთად გარეგნობას, ენას, სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესს შერაცხავდა... ჩვენ ამ და სხვა მსგავს თვალსაზრისებზე კამათს არ ვაპირებთ (არცა გვაქვს ამის პრეტენზია; ვემყარებით პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურას...)... მაგრამ, ესეც ვთქვათ: ჰეროდოტე მხოლოდ კოლხებზე საუბრობს; სხვა ქართველ ტომებს არ იცნობს...

აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა – იბერიელების – შესახებ აზრს გამოთქვამს სხვა ბერძენი ისტორიკოსი **მეგასტენე (III საუკუნე ჩვენს ერამდე)**. იგი ფიქრობს, რომ იბერიელთა თავდაპირველი სამშობლო ესპანეთია (იგივე ბასკეთი); ანუ ივარაუდება, იბერიელები დასავლეთიდან მოვიდნენ კავკასიაში. ამის საფუძველი ის ჩანს, რომ ანტიკურ სამყაროში, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ „დასავლეთის იბერიელებს“ – ცნობილ ბასკებს – და ფართოდ იყო გავრცელებული აზრი „კავკასიის იბერიელებისა“, ანუ ქართველების, და „დასავლეთის იბერიელების“, ანუ ბასკების, საერთო წარმომავლობის შესახებ. ძალიან ძნელი სათქმელია, ჰეროდოტეს რა აძლევდა საფუძველს ეგვიპტელებთან ქართველების მსგავსებისა, მაგრამ მეგასტენესათვის ამ ვარაუდის სერიოზული საფუძველი ქარ-



თველებსა და ბასკებს შორის ენასა და ყოფა-ცხოვრებაში არსებული საინტერესო მსგავსება ჩანს (ამის თაობაზე ქვემოთაც მოგვიწევს საუბარი)...

არსებობს სხვა თვალსაზრისებიც... თავისთავად ის ფაქტი, რომ ანტიკურ საისტორიო წყაროებში ასეთი ინტერესი დასტურდება ქართველი ხალხის შესახებ, მიანიშნებს იმას, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდეც ქართველები პოპულარულნი იყვნენ და ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღებას იმსახურებდნენ...

რას ამბობს ქართული წყაროები ქართველთა წარმოშობის შესახებ? „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კავკასიაში ქართველთა დასახლებას **ალექსანდრე მაკედონელის (IV საუკუნე ჩვენს ერამდე)** სახელთან აკავშირებს: ალექსანდრე მაკედონელმა არიან-ქართლის მეფის შვილი აზო დასვა მეფედ მცხეთაში. აზომ თავისი მამის ქვეყნიდან, არიან-ქართლიდან („ქართველთა თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილიდან“), ჩამოიყვანა ხალხი და დაასახლა მცხეთასა და მის შემოგარენშიო... ასე წარმოიქმნა ქართველთა სამეფო – ქართლი, რომლის პირველი მეფე აზო გამხდარა. ამგვარად დაედო სათავე ქართველთა მოსახლეობას საქართველოს მიწა-წყალზეო, – გვარწმუნებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. თანამედროვე ქართველოლოგია ამ ცნობას არ განიხილავს უტყუარ ფაქტად. გაურკვეველია „არიანის“ რაობაც, „არიან – ქართლის“ თავდაპირველი სამეფოელი, თუკი იგი საერთოდ არსებობდა, საქართველოს სამხრეთით უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ვარაუდს ისტორიკოსები სარწმუნოდ არ მიიჩნევენ...

„ქართლის ცხოვრებაში“ არის ცდა ქართველთა წინაპრების ბიბლიური პერსონაჟებიდან გამოყვანისა; ბიბლიურ გადმოცემასთან დაკავშირებით ქართველთა წარმოშობის შესა-

ხებ ვარაუდები გამოითქვა მეცნიერებაშიც. **იოსებ ფლავიუსმა (I საუკუნე)** ქართველების (იბერიელების) წინაპრებად ბიბლიური თუბალები მიიჩნია. ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც XX საუკუნეში, ლურსმული წარწერების გაშიფრვის შემდეგ, დადასტურდა ბიბლიური თუბალებისა და მოსოხების (იბერიელებისა და მესხების წინაპრების) რეალური არსებობა; ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ თუბალებისა და მოსოხების გაერთიანებები ქართველთა გაერთიანებებია, რომლებიც არსებობენ ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში... ასე ფიქრობდნენ ძველი ასურული ლურსმული დამწერლობის გაშიფრვის შემდეგ. ისტორიაში კარგად ცნობილ მუშქებს, მოსოხებს, მოსხებს მესხების წინაპრებად და სამხრულ-დასავლურ ქართველურ ტომებად მიიჩნევენ. ეს ვარაუდი ერთ-ერთი საგულისხმო თვალსაზრისია და ეგუება ქართველთა ავტოქთონობის თეორიას, ანუ თეორიას იმის შესახებ, რომ ქართველები საქართველოს ძველისძველი მკვიდრნი არიან, ადგილობრივი მცხოვრებნი...

ქართულ საისტორიო და საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიდი პოპულარობა მოიპოვა **სიმონ ჯანაშიას** ეთნოგენეტიკურმა კონცეფციამ. მან ფაქტობრივ უარყო ქართველთა გადმოსახლების – საქართველოში სხვა მხრიდან ქართველთა მოსვლის – ვარაუდი და დაამკვიდრა თვალსაზრისი, რომ **ქართველები წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან**. სიმონ ჯანაშიამ ასეთი ისტორიული სქემა შემოგვთავაზა (ვემყარებით შ. ძიძიგურის წიგნს „ქართული ენის თავგადასავალი“):

ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ აზიის მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე) მონათესავე

ხალხები ცხოვრობდნენ. ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭვითაა ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიამდე. ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდემის მოსახლეობას ეკუთვნოდა. ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის საუკუნეებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე – დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა – დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს. ამავე ხანებში სამხრეთში, წინა აზიაში, ასურეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები. ძვ.წ. IX საუკუნეში კი ყველაზე უფრო ენერგიულ ბრძოლებს ასურელთ თუბალები უმართავენ. ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ – შექმნეს. აქვე მეზობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მიწა. მალე სამხრეთის ეს ხეთურ-სუბარული სახელმწიფოები განადგურდნენ, მაგრამ უკვე ძვ.წ. VI საუკუნისათვის სუბარეთის ჩრდილო რაიონების, კერძოდ – დღევანდელი საქართველოს – მოსახლეობა ისე იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი არსებობდა. ამიტომ, რომ, როცა ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოიხპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისკენ გადმონაცვლა. აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული ისტორიაში ქართველებს მოიხსენიებენ „კოლხების“, „იბერიელების“, „მესხების“ სახელწოდებით. ესაა ქართველთა დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ტომობრივი გაერთიანებები. სწორედ კოლ-

ხეთის, იბერიისა და მესხეთის საფუძველზე შეიქმნა შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

**ასეთია ქართველთა ავტოქთონობის ძირითადი კონცეფცია.** ის თვალსაზრისი, რომ სამხრეთ კავკასია იყო ქართველთა თავდაპირველი სამშობლო, ისტორიული, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული მასალების კვლევის საფუძველზე არაერთმა მეცნიერმა აღიარა. ორიოდეს დავიმოწმებთ: ბ. კუფტინი (1892-1953 წწ.) – „ქართველი ხალხის ამჟამინდელიცა და უძველესი სამშობლოც სამხრეთ კავკასიაა;“ გ. მელიქიშვილი (1918-2002) – „ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე;“ თ. გამყრელიძე (1929-2021), ვ. ივანოვი (1920-2017) – „ქართველები ოდითგანვე ცხოვრობდნენ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, მცირე კავკასიონის (მესხეთ-ჯავახეთის რეგიონი) ცენტრალური და დასავლეთი ნაწილის მთიანეთში. ძვ. წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში აქედან დასავლეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილისკენ მოხდა ქართველური ტომების მიგრირება“... და სხვა...

საერთოდ, ვფიქრობთ, ენათმეცნიერების, ისტორიის, არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მონაცემთა მიხედვით, სარწმუნო ჩანს: ქართველთა წინაპრების თავდაპირველი სამშობლო სწორედ სამხრეთ კავკასიაა; ქართველთა წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ათასეული წლების წინათ ცხოვრობდნენ...

და, რადგან „ერი დედაა ენისა“, ფაქტია: სწორედ აქ, კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, იშვა ქართული ენა. სწორედ ამას გულისხმობდა პოეტი, როცა ქართულ ენას ასე ამკობდა:

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,  
ზმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“

(ლადლო ასათიანი)

## „ქართული ქართველთ რწმენა“

\* \* \*

მუხრან მაჭავარიანის აზრით,  
„ქართული მარტო ენა?!  
ქართველი ქართველთ რწმენა!  
ღმერთია!  
ბედისწერა!“...

რა არის ეს – პოეტის ფანტაზია, ლამაზი პოეტური ფრაზები თუ ჭეშმარიტება?

მუხრან მაჭავარიანი ამასაც ამბობს:

„ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“

რა არის ეს – თავმოწონება ამბიციური ქართველი კაცისა თუ ჭეშმარიტება? რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაა, ისტორიული გამოცდილებით განმტკიცებული ჭეშმარიტი შეხედულება! დიახ, ამას დღეს ამბობს პოეტი, მაგრამ მოდით, ვნახოთ, როგორი იყო ქართველი კაცის დამოკიდებულება ისტორიულად ქართული ენისადმი და ვირწმუნოთ საუკუნეობით გამობრძმედილი ეს სინამდვილე.

სანამ უშუალოდ ამ საკითხზე ვიმსჯელებდეთ, ჯერ ზოგადად ენის „სიკვილ-სიცოცხლის“ თემას შევეხებით... ეს მსჯელობას გაგვიადვილებს.

\* \* \*

„ენა ურთულესი ფენომენია... არც მიწისქვეშ მდვინავი, არც ვარსკვლავეთის ეტლი მე ისე არ მაცოცხლებს, როგორც ენის ფენომენი. რომელმა ზენარულმა გონებამ შექმნა ენა?“ – ვერ ფარავს გაოცებასა და აღტაცებას კონსტანტინე გამსახურდია, როცა ენის შესახებ მსჯელობს, როცა ენის არსზე დაფიქრდება...

ღიას, ენა ურთულესი ფენომენია!... ენა ცოცხალი ფენომენია. იგი ისევე იზრდება, ვითარდება, მშვენდება, როგორც ნებისმიერი სხვა ცოცხალი არსება და... საუბედუროდ, კვდება კიდევ... ღიას, კვდება კიდევ... კაცობრიობის ისტორიამ შემოგვინახა ხსოვნა უამრავი ისეთი ენისა, რომლებიც დღეს აღარაა ცოცხალი: ურარტული თუ შუმერული, ხეთური თუ ხათური, პელაზგური თუ სხვა და სხვა... ოდესღაც იყვნენ კულტურული ერები – ურარტუელები და შუმერები, ხეთები თუ ხათები, პელაზგები... ჰქონდათ საკუთარი ქვეყანა, ენა, კულტურა, დამწერლობა და დღეს მხოლოდ ისტორიასდა შემორჩა მათი სახელები, მათი ხსოვნა... მოკვდა ენა, გაქრა სახსენებელი მისი მშობელი ხალხისა... ცხადია, არ ივარაუდება, რომ გენეტიკურად ურარტუელების, შუმერების, ხეთების, ხათებისა თუ პელაზგების შთამომავლები ერთიანად გადაშენდნენ, მოისპნენ. არა, მათი მშობლიური ენა დაიკარგა, მათი ენა გაქრა და ამ ხალხების შთამომავლები სხვა ენებზე ამეტყველდნენ... და აღარ იწოდებიან ურარტუელებად, ხეთებად... შესაბამისად, გაქრა სახსენებელი ხალხისა. ამიტომაცაა ჭეშმარიტება პოეტის ნათქვამი – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ (გრიგოლ ორბელიანი)... და შუმერული თუ ხეთური შემორჩა იმ უძველეს ტექსტებს, რომელთაც, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწიეს...

მკვდარი ენაა ლათინურიც. ოდესღაც უზარმაზარი რომის იმპერიის სახელმწიფო ენა დღეს მკვდარ ენად ითქმის. მართა-

ლია, ვითარება ზემოხსენებულ ენებთან შედარებით განსხვავებულია: შემოგვეჩვენა უმდიდრესი ლათინური ლიტერატურა, რომელიც ითარგმნება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. ლათინური ისწავლება უნივერსიტეტებში, XIX საუკუნეში ლათინური იყო მეცნიერების ენა; ლათინური ენა არის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი სამეცნიერო ტერმინოლოგიისა; საერთაშორისო მასშტაბით ლათინური ენა არის სამედიცინო დარგის ენა... და მაინც, ლათინურ ენას მკვდარ ენას ვეძახით. რატომ? – ლათინური ენა დღეს აღარ არის ვინმეს დედაენა, მშობლიური ენა. ლათინურ ენაზე დღეს ბავშვი აღარ იდგამს ენას – ლათინური აღარ არის აკვნის ენა!...


რა თქმა უნდა, ძველი რომაელების – ლათინების – შთამომავლები ევროპაში – იტალიასა თუ საფრანგეთში, ესპანეთსა თუ პორტუგალიაში – მრავლად არიან, მაგრამ მათი დედაენა სხვაა და ამიტომაც სხვა ეროვნებისად იწოდებიან. აი, ამისთვის სჭირდება გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა ენას; რომ „არ წახდეს“, თორემ გაქრება სახსენებელი ერისა. სწორედ ამიტომ გვაფრთხილებს პოეტი: „მტერობა ენის არს მტერობა ქვეყნისო“ (ილია ჭავჭავაძე).

რა იწვევს ენის სიკვდილს? – მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს; ორ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან:

### **პირველი მაგალითი –**

ჩვენ მეზობლად, ამჟამინდელი აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, ოდესღაც ცხოვრობდა ალბანელი ხალხი. ქვეყანას ალბანეთი ერქვა (კაკკასიის ალბანეთი, კაკკასიის ალბანელები – მეცნიერები დღეს ასე მოიხსენიებენ). ალბანეთი განვითარებული ფეოდალური ქვეყანა ყოფილა. ისტორიკოსები გვიმტკიცებენ, ალბანელები ადრე წარმართები იყვნენო; IV საუკუნეში გაქრისტიანებულან. V საუკუნიდან ჰქო-

ნიათ საკუთარი დამწერლობა, რომლის ნიმუშებმა ჩვენამდეც მოაღწიეს... მოკლედ, X საუკუნემდე ალბანეთი არსებობს, ალბანელები იხსენიებიან ქართულ, სომხურ, სპარსულ თუ ბერძნულ წყაროებში. „XI საუკუნეში ამიერკავკასია თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს და მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილიაცია (შერწყმა) მოჰყვა. ალბანეთის მო-



ალბანური ხელნაწერი

სახლეობის ერთმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებსა და დაღესტნის მოსახლეობას შეერწყა“ (ქართული ენციკლოპედია). და მოკვდა ალბანური ენა, გაქრა ალბანელი ხალხი, როგორც ეთნოსი... და ეს მოხდა ათიოდე საუკუნის წინათ... ვერ გადაარჩინა ალბანეთი და ალბანელები ვერც კულტურამ, ვერც დამწერლობამ, ვერც სარწმუნოებამ (ქრისტიანობამ); წახდა ენა – დაეცა ერი...

**მეორე მაგალითი –**

ჩრდილოეთ კავკასიაში, მის დასავლეთ ნაწილში, სოჭის ახლომახლო, ცხოვრობდნენ უბიხები. მათ თავიანთი ენა ჰქონ-



დათ – უბიხური. უბიხური ენა აფხაზურ-ჩერქეზული მოღვმის ენა იყო. ამბობენ, XIX საუკუნეში უბიხურად 25 000-მდე კაცი ლაპარაკობდაო. უბიხები თავიანთ მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.

XIX საუკუნის კავკასიაში რთული პროცესები განვითარდა – დაიწყო მუჰაჯირობა (გადასახლება, ემიგრაცია). ძირითადი მიზეზი ამისა, ერთი მხრივ, კავკასიისა და, მეორე მხრივ, რუსეთ-ოსმალეთის ომები იყო. ეს პროცესი – მუჰაჯირობა – ხელს აძლევდა თურქეთსაც და რუსეთსაც. ოსმალეთი ცდილობს, მაჰმადიანი კავკასიელები დაასახლოს ოსმალეთის იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში; ამიტომ გაააქტიურა ავითაცია, რომ რუსეთი მათი მტერია, ძალით გააქრისტიანებს მაჰმადიანებს და ა.შ.

თავის მხრივ მაჰმადიანი კავკასიელების ოსმალეთში გადასახლებით რუსეთს სურს პოლიტიკური სიმშვიდე მოიპოვოს კავკასიაში და, შესაბამისად, ხელს უწყობს ამ პროცესს. და ეს რთული პროცესი შეეხო აფხაზებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ჩეჩნებს, სამხრეთ კავკასიაში მოსახლე მაჰმადიან ქართველებს, აჭარელებს... საბედნიეროდ, ჩამოთვლილ ტომებს მუჰაჯირობა ნაწილობრივ შეეხო... ზოგი მათგანი კომპაქტურად დასახლდა ახალ საცხოვრებელ ადგილას და დღემდე შემონახა მშობლიური ენა, მაგალითად, მუჰაჯირმა ქართველებმა სტამბულის მიდამოებში, აფხაზებმა, ჩერქეზებმა...

ამ პროცესის შედეგად კავკასიიდან მთლიანად გადასახლდნენ უბიხები – მთელი ერი!.. და გაიბნენ ოსმალეთის იმპერიაში; არ შეუქმნიათ კომპაქტური უბიხური დასახლებები... თანდათან დაიწყო მათი შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან. 50-ოდე წლის წინათ (XX საუკუნის შუა ხანებში) თურქეთში ცხოვრობდნენ უბიხები (თითო-ოროლა), რომელთაც იცოდნენ თავიანთი მამაპაპეული ენა. დღეს უბიხურ ენაზე აღარავინ საუბრობს – უბიხური ენა მოკვდა! 1965 წელს არნ. ჩიქობავა (1898-1985 წწ.) წერდა: „ამჟამად თხუთმეტი-

დე კაცმა თუ იცის უბიხური: სხვები ან ადილეურზე გადავიდნენ, ანდა თურქულზე“. საბედნიეროდ, ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების – გ. როგავას (1905-1987 წწ. ...), ქ. ლომთათიძის (1911-2007 წწ. ...), პ. უსლარის (1816-1875 წწ.), ჟ. დიუმეზილის (1898-1987 წწ.), პ. ფოგტის (1903-1986 წწ.)... – მიერ აღიწერა და გამოკვლეულ იქნა უბიხური, როგორც ვთქვით, აწ უკვე მკვდარი ენა.

ცხადია, უბიხების გენეტიკური შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ თურქეთსა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ისინი აღარ იწოდებიან უბიხებად, რაკილა ვეღარ საუბრობენ უბიხურად!..

წახლა ენა, დაეცა ერი...

ამიტომაც გვაფრთხილებს პოეტი – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, ანდა „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნისაო“...

საბედნიეროდ ჩვენდა, ქართველმა ხალხმა გაუძლო უამრავ უბედურებას და შეინარჩუნა ქართული ენა! **გადარჩა ენა – გადარჩა ერი!**

აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: დიახ, ენა კვდება კიდევაც, როგორც ნებისმიერი ცოცხალი არსება... არის ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება ენასა და სხვა ცოცხალ არსებას შორის: თუ ბუნებაში ცოცხალი არსებისათვის ოდესღაც სიკვდილი გარდაუვალი აუცილებლობაა, ენა არ ემორჩილება ამ კანონზომიერებას – ენა შეიძლება უკვდავი იყოს!.. ენის უკვდავებას მისი მშობელი ერის უკვდავება განაპირობებს!..

ქართული ენა უკვდავია!...

\* \* \*

ჩვენ ისეთი შემთხვევები გავიხსენეთ, როცა ენა ხალხთან ერთად დაიკარგა...

არის შემთხვევები, როცა ხალხი აგრძელებს ცხოვრებას, არსებობას, არ იცვლის სახელს, მაგრამ იცვლება ენა და იცვლება იმდენად, რომ რეალურად ახალ ენას ვიღებთ.

ცნობილი ფაქტია: ძველი ბერძნული ენა და ახალი ბერძნული ენათმეცნიერულად დღეს ორ სხვადასხვა ენად მიიჩნევა. ახალი ბერძნული საბერძნეთის სახელმწიფო ენაა, ძველი ბერძნული ენა – ჰომეროსის, პლატონის, პლუტარქესა და სხვათა დედაენა – მკვდარი ენაა. დიახ, ძველი ბერძნული მკვდარი ენაა, ახალი ბერძნული – ცოცხალი. არადა, ერთი ენის განვითარების ორი საფეხურია, ძველი ბერძნულის საფუძველზე განვითარდა და ჩამოყალიბდა ახალი ბერძნული...

ასეთივე ვითარებაა სომხურშიც. თუ ქრონოლოგიურად ძველი ბერძნული IV საუკუნემდე ენას ეთქმის, სომხურ სინამდვილეში ქრონოლოგია უფრო ახლოურია: V-XI საუკუნეების სომხურს ვუწოდებთ ძველ სომხურს (გრაბარს), ხოლო შემდეგდროინდელს, დღევანდელს – ახალ სომხურ ენას (აშხარაბარს). გრაბარი მკვდარი ენაა, აშხარაბარი – ცოცხალი. გრაბარი აშხარაბარის საფუძველია; აშხარაბარი – გრაბარის განვითარების შედეგი...

ორივე – ძველი ბერძნულისა და ძველი სომხურის – შემთხვევაში საქმე გვაქვს მკვდარ ენასთან, თუმცა ამ ენების მშობელი ერები ცოცხლობენ და ლაპარაკობენ მკვდარი ენების განვითარების საფუძველზე მიღებული „ახალი“ ენებით. ამ ენათათვის მკვდარი ენის წოდება გარკვეულწილად პირობითია – ენა იცვლება და ეს ცვლილება ისე ხელშესახებია, რომ ამ ენაზე მოსაუბრისთვის არაა გასაგები მისი შორეული წინაპრის ნაუბარი... ალბანურისა თუ უბიხურის შემთხვევაში პრინციპულად სხვა ვითარება იყო – ენამ შეწყვიტა არსებობა... სამწუხაროდ, შედეგი ერთნაირია: არც უბიხურია დღეს აკვნის ენა, არც – ლათინური და არც – გრაბარი. საბედნიეროდ ჩვენდა, ასე როდი მოხდა ქართული ენის შემთხვევაში...

მოდით, ასე ვთქვათ, გრაბარის „სიკვდილის“ მიზეზი ის კანონზომიერებაა, ენის ცვალებადობა რომ ჰქვია.

ახლა მოვლენას შევხედოთ სხვა კუთხით: V-X საუკუნეების სომხური დღევანდელი სომხისათვის გაუგებარია, სხვა ენაა; ამავე პერიოდის ქართული – დღევანდელი მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად გასაგებია; იგი არაა სხვა ენა. ამიტომაც „ძველი ქართული ენა“ პირობითი, სამუშაო ტერმინია. ვსაუბრობთ ერთი და იმავე ენის (ქართული ენის) განვითარების ორ საფეხურზე (ძველი ქართული და ახალი ქართული) და არა ორ ენაზე. არიან მეცნიერები, რომლებიც ამგვარ პირობით დაყოფასაც (ძველი ქართული – ახალი ქართული) არასწორად მიიჩნევენ. ქართული ერთი ენააო – „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (რ. თვარაძე, ანა კალანდაძე)... და არის ჭეშმარიტება ამგვარ მიდგომაშიც. ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ იაკობ ხუცესისა და გიორგი მერჩულის ქართულსა და დღევანდელ ქართულს შორის არის გარკვეული განსხვავება. კი, ეს ფაქტია, მაგრამ ეს არ არის იმ ხარისხის განსხვავება, რაც გრაბარსა და აშხარაბარს შორის არსებობს. რა მოხდა, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის (V-XII ს.ს.) ორი მონაცემი ერთ შემთხვევაში განსხვავდება ენათა დონეზე (გრაბარი – აშხარაბარი), ხოლო მეორე შემთხვევაში – ერთი ენის განვითარების ორი ისტორიული ნაირსახეობის (ძველი ქართული – ახალი ქართული) დონეზე?

ანუ: V-X საუკუნეების სომხური (გრაბარი) და დღევანდელი სომხური (აშხარაბარი) ორი ენაა; ხოლო V-X საუკუნეების ქართული და დღევანდელი ქართული – ერთი ენა! დავსვამთ კითხვას: რატომ?

სანამ დასმულ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ერთ საკითხსაც გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

\* \* \*

ცოცხალი ენა მუდმივად იცვლება. ცვლილება ორი სახისაა: ცვლილება დროში და ცვლილება სივრცეში.

თუ ჩვენ ერთმანეთს შევუდარებთ სხვადასხვა ეპოქის ენობრივ მონაცემებს, სხვაობას აშკარად შევამჩნევთ. იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულის, შოთა რუსთველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა თუ ანა კალანდაძის თხზულებათა ენა საკმაო სხვაობას ავლენს ერთმანეთთან. ეს არის დროში მომხდარი ცვლილების შედეგი. ყოველი მათგანის შემოქმედება მათივე ეპოქის ქართულის სახეა. ამგვარ **ცვლილებას ენის ისტორია შეისწავლის.**

მოვიართო საქართველო. ვესაუბროთ ხევსურეთში ხევსურს, ფშავში – ფშაველს, კახეთში – კახელს, ქართლში – ქართლელს, იმერეთში – იმერელს, რაჭაში – რაჭველს, გურიაში – გურულს, აჭარაში – აჭარელს, ტაოში – ტაოელს და ა.შ. – თუ ვკითხავთ, რა ენაზე საუბრობს ჩვენი თანამოსაუბრე, პასუხი ერთი იქნება – ქართულად. დიახ, ქართულია ხევსურულიც, ფშაურიც, კახურიც, ქართლურიც, იმერულიც, რაჭულიც, გურულიც, აჭარულიც, ტაოურიცა თუ სხვა კუთხის მეტყველებაც. დაკვირვებული კაცი ადვილად შეამჩნევს იმ სხვაობას, რაც სხვადასხვა კუთხის ქართველთა მეტყველებაშია. ამგვარ განსხვავებას ვეძახით სივრცეში მომხდარი ცვლილებას.

ანუ: დროსა თუ სივრცეში მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოიქმნება ნაირსახეობანი; დროში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს **ენის პერიოდებს**, განვითარების ეტაპებს ვუწოდებთ; სივრცეში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს – **დიალექტებს**

(კილოებს)... სივრცეში მომხდარ ცვლილებას შეისწავლის დიალექტოლოგია (ენათმეცნიერების დარგი).

ენის განვითარების პერიოდები (ძველი ქართული ენა, საშუალო ქართული ენა, ახალი ქართული ენა თუ თანამედროვე ქართული ენა) და დიალექტები (ხევსურული, ფშაური, კახური...) საერთო-სახალხო ენის – ქართული ენის – ნაირსახეობებია (ვრცლად იხ.: გვ. 125 და შემდეგ).

როგორც ღროში, ისე სივრცეში მომხდარი ცვლილება გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება საფუძველი გახდეს ახალი ენის წარმოქმნისა. ზემომოყვანილი მაგალითები სომხური და ბერძნული ენებისა არის ღროში მომხდარი ცვლილების შედეგი. ღროთა განმავლობაში ცვლილება ისე შორს წავიდა, განსხვავება იმდენად დიდი გახდა, რომ მივიღეთ ახალი ენები.

მონათესავე ენათა წარმოქმნის საფუძველი ღროსა და სივრცეში მომხდარი ცვლილებებია. მაგალითისათვის: ძველ სლავურ ენას ჰქონდა თავისი სივრცული ნაირსახეობები (დიალექტები), რომლებიც (ღროთა განმავლობაში) დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ – რუსული, ბელორუსული, უკრაინული, ბულგარული...

ზემოდასმული კითხვა მაინც პასუხგასაცემია: სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ორი ენობრივი ერთეული სომხურის შემთხვევაში რატომ იქცა ენებად, ხოლო ქართულის შემთხვევაში იმავე ქრონოლოგიური დონის ნაირსახეობანი რატომ „რჩება“ ერთი ენის ნაირსახეობებად?

მოგესხენებათ, ცვლილება ცოცხალი ენის არსებობის ერთ-ერთი პირობაა. „ენა, როგორც შემოქმედება, გულისხმობს ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერების არსებობას“ (ბ. ჯორბენაძე. 1942-1993 წწ.). მაგრამ „ენა, როგორც შედეგი, გვავარაუდებინებს ენაში რაღაც მუდმივი (მისი ძირითადი სახის შემაპირობებელი) მონაცემის არ-

სეობას“ (ბ. ჯორბენაძე), ანუ ენაში რეალურად თანაარსეობის მუდმივი და ცვლადი მონაცემები.

ცვლილება შეიძლება შეეხოს ენის ნებისმიერ სფეროს, დაწყებული მისი ფონოლოგიური სტრუქტურიდან, გრამატიკის, ლექსიკის, სემანტიკის საკითხებით გაგრძელებული.

მაგალითისათვის: ძველ ქართულს ახალთან შედარებით რთული ბგერითი სისტემა ჰქონდა; კ, ჟ და უ ქმნიდა განსხვავებას. განსხვავებული იყო ბრუნვათა სისტემაც (წრფელობითი ბრუნვაც იყო ძველ ქართულში), მწკრივთა სისტემა (ხოლმეობითის მწკრივები...) და სხვა. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა... ყველაზე მეტად თვალშისაცემია ლექსიკური განსხვავება. თუმცა, თუ ამ განსხვავებულ ფაქტებსა და მოვლენებს შევუდარებთ საერთო (ძველი და ახალი ქართულისათვის) მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ უცვლელი, მუდმივი გაცილებით სჭარბობს ცვლებადს.

ანუ: ქართულ სინამდვილეში ცვლადისა და მუდმივის თანაფარდობა მუდმივის სასარგებლოდ წყდება. ესაა საფუძველი იმისა, რომ ძველი ქართული ენის ძეგლები თანამედროვე მკითხველისათვის გასაგებია; რომ ძველი და ახალი ქართული არის ერთი ენის ორი ნაირსახეობა...

როცა ენაში ცვლადი წააჭარბებს მუდმივს, მაშინ ვიღებთ სომხურისა თუ ბერძნულის მსგავს ვითარებას: ერთი ენისაგან განსხვავებულ მეორე ენას.

ცვლებადის სიჭარბე მუდმივთან შედარებით არ არის დამოკიდებული დროის მონაცემებზე. ამის დასტური ქართული და სომხური ენების შედარებაა: როგორც ითქვა, V-X საუკუნეების სომხური სხვა ენაა, ვიდრე XX საუკუნის სომხური. V-X საუკუნეებისა და XX საუკუნის ქართული ერთი ენის ორი ნაირსახეობაა.

ასეთი კითხვა ჩნდება: რა არის ის, რაც განაპირობებს მუდმივის სიჭარბეს ცვლადთან მიმართებით ქართულ სინამდვილეში და, პირიქით, – ცვლადის სიჭარბეს მუდმივთან შე-

დარებით – სხვა ენათა (სომხურის, ბერძნულის...) შემთხვევაში?

მოდით, სხვა ენების ამბავი გვერდზე გადავლოთ და ქართულის შესახებ ვისაუბროთ... ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად **ქართველი კაცის დამოკიდებულება დედაენისადმი იყო განსაკუთრებული, უნიკალური**, რაც გახდა საფუძველი, „თექვსმეტსაუკუნოვანი მთლიანობის უცვლელობისა“?...

რითი გამოიხატება ეს „განსაკუთრებულობა, უნივერსალურობა?“ მოდით, დაეფიქრდეთ ამაზედაც!



სამი ღვთაებრივი საუნჯე და ოთხი  
ბურჯი პროვნებისა

1861 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“. სწორედ ამ წერილში წერს ილია იმას, რაც არა მხოლოდ ქართველთა იმ თაობის, არამედ ყველა დროის ქართველობისათვის მარადიულ მოწოდებად იქცა:

**„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“**

ანუ: ყველა დროის ყველაზე დიდმა ქართველმა შეგვაგონა, რომ ეს სამი ღვთაებრივი საუნჯე – მამული, ენა და სარწმუნოება – არისო ჩვენი ქართველობის საფუძველთ-საფუძველი. ამ სამებიდან ენა გამორჩეული საუნჯეაო: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს!“ – გემოდღვრავს ერისკაცი და გვაფრთხილებს: „სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებასო“. ასე ხედავს ილია ჭავჭავაძე ქართული ენის როლსა და მნიშვნელობას ჩვენი ეროვნულობის განსაზღვრაში; ქართველების მიერ ქართველობის გააზრებაში, ჩვენს ვალდებულებას ქართული ენის მიმართ.

ახლა იაკობ გოგებაშვილს მოვუსმინოთ: ილიას „ღვთაებრივ საუნჯეს“ იაკობმა „ბურჯი ეროვნებისა“ უწოდა და სამეულის მეოთხე კომპონენტი მიუმატა – **ეროვნული სკოლა**, ანუ:

იაკობმა ჩვენი ქართველობის განმსაზღვრელად, საფუძვლად ოთხი მთავარი ბურჯი გამოაცხადა: **მამული, ენა, სარწმუნოება** და **ეროვნული სკოლა**. იაკობის აზრით, ერის აღორძინების ერთ-ერთი მთავარი ბურჯი გახლავთ სამშობლო ენა. „ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ლატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება...“ ხოლო, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ და ვუპატრონოთ დედაენას, ეს ცალკე თემაა იაკობთან.

მოკლედ: **ილიამ და იაკობმა გაგვიცნობიერეს ის, თუ რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის ქართული ენა და როგორი უნდა იყოს ქართველთა დამოკიდებულება დედაენისადმი.**

ამიტომ წერს ანა კალანდაძე: „მამული, ენა, სარწმუნოება – ჩვენი ხსნა მათ დაცვასა და შენარჩუნებაშიაო“.

კითხვა: XIX საუკუნეში აღმოაჩინეს ჩვენმა მარადიულმა თანამედროვეებმა ეს (ანუ: XIX საუკუნის ხედვა), თუ ისტორიულადაც ასეთივე იყო ქართველი კაცის დამოკიდებულება ქართული ენისადმი?

გიორგი მერჩულეს მოვუსმინოთ: „**ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების**“. ანუ: მთავარი განმსაზღვრელი ქართველობის, ქართულობის, საქართველოსი – ქართული ენაა. გავიხსენოთ: გიორგი მერჩულე VIII-IX საუკუნეების ამბებს აღწერს X საუკუნეში. იმ დროს საქართველო არაა პოლიტიკურად ერთიანი ქვეყანა: სამი მთავარი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, პოლიტიკური ერთეუ-

ლია იმ დროის საქართველოში: **ტაო-კლარჯეთი**, რომელსაც თავისი მეფე ჰყავს; **აფხაზეთი**, რომელსაც ასევე თავისი მეფე მართავს და **ქართლი**, სადაც არაბები ბატონობენ – თბილისში ამირა ზის, ქართლს ერისმთავარი უძღვება. გიორგი მერჩული-სათვის ეს პოლიტიკური დაყოფა არაა არსებითი; მისთვის მთავარია ის, რომ ტაო-კლარჯეთში, ქართლსა და აფხაზეთში ქართული ენით „უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“. ანუ მთავარი ენაა, **მთავარი ენობრივი ერთობაა**. სხვათა შორის, იმასაც მივაპყროთ ყურადღება, ილიასეული სამება (მამული, ენა, სარწმუნოება) მერჩულის გამონათქვამშიც იჩენს თავს: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების (**მამული**), რომელსაცა შინა ქართულითა ენითა (**ენა**) უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს (**სარწმუნოება**)“. ეს ფაქტი იმდენადაა ღირსსაცოდნელი, რომ ილია ჭავჭავაძე არ იცნობს გიორგი მერჩულის თხზულებას („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ ნიკო მარმა 1902 წელს მიაკვლია სინის მთაზე და გამოსცა 1911 წელს პეტერბურგში). ასე რომ, ეს არის არა ილიას, იაკობის თუ გიორგი მერჩულის აღმოჩენა („გამოგონება“), არამედ ეს საერთო ქართული აზრია, რომელიც შემუშავდა საუკუნეების განმავლობაში და სხვადასხვა დროს (ამ შემთხვევაში X და XIX საუკუნეებში) სხვადასხვაგვარად გამოხატეს გიორგი მერჩულემ, ილია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა.

სხვათა შორის, თავის დროზე გიორგი მერჩულის ამ შეგონებას ყურადღება მიაქცია პავლე ინგოროყვამ და მას უწოდა „**საქართველოს მთლიანობის კლასიკური ფორმულა**“. დიახ, ენაა ამ მთლიანობის ძირითადი საფუძველი! დიახ, ენა აღუღაბებს, ერთ მთლიანობად აქცევს ქვეყანას, ერს!

დედაენისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულების, დედაენის არსის გააზრების კიდევ ერთი უნიკალური მაგალითია

იოანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“ (X საუკუნე). გახსოვთ, რა თქმა უნდა: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა...“ რომ „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს...“ რომ ქართული არის „ენაჲ შემკული და კურთხეული...“ ესაა უნიკალური სადიდებელი ქართული ენისა – ქართველი კაცის მიერ გააზრებული არსი ქართული ენისა (ამის თაობაზე ბევრი თქმულა...). ისიც ითქვა, რომ ლექსი X საუკუნეზე უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი, კერძოდ, IV საუკუნეში (რამაზ პატარიძე) და იოანე ზოსიმემ X საუკუნეში შეიტანა საგალობელთა კრებულშიო... თუმცა ამას არცა აქვს ამჯერად პრინციპული მნიშვნელობა: ქართველმა კაცმა დედაენის ეს საგალობელი X საუკუნეში შექმნა თუ უფრო ადრე; ისაა არსებითი, რომ, „ქებაჲს“ ავტორის აზრით, „ქართული ენა უფლის ენაა“ (ა. ბაქრაძე). ჩვენთვის ეს დამოკიდებულება არსებითი...

ერთი ფაქტიც მინდა გავიხსენო – კიდევ ერთი საოცარი ძეგლი დედაენისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულების გამომხატველი – **დავათის სტელა**. ამ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლზე უფრო ვრცლად მინდა ვისაუბრო, რადგან იგი გვიან აღმოაჩინეს და მასზე ბევრი არა თქმულა რა... იგი არაა დიდად პოპულარული...

**1984 წელს** ღუშეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფელ **დავათში** აღმოაჩინა ადრექრისტიანული ხანის რამდენიმე ქვა-ჯვარი (ქვა-ხატი, სტელა). ჩვენთვის საინტერესო ქვა-ხატი VIII საუკუნის (ყოველ შემთხვევაში, უფრო გვიანდელი არ უნდა იყოსო) ეკლესიის ერთ-ერთ ბურჯში იყო ჩაშენებული. წარწერიანი მხარე კედელში ჰქონდა ჩამალული. ამიტომაც, სანამ შემთხვევამ კედლიდან არ ჩამოაგდო, მისი არსებობა უცნობი იყო. ფაქტია: ეს სტელა მეორეულ საშენ მასალად



დავათის სტელა



დავითის სტელა (გრაფიკული ვარიანტი)

ყოფილა გამოყენებული... თავის დროზე მშენებლებმა სუფთა გვერდი მოაქციეს სამზვოზე და წარწერიანი მხარე კედელში ჩამალეს... მეცნიერთა ვარაუდით, ეს VIII საუკუნისთვის „დრომოჭმული“ სტელა უფრო ადრინდელი – IV-V საუკუნეების ძეგლის ნაწილი უნდა ყოფილიყო... მერე „მოჭამა თავისი დრო“ და გამოიყენეს სხვა ეკლესიის ბურჯის ასაგებად... ამაზე მეცნიერები თანხმდებიან. არც თარიღებია დიდად სადავო: იგი IV-V საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი.

რას წარმოადგენს ეს სტელა?

ეს არის ერთიანი კომპოზიცია, რომელიც ორი – ზედა და ქვედა – ნაწილისაგან შედგება. ზედა მონაკვეთზე მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი – არიან გამოქანდაკებული. ქვედა მონაკვეთზე ორი საერო პირია გამოსახული, რომელთაც დიდებულთა შესამოსელი აცვიათ.

მთავარანგელოზებს ზეაღმართულ ხელებში ჭილის გრაგნილი უჭირავთ. გრაგნილზე ბასრი იარაღით ამოკვეთილია ქართული ასომთავრული ანბანი ანიდან ჰოემდე ანბანური რიგის შესაბამისად.

ქრისტიანულ ხატმცოდნეობაში (იკონოგრაფიაში) ამგვარი კომპოზიცია ცნობილია; მას ამალღების კომპოზიციასაც უწოდებენ. ოღონდ ერთი არსებითი თავისებურებით გამოირჩევა დავათის სტელა... „კანონიკური ქრისტიანული იკონოგრაფია დასაშვებად მიიჩნეეს მხოლოდ მაცხოვრის, მისი სიმბოლური გამოსახულების – ჯვრის – ამალღებას და ღვთისმშობლის განდიღებას, რომლებიც ესქატოლოგიური პროგრამით არიან აღბეჭდილნი და მეორედ მოსვლის იღეას გამოხატავენ“ (ზაზა ალექსიძე)... ქართული ანბანი, ცხადია, ქართული ენის სიმბოლოა. სწორედ **ქართული ენის განდიღების, გაღმერთების იღეა** გამოხატა დავათელმა ხელოვანმა ამ სტელაზე... ანუ: „მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები ღვთის ნება-სურვილით **ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის**

**მოსვლას გვამცნობენ“** (რამაზ პატარიძე) და ამ სტელაში გამოსახულ იდეას იოანე ზოსიმეს „ქებად-ში“ გამოსახულ იდეასთან აკავშირებენ...

კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოქანდაკებული ორი ხელისუფალი ორი დიდი მოღვაწე – ფარნავაზი და მირიანი – უნდა იყოსო, ვარაუდობენ მკვლევარნი და ესეც კომპოზიციის ზედა ნაწილთან ლოგიკურად არის დაკავშირებული...

ფაქტია: IV-V საუკუნეთა ქართველნიც ისევე აღმერთებენ დედაენას, როგორც X საუკუნისა (გიორგი მერჩულე, იოანე ზოსიმე) თუ XIX საუკუნის მოღვაწენი (ილია, იაკობი...)...

და ეს იყო საუკუნეობით განმტკიცებული დამოკიდებულება ქართველი კაცისა ქართული ენისადმი –

„ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია!

ბედისწერაა!..“

ღიან, ქართველი კაცის, ქართველი მწიგნობრის დამოკიდებულება დედაენისადმი განსაზღვრავს იმას, რომ ქართული ენა ქართულ ენადვე რჩება! არ იცვლება სხვა ენათა მსგავსად! რომ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები გასაგებია, ხელმისაწვდომია დღევანდელი მკითხველისათვის. ფაქტია, ზოგჯერ მწიგნობარი აფრთხილებს კიდევ მკითხველს, ისე წეროს, ისე იკითხოს, როგორც წინაპარმა დაწერა და არა შეცვალოს რა. XI საუკუნის მოღვაწეს – გიორგი მთაწმიდელს – მოვუსმინოთ: „ესე საცნაურ ყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი არა თუ ახლად გუთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა ბერძნულთა სახარებათა შეგკწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გინდეს დაწერაჲ, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ



**სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რადმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველით-გან წმინდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, – მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ!”**

მოყვანილი ამონარიდი ბევრი რამით არის საყურადღებო. უპირველესად იმას მივაპყრობთ ყურადღებას, რომ აღრევე წმინდად და კეთილად თარგმნილი სახარება ისევე უნდა მივიღოთ და არ უნდა ვცვალოთო. წმინდად და კეთილად თარგმნილი ენას გულისხმობს უთუოდ, სწორ ქართულს გულისხმობს, ნორმატიულ ენას გულისხმობს. ამიტომ მოუწოდებს მკითხველს, „ვითა აქა წერია, ეგრე დაწერეთ“...

გიორგი მთაწმიდელი არ არის ერთადერთი. ამგვარი ანდერძ-მინაწერები მრავლადაა X-XII საუკუნეების ხელნაწერებზე (ლ. ქაჯაია): „ყოველთა გევედრებით, ვინცა სწერდეთ, ნუ სცვალებთ სიტყუასა, გინა თუ წერტილსა, რამეთუ ამისა პირისათვის ვედრებულ იყო“... ანდა: „იოანე ხუცესმან მთავარადსძემან, ესე აწ ჩემთჳს გარდამოვიწერე, ვითარ ვჰგონებ უნაკლულად და მართლად. ვისცა გარდაწერად გენებოს, მინდობილ იყვენით, რამეთუ ვითა ვპოე, ეგრე დავწერე ყოველი წერტილიცა“... და მისთანანი...

აი, ასეთი იყო მწიგნობართა დამოკიდებულება ქართული სამწიგნობრო ენისადმი... თუმცა ყველა შეიძლება ასე არ ფიქრობდეს. ამ ფაქტს კონსტანტინე გამსახურდია ასე აფასებდა: „დღევანდელი ქართველი იოლად გაიგებს გ. მერჩულის, იაკობ ხუცესის ენას, და ეს სასიხარულო მოვლენად მიაჩნია ზოგიერთს. ეს უფრო იმის მომასწავებელია, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში სათანადოდ არ განვითარებულა, არ გაზრდილა, ან ნელის ნაბიჯით მიიწევდა წინ მისი განვითარება“... თუმცა სხვაგან სიამაყით აღნიშნავს იმას, რომ ცურტაველიდან „მოაქჳამოდე“ ქართული სალიტერატურო ენა ერთიანი

მაგისტრალური ხაზის მატარებელია და ქართული ენის „წყაროსთვალნი“ – ი. ხუცესი, გ. მერჩულე, შ. რუსთაველი, ს.-ს. ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და სხვანი მწვერვალები არიან ამ ერთიანი მაგისტრალური ხაზისაო...“

(შეგნიშნავთ მხოლოდ იმას, ამგვარი განმარტება („არ განვითარებულა“) არ არის გასაზიარებელი... თუმცა აქ ამის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით).

ღიან, ასეთი იყო ქართველი კაცის ტრადიციული დამოკიდებულება დედაენისადმი! **„ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა!“**

ამიტომაც სჭარბობდა და სჭარბობს ქართულ ენაში მუდმივი ცვლადს... ამიტომაც რჩება ქართული ენა ქართულ ენად დასაბამიდან დღემდე! ამიტომაც ქართული ენა საფუძველი ქართველთა ერთიანობისა, მთლიანობისა!...

## ქართული იმპერიულ-კავკასიური მნაა

ვთქვით, ენა იცვლება დროსა და სივრცეში-თქო. სივრცეში მომხდარ ცვლილებას დრომ შეიძლება მკვეთრი ხასიათი მისცეს და საუკუნეთა განმავლობაში სივრცობრივად წარმოქმნილმა ნაირსახეობამ დამოუკიდებელი ენობრივი სახე მიიღოს. ესეც აღვნიშნოთ: ძნელია იმის თქმა, სხვაობა ორ ნაირსახეობას (დიალექტს) შორის რა ოდენობისა უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელ ენებად იქნეს მიჩნეული... აქ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს ზოგჯერ. მაგალითად, ამბობენ, სლავური ენიდან მომდინარე ორ ენობრივ ერთეულს – რუსულსა და უკრაინულს – შორის უფრო ნაკლებია განსხვავება, ვიდრე სხვა შემთხვევაში ერთი ენის ორ დიალექტს შორის (თუნდაც ქართული ენის გურულსა და თუშურ დიალექტებს შორის...), მაგრამ პოლიტიკური ვითარების გამო უკრაინული და რუსული დამოუკიდებელ ენებად მოიაზრება... ასე მიემართება რუმინული და მოლდავური ენები ერთმანეთს და არაერთი სხვაც...

სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ერთი ენიდან წარმოქმნილ ნაირსახეობებს შორის საუკუნეთა განმავლობაში განსხვავება იზრდება და ვიღებთ ათეულ თუ ასეულ ენობრივ ერთეულს. მეცნიერები საერთო წარმომავლობის ენებს აჯგუფებენ და ამგვარად დაჯგუფებულ ერთობას **ენათა ოჯახებს** უწოდებენ; ასეთ ენათა ოჯახებად განიხილება ინდოევროპული, თურქულ-ალათაური, სემიტური, უნგრულ-ფინური, ჩინურ-ტიბეტური და სხვა ენები. თითოეული ოჯახი ათეულობით სხვადასხვა ენას აერთიანებს. ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვან-

ნი არის ინდოევროპულ ენათა ოჯახი. სწორედ ამ ოჯახის წევრები არიან ჩვენი მეზობელი ენები – სომხური, ოსური, რუსული... ასევე გერმანიკული, რომანული, სლავური, ინდური, ირანული ენები და სხვა... ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანული და თურქული ენები – თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახიდანაა...

ქართული?

რომელ ენებს ენათესავება ქართული?

რომელ ენათა ოჯახის წევრია იგი?

მოეპოვება მას მონათესავე ენები თუ განცალკევებით დგას?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას უძველესი დროიდან ცდილობდნენ. ზემოთ ვთქვით (გვ. 7), ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) ქართველ ხალხს ეგვიპტელებთან აკავშირებდა, შესაბამისად, ქართულ ენას – ეგვიპტურთან. მეგასტენე (ძვ.წ. III ს.) ესპანეთს მიიჩნევდა ქართველთა უძველეს საცხოვრისად. ამ ვარაუდით, ქართული ესპანურს უკავშირდებოდა.

ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი უფრო აქტიური გახდა ევროპულ მეცნიერებაში XVII-XVIII საუკუნეებში. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერი გამოთქვამდა თვალსაზრისს ქართული ენის წარმოშობის თაობაზე ლაიბნიციდან (XVII-XVIII სს. გერმანელი ფილოსოფოსი) მოყოლებული დღემდე.

სწორედ ლაიბნიცის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ენის ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის თეორია. ამ აზრმა XIX საუკუნეშიც გაიჟღერა გერმანელი ენათმეცნიერის ფრანც ბოპისა (1791-1867 წწ.) და ფრანგი მკვლევრის მარი ბროსეს (1802-1880 წწ.) შრომებში... ამ თეორიამ XX საუკუნეშიც პოვა მხარდამჭერები, თუმცა საბოლოოდ უარყვეს.

ნიკო მარი (1864-1935 წწ.) ქართულ ენას სემიტურ ენებთან აკავშირებდა. უფრო ადრე ასეთი მოსაზრება გერმანელმა ენათმეცნიერებმა მაქს მიულერმა (1823-1900 წწ.) და ფრიდრიხ მიულერმა (1834-1898 წწ.) გამოთქვეს... ნ. მარი თავისი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე ამ აზრს აღარ იზიარებდა...

XIX საუკუნეშივე გაიჟღერა აზრმა ქართული ენის თურანულ (ალათაურ) ენებთან ნათესაობის შესახებ (მაქს მიულერი)...

XX საუკუნეში ქართული დრავიდულ ენებთანაც დააკავშირეს (თანამედროვე გერმანელმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა)...

მეცნიერებაში საკმაოდ სერიოზულად განიხილებოდა საკითხი ქართული ენის ნათესაობისა წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველ (ამჟამად მკვდარ) ენებთან: შუმერულთან, ხათურთან, ხურიტულთან, ელამურთან, ურარტულთან, პელაზგურთან... ეს თეორია დღესაც არ კარგავს მეცნიერულ ღირებულებას, მეცნიერულ ინტერესს (არნოლდ ჩიქობავა). ეს ფართო თემაა. ამჯერად ამ მინიშნებით დაკავშირდებით...

ასეთი დიდი გულისყური ევროპულ ენათმეცნიერებაში ქართული ენის წარმომავლობის თაობაზე ისევ ევროპული ენების შესწავლის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ისტორიულ-მედარებითმა ენათმეცნიერებამ დღის წესრიგში დასვა სწორედ ევროპული ენების კვლევა. ამ გზაზე გვერდი ვერ აუარეს ინდო-ევროპულ ენობრივ სამყაროსთან რეალურად დაკავშირებულ ქართულს, სტრუქტურული თვალსაზრისით, დიდად საინტერესო ენას.

ევროპაშივე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა აზრი ქართული ენის განკერძოებულობის შესახებ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსაზრება, რომ ქართული არ მიეკუთვნება ზემოწარმოდგენილ არც ერთ ჯგუფს ენებისას, რომ ქართული წარმო-

**შობით უკავშირდება მხოლოდ კავკასიურ ენებს** (კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებულ ენებს)... ეს აზრი 1864 წელს გამოთქვა **ფრიდრიხ მიულერმა**. იგი მიიჩნევდა, რომ ქართულ-კავკასიური ენები არის დამოუკიდებელ ენათა ოჯახი, გადმონათობი უფრო დიდი ჯგუფისა... ძირითადად ეს აზრია დღეს მეცნიერებაში გაზიარებული.

ამგვარად, პოზიცია ასეთი იყო: ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოში ცნობილ ენათა ოჯახებს, **ქართულის მონათესავე ენებია კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენები: ქართველური** (სვანური, მეგრულ-ლაზური) **ენები, აფხაზურ-ჩერქეზული ენები, ჩეჩნურ-ინგუშური ენები და დაღესტნის ენები.**

ქართულსა და მის მონათესავე ენებს **იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს** უწოდებენ. **იბერიულ-კავკასიური** ენათმეცნიერული ტერმინია და არ უდრის გეოგრაფიულ ტერმინს – **კავკასიური ენები (კავკასიის ენები)**; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიაში მოსახლე ხალხების ენები – სომხური, ოსური, აზერბაიჯანული – არ არიან ამ ოჯახის (იბერიულ-კავკასიურის) წევრები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში 30-ზე მეტი ენაა. ეს ენები, როგორც ითქვა, კავკასიის ტერიტორიაზე არიან გავრცელებული. ამ ენათა ოჯახში ოთხი ჯგუფი გამოიყოფა:

1. ქართველური ენები (ანუ იბერიული ჯგუფი) – ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური;
2. აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფი – აფხაზური, აბაზური, ჩერქეზული (ადიღეური), ყაბარდოული;
3. ნახური ჯგუფი – ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური (წოკა-თუშური);
4. დაღესტნური ჯგუფი – ხუნძური, ანდიური, დიდლოური, ბოთლიხური, დოდობერიული, ჭამალალური, ბაგვალალური, ახვახური, კარატაული, ხვარშიული, კაპუჭურ-ჰუნზიბური,

პინუხური, ლეზგიური, თაბასარანული, რუთულური, წახურული, უდიური, ბუდუხური, ხინალულური, კრიწული, არჩიბული, დარგუული, ლაკური (არნ. ჩიქობავა)...

ზემოთ ის თვალსაზრისიც მოვიყვანეთ, ქართული ენის გენეზისურ კავშირს რომ მიუთითებს წინა აზიის მკვდარ ენებთან – ურარტულთან, ხურიტულთან, შუმერულთან, ელამურთან, პელაზგურთან, ხათურთან... მეცნიერები სერიოზულად ფიქრობენ ამ თემაზეც...

კავკასიის ტერიტორიის გარეთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცოცხალ წევრად **ბასკური ენა** მიიჩნევა. ბასკები სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში – პირენეის ნახევარკუნძულზე – მოსახლეობენ. ბასკეთის ტერიტორიისა და მოსახლეობის ორი მესამედი ესპანეთში არის, ერთი მესამედი – საფრანგეთში.

ბასკური ენისადმი ინტერესი ევროპაში იმთავითვე იმან გამოიწვია, რომ ინდოევროპულ ენათა გარემოცვაში მყოფი ენა თავისი ბუნებით (სტრუქტურით) პრინციპულად განსხვავდებოდა გარემომცველი (ძირითადად ინდოევროპული) ენებისაგან. დღეს გავრცელებული შეხედულებით, ყველაზე დიდ სიანლოვეს ბასკური ენა ტიპოლოგიურად იბერიულ-კავკასიურ ენებთან ავლენს. მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებით შთამბეჭდავია მსგავსება ამ ენათა ოჯახის სამხრეთულ ჯგუფთან – ქართველურ ენებთან. ეს მსგავსება ისე აშკარა ჩანს, რომ ბასკურს ქართველურ ენათა ჯგუფის წევრადაც განიხილავენ (იან ბრაუნი). ამ ჰიპოთეზას ბევრი მომხრე ჰყავს. როცა ტიპოლოგიურ მსგავსებაზე საუბრობენ ბასკურსა და ქართველურ ენებს შორის, უპირველესად მიანიშნებენ: ზმნის მრავალპირიანობაზე (ევროპული ენების ზმნა ერთპირიანია), ერგატიული (მოთხრობითი) ბრუნვის მქონეობაზე (ევროპული ენებისათვის ბრალდებითის – აკუზატივის – მქონეობაა ნიშანდობლივი, რაც ბასკურსა და კავკასიურ ენებს არ ახასიათებს), ბრუნვაცვალებად სუბიექტზე (ევროპული ენების ზმნის სუბიექტი

ბრუნვაუცვლელია), ბრუნვაცვალებად პირდაპირ ობიექტზე და სხვა... და სხვა...

ბასკებსა და კავკასიელებს შორის ხელშესახებია არა მხოლოდ ენობრივი, არამედ სხვა სახის მსგავსებანი: ანთროპოლოგიური ტიპი, ეთნოგრაფიული პარალელები – მსგავსებანი ყოფით ცხოვრებაში, მუსიკალურ ფოლკლორში და ა.შ. გასული საუკუნის დამდეგს ცნობილმა მეცნიერმა ნიკო მარმა ბასკეთში იმოგზაურა და დაწერა წიგნი „პირენეის გურია“. გურიაში გაზრდილ დიდ მეცნიერს ბასკურმა ყოფამ გურია გაახსენა. წიგნში სწორედ ამ პარალელებზეა საუბარი... ზემოთაც ვთქვით, ბასკებიც იბერიელებად იწოდებიან.

რა არის ეს? – შემთხვევითი მსგავსება თუ კანონზომიერება? ანუ: კავკასიური და ბასკური ენები მონათესავენი არიან თუ არა? მეცნიერთა უმეტესობა იქით იხრება, რომ ეს მსგავსება გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს.

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პირენეის იბერიელები (ანუ ბასკები) გენეტიკურად კავკასიის იბერიელებთან არიან დაკავშირებულნი, არსებობდა შუა საუკუნეების საქართველოშიც. გიორგი მთაწმიდელის (1009-1065 წწ.) გადმოცემით, იოანე მთაწმიდელს (დაახლოებით 920-1005 წწ.) განუზრახავს წასულიყო ესპანეთში „ქართველთა ნათესავთა“ მოსანახულებლად... ძნელი სათქმელია, რას ემყარებოდა ეს ცოდნა; მაგრამ X-XI საუკუნეებში იმ აზრის არსებობას, რომ ბასკები ქართველების ნათესავები არიან, რაღაც სერიოზული საფუძველი რომ უნდა სდებოდა, ფაქტია...

ვსაუბრობთ გეოგრაფიულად ასე დაშორებულ ენობრივ ერთეულებზე. ცხადია, ეს აჩენდა და აჩენს ლოგიკურ კითხვებს – როგორ უნდა აიხსნეს ეს მსგავსება; ეს მსგავსება გენეტიკურია თუ არა? ამ კითხვებზე პასუხები არსებობს: ეს ცოდნა სერიოზულ წყაროს უნდა ეფუძნებოდეს...



კავკასიური და ბასკური ენების მსგავსებას ძირითადად ორგვარი ახსნა აქვს: **ერთის მიხედვით**, როგორც კავკასიელები, ასევე ბასკები მოსახლეობდნენ ზმელთაშუა ზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ისტორიული კატაკლიზმების შედეგად მოხდა მათი მიგრირება. ერთი (დიდი) ნაწილი წავიდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და დასახლდა კავკასიაში; მეორე (მცირე) ნაწილი წავიდა დასავლეთისაკენ და დასახლდა პირენეებში. ცხადია, ეს ჰიპოთეზა ქართველთა ავტოქთონობის თეორიას არ ეთანხმება...

არსებობს **სხვა ჰიპოთეზაც**, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულის იბერიელთა წინაპრად კავკასიის იბერიელებს მიიჩნევს; ანუ: პირენეის იბერიელები კავკასიიდან არიან მიგრირებულიო. ამ ჰიპოთეზას ჰყავს სერიოზული მხარდამჭერები... როგორ, რატომ, როდის მოხდა ეს მიგრაცია? – ამის თაობაზე მეცნიერები ვერას ამბობენ. ანტიკურ ავტორებთან იმაზეც იყო საუბარი, რომ კავკასიის იბერიელები პირენეიდან არიან გადმოსახლებულიო. მოგვიანო პერიოდში ეს ჰიპოთეზა აღარ გაუმეორებიათ...

ასე რომ, **კავკასიის იბერიელებისა და პირენეის იბერიელების გენეტიკურ ნათესაობას აქვს სერიოზული საფუძველი**, თუმცა მრავალი კითხვა პასუხგასაცემია. საკითხის კომპლექსური შესწავლაა საჭირო – და არა მხოლოდ ენათმეცნიერული შედარება ენებისა...

ასევე სერიოზული მეცნიერული საფუძველი აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა წინა აზიის მკვდარ ენებთან ნათესაობის თეორიასაც, თუმცა კითხვა აქაც მრავლადაა... პასუხები მომავლის საქმეა...

ფაქტი ერთია და თითქოს საყოველთაოდ გაზიარებული: ქართული ენა იბერიულ-კავკასიური ენაა; იგი ენათესავება მის მეზობლად, კავკასიაში, გავრცელებულ ენებს და მათთან ერთად ქართული ქმნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.

## ქართული ქართველური მნაა

\* \* \*

მეოცე საუკუნის დიდი ქართველი მწერალი **გრიგოლ რობაქიძე** თავის გერმანულენოვან რომანში – „მეგი – ქართველი გოგონა“ – გასული საუკუნის დასაწყისში ევროპას ასე აცნობს საქართველოს: „ევროპელ მკითხველს კი მინდა ვუთხრა: საქართველო სხვადასხვა კუთხეს აერთიანებს. აქ ცხოვრობენ: კახელები, ქართლები, იმერლები, გურულები, მეგრელები და აჭარლები; ასევე მთის ხალხები: სვანები, ხევისურები, ფშაველები და თუშები. ისინი ყველანი ქართველები არიან და ქართულად ლაპარაკობენ, გარდა სვანებისა და მეგრელებისა, რომლებსაც, ქართული ენის გარდა, საკუთარი ენებიც აქვთ. ეს ენები ფუძექართული ენის საფუძველზე არსებობენ; საერთოდ კი საქართველოს ყველა კუთხეში ერთიანი ლიტერატურული და საეკლესიო ენა მოქმედებს“ (გრიგოლ რობაქიძე, სამი რომანი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2013).

მწერალი სიამაყით საუბრობს საქართველოში ეთნოგრაფიული კუთხეების სიმრავლესა და ენობრივი სივრცის მრავალფეროვნებაზე... ჩვენი შემდგომი მსჯელობის საგანი ძირითადად სწორედ ეს ენობრივი მრავალფეროვნება იქნება...

ზემოთ ვთქვით, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იმ ქვეჯგუფს, რომელშიც ქართული შედის, ქართველურ ენებს ვუწოდებთ. ქართველური ენები – პირობითი ტერმინია. ამ ტერმინით ქართველთა მეტყველება აღინიშნება.

**ქართული (ქართველური) ენობრივი სივრცე საკმაოდ რთული რეალობაა.** საერთოდ კავკასიის ენობრივი სამყარო ძალზე მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესო სამყაროა.

\* \* \*

„ქართლ-კახეთი-იმერეთი, გურია და სამეგრელო – ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“ (ლუტუ მეგრელი) – ეს ლექსი ყველა ქართველმა ბავშვმა იცის; იცის ის, რომ ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ლაზეთი, სვანეთი, გურია, აჭარა, აფხაზეთი, მესხეთი, ჯავახეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი – საქართველოს კუთხეებია; ყველა ერთად ქმნის საქართველოს (აქ ისტორიული კუთხეებიც გავიხსენოთ, ამჟამად რომ სხვა ქვეყნების ფარგლებშია – საინგილო, ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-ერუშეთი, იმერხევი...)... ყველანი, ვინც ამ კუთხეებში ვცხოვრობთ, ვართ ქართველები. ისევე, როგორც საქართველო შედგება სხვადასხვა კუთხისაგან, ქართველებიც ერთობლიობაა სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა (ეთნოგრაფიული ჯგუფებისა – როგორც მეცნიერები უწოდებენ): ქართლებების, კახელების, იმერლების, მეგრელების, ლაზების, სვანების, გურულების, აჭარლების, მესხების, ჯავახების, რაჭველების, ლეჩხუმლების, ფშავლების, ხევსურების, მოხვევების, თუშების, მთიულების, გუდამაყრელებისა (ასევე ინგილოების, ტაოელების, კლარჯების, იმერხეველების...).

ყველა ამ კუთხესა და ეთნოგრაფიულ ჯგუფში **წიგნის ენა, საღმრთო ენა ქართულია.** ამიტომ წერდა X საუკუნეში გიორგი მერჩულე – „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებისო“.

თუმცა სხვადასხვა კუთხის ქართველთა მეტყველება მეტნაკლებად განსხვავებულია ერთმანეთისაგან და, შესაბამისად, სალიტერატურო ქართულისაგან, ამ სხვაობას ყოველთვის

გრძნობდა ქართველობა და ჩვენს შეგნებაში ჩვენი ამა თუ იმ კუთხის მკვიდრობა ამ კუთხისათვის დამახასიათებელ მეტყველებასთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად, ხევსური ამაცობდა თავისი ხევსურული მეტყველებით და მოხვეე – მოხეურით. ეს მათ ქართულთან როდი აშორებდა. პირიქით, ისინი თავიანთი ხევსურობითა თუ მოხვეეობით ქართველობდნენ.

თუმცა ზოგჯერ ეს ფაქტი გარკვეული გაუგებრობის საგანიც გამხდარა... სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებულმა გაუგებრობამ ათქმევინა აკაკი წერეთელს: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მას დაუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და ამიტომაც იმერლობას ნურავინ მიიკუთნებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა...“

საბედნიეროდ, სხვადასხვა კუთხის ქართველთა მეტყველება ყოველთვის აღიქმებოდა და აღიქმება ქართულად, თუმცა გრძნობდნენ იმ განსხვავებასაც მეტყველებაში, ერთ კუთხეს რომ ახასიათებდა მეორესთან მიმართებით... დიალექტოლოგიის ქრესტომათიაში ჩარგლელი ფშაველისაგან ჩაწერილი ტექსტია შეტანილი, ღიმილით რომ ამბობს უკანაფშაველებზე: „დასიცილი იცინა უკვინა ფშავეში აქიურ სიტყვებზე“... ფაქტია, რომ ჰკითხო კახელს თუ ქართლელს, იმერელს თუ აჭარელს, ჩარგლელ ფშაველს თუ უკანა ფშაველს, რა ენაზე საუბრობო, გეტყვის – ქართულად... დიახ, ისინი ქართულად საუბრობენ; კახური მეტყველება, ქართლური, ხევსურული, ფშაური, იმერული და მისთანანი ქართული ენის ნაირსახეობანია.

განსხვავებული ვითარებაა საქართველოს კუთხეებში – სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში. იაკობ გოგებაშვილი როცა „ბუნების კარში“ საქართველოს აღწერდა, ამ კუთხეების მეტყველებას ენად მოიხსენიებდა: „მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა. სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან. მეგრელი იმერელსა და გურულს ისე ძლიერ ემ-

სგავსება, რომ ქართული და კახელი ამათ ერთმანეთში ძნელად გაარჩევს. **მარტო** ერთ არიან **ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმია ქართულის ენისა.** გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელებმა კარგად იციან ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიანჩნიათ, რადგანაც წირვა-ლოცვა მთელს სამეგრელოში იმ თავიდგანვე ქართულს ენაზედ სრულდებოდა და ახლაც სრულდება“. ასევე ამბობს ჭანებზე (იმავე ლაზებზე): „ჭანები ძმები არიან მეგრელებისა... **ჭანური ენა იგივე მეგრული ენაა ცოტაოდენის განსხვავებით.** ქართული ენაც ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრელებმა“... სვანეთის დახასიათებისას იაკობი წერს: „ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს სვანები შეადგენენ. პირი-სახით სვანი ძლიერ ჰგავს მთიულს ქართველებს: ფშავლებს, ხევსურებს, თუშებს და სხვებს... **სვანური ენაც ქართული ენიდგან არის წარმომდგარი;** ქართული სიტყვები და მეტადრე მეგრული სვანურს ენაში ძალიან ბევრია. ამიტომ როგორც მეგრელები, ისე სვანები ქართულს ენას რამდენსამე თვეს წმინდად შეისწავლიან ხოლმე“...

ასე რომ, სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის ქართველთა ადგილობრივ მეტყველებას ენად მოიხსენიებს იაკობ გოგებაშვილი და არა მხოლოდ ის. ადგილობრივ კილოზე მეტყველ მეგრეს, ლაზსა და სვანს რომ ჰკითხო, რა ენაზე საუბრობო, გეტყვის – მეგრულადო, ლაზურადო, სვანურადო. სხვა კუთხეების მცხოვრებთ რომ იგივე კითხვა დაუსვა (ზემოთაც ვთქვით), გიპასუხებს – ქართულადო. ე. ი. ქართველთა თვითშეგნებაში მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველება ენად აღიქმება; იმერული, კახური, ხევსურული თუ სხვა – ქართული ენის ნაირსახეობად – დიალექტად...

თუმცა ეს ტერმინები ზოგჯერ ირევა: სვანურსა და მეგრულ-ლაზურს კილოებად მოიხსენიებენ... არ არის ეს შემთხვევითი; არც რაიმე პრობლემის შემქმნელი არ უნდა იყოს... ნებისმიერი მეტყველება შეიძლება დავახასიათოთ, ერ-

თი მხრივ, ენათმეცნიერულად, მეორე მხრივ – მისი სოციალური ფუნქციის მიხედვით.

როცა მეტყველების დახასიათება ხდება ენათმეცნიერულად, ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ ამ მეტყველების ყველა ენობრივ მხარეს – ფონეტიკურს, მორფოლოგიურს, სინტაქსურს; ლექსიკას... მეგრულის, ჭანურისა (ლაზურის) და ქართულის მიმართ ასეთი მონოგრაფიული კვლევა ჩაატარა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ (1898-1985 წწ.) გასული საუკუნის 30–იან წლებში („ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ გამოიცა 1936 წ.). ამ მონოგრაფიაში ავტორი, ერთი მხრივ, ჭანურ მეტყველებას მეცნიერულად აანალიზებს. ესაა ფონეტიკური დახასიათება, მორფოლოგიური სტრუქტურის აღწერა და ძირითადი სინტაქსური მოვლენების ანალიზი; მეორე მხრივ, ყოველივე ამას უდარებს მეგრულ მეტყველებას და, მესამე მხრივ, შეაჯერებს ქართულ მეტყველებასთან. მეცნიერმა თვალნათლივ აჩვენა, რომ **ჭანური და მეგრული მეტყველება, სისტემური თვალსაზრისით, ერთნაირია; ერთი მეორის მიმართ მხოლოდ დიალექტურ სხვაობას ავლენს.** ისინი ისე მიემართებიან ერთმანეთს, როგორც ნებისმიერი ენის ორი დიალექტი (მაგალითად, გურული და კახური...); ქართული კი სისტემურად განსხვავებულია მათგან... ამიტომაც **ენათმეცნიერულად მეგრულ-ჭანური გააზრებული უნდა იქნეს ერთ ენად, განსხვავებულად ქართული ენისაგან.** სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ერთ ენას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: მეგრულ-ჭანური, მეგრულ-ლაზური, ზანური (ზანებად სვანები სახელს სდებენ მეგრულ-ლაზებს), კოლხური – ეს ტერმინი აკაკი შანიძემ (1887-1987 წწ.) შემოიღო; მანვე გამოიყენა ტერმინი **ქამესური** – აბრევიატურული ვარიანტი (**ქა**-რთული – **მე**-გრული – **ს**-ვან-**ურ**-ი). სხვაობა ჭანურსა და მეგრულს შორის ძირითადად ლექსიკის დონეზე იზრდება, რადგან საუკუნეების განმავლობაში ლაზისტანი (ჭანეთი) მოწყვეტილი იყო დედასამშობლოს –

ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად. იგი XIX საუკუნის 70-იან წლებში შემოუერთდა საქართველოს, თუმცა XX საუკუნის დამდეგს კვლავ მიიტაცა ოსმალეთმა (მხოლოდ ნახევარი სოფელი ლაზისტანისა – სარფი – დარჩა საქართველოს ფარგლებში). თურქულმა ენობრივმა გარემოცვამ და ქართული ენობრივი სივრცისაგან მოწყვეტამ გამოიწვია ლაზურსა და მეგრულს შორის სხვაობის გაზრდა.

**შენიშნავთ:** ლაზურისა და მეგრულის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იოსებ ყიფშიძე (1882-1919) ლაზურსა და მეგრულს სხვადასხვა ენად მიიჩნევდა. ეს თვალსაზრისი დღესაც მისაღებია ზოგი მკვლევარისათვის უცხოეთსა თუ ჩვენში...


აქ ერთი საკითხიც არის გასათვალისწინებელი: ქართველურ ენობრივ სივრცეში (სხვა ქართველურ ენა-დიალექტთა გვერდით) იოლია ლაზურსა და მეგრულს შორის მსგავსების შემჩნევა და ერთ ენად გააზრება... ლაზისტანში, რომელიც არაქართულ ენობრივ გარემოშია მოქცეული, ლაზური, ცხადია, ენად აღიქმება – გარემომცველი ენობრივი სამყაროსაგან მკვეთრად განსხვავებული ენობრივი ერთეული... ეს ფაქტორიც უწყობს ხელს ლაზურის ცალკე ენად გააზრებას (თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლაზისტანი სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად საუკუნეობით მოწყვეტილი იყო საქართველოს... ეს ფაქტორი სხვაობასაც ზრდის, განსაკუთრებით, ლექსიკის ხარჯზე...

რაც შეეხება სვანურ მეტყველებას, იგი ენათმეცნიერულად ენობრივ დონეზე განსხვავდება, ერთი მხრივ, მეგრულ-ლაზურისაგან და, მეორე მხრივ, ქართულისაგან. ამ შემთხვევაში სხვაობა ქართული მეტყველებისაგან უფრო მკვეთრია,

ვიდრე კოლხურის შემთხვევაში. მეცნიერები ამ ფაქტსაც უძებნიან ახსნას: სვანური მეტყველების გამოყოფა დედაქართულისაგან (როგორც დიალექტისა) და შემდგომ ჩამოყალიბება დამოუკიდებელ ენად უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მეგრულ-ლაზურისაო...

ასე რომ, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ლაზურ-მეგრული ერთი ენაა (შეიძლება ორ ენადაც მივიჩნიოთ), სვანური – მეორე, ქართული – მესამე (და, თუ გავიზიარებთ ზემოწარმოდგენილ თვალსაზრისს, ბასკური – მეოთხე)... ვიმეორებთ, ეს **ენათმეცნიერულად**.

**შენიშვნათ:** ენათმეცნიერები ქართველურ ენათა ურთიერთმიმართებას ასე გამოხატავენ (წარმოვადგენთ სქემის მიხედვით ქურდიანისეულ ვარიანტს):



\* \* \*

არსებობს სხვა თვალსაზრისიც, სხვა ხედვაც; **მეტყველების შეფასება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამ მეტყველების სოციალური ფუნქცია.**

სოციალური თვალსაზრისით, ქართული ენის ფუნქცია პრინციპულად განსხვავებულია სხვა ქართველური ენებისაგან:

ქართული არის წიგნის ენა სრულიად ქართველურ ენობრივ სივრცეში, საღმრთო ენა (როგორც იაკობ გოგებაშვი-



ლი იტყოდა), დედაენა (ამ ტერმინის თაობაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ).

ხოლო **მეგრულ-ლაზურისა და სვანურის** ფუნქციები შეზღუდულია: მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველება, ისევე იაკობ გოგებაშვილს დავესესხოთ, „მინაურობაში სახმარი კილოებია“... აქ ტერმინებიც აირია: დიალექტი, კილო, მინაურობაში სახმარი ენა, საშინაო კილო... – ერთმანეთს ენაცვლება...

სოციალური ფუნქცია მეგრული, ლაზური, სვანური მეტყველებისა ისეთივეა, როგორც ხევსურთა, ფშაველთა, მოხევეთა და სხვა კუთხეების ქართველთა ქართული მეტყველებისა (დიალექტებს რომ ვუწოდებთ).

ამიტომ, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ სვანური ენაა, ვგულისხმობთ საკითხისადმი ენათმეცნიერულ მიდგომას; თუ ვიტყვით, რომ სვანური, მეგრული, ლაზური კილოა (დიალექტია), ვგულისხმობთ სოციოლინგვისტურ მიდგომას.

ასე რომ, ქართველურ ენობრივ სივრცეში, **ერთი მხრივ**, არის ქართული სალიტერატურო ენა – წიგნის ენა, ოფიციალური ენა, საღვთო ენა (რომელიც საერთოა სრულიად საქართველოში ყველა კუთხის ქართველთათვის) და, **მეორე მხრივ**, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველთა „მინაური მეტყველებანი“, ზეპირი მეტყველება – არა წიგნის ენა, არა ოფიციალური ენა, არა საღვთო ენა (თითოეული მათგანით – სარგებლობს შესაბამისი კუთხის მკვიდრი ქართველი...) – ეს, ვიმეორებთ, როცა ვსაუბრობთ ქართველთა მეტყველების სოციალურ ფუნქციაზე, ხოლო, როცა ვახდენთ ენათმეცნიერულ ანალიზს, ქართული (მისი კილოებითურთ), სვანური (მისი კილოებითურთ) და ზანური (მისი კილოებითურთ) ენებად განიხილება. ეს არის საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი. გავხანავთ: არ უნდა მოხდეს დონეების აღრევა (ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისებისა), მით უმეტეს მეცნიერებაში! არადა, პოლიტიკური ინტერესებისთვის, პროვო-

კაციებისთვის გამიზნულად არაერთგზის მომხდარა ამ თვალსაზრისების აღრევა (ისტორიულადაც და დღესაც!).

შეიძლება, ვინმე ვითარებას მეცნიერული თვალსაზრისით არ აფასებდეს, როცა ამბობს – მეგრული ენაო, სვანური ენაო, მაგრამ გავითვალისწინოთ ტერმინთა სინონიმურობის საკითხი: ენა, კილო, კილო-კავი... თავის დროზე ვარლამ თოფურია (1901-1966) შენიშნავდა, „სინონიმურ ტერმინებს შემოაქვს გაურკვეველობაო“; ამიტომ ზოგ შემთხვევაში პირობითობას ვერ ავცდებით... ეს ტერმინები ზოგადად მეტყველების მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ და არა მეცნიერული სხვაობა ვეძებოთ ამ ტერმინებს შორის. გავიხსენოთ გამოთქმები – კარგი ენა აქვს, ცუდი ენა აქვს... ასევე ვსაუბრობთ მწერლის ენაზე: რუსთველის ენა, ილიას ენა, ვაჟას ენა (ვაჟა-ფაშველასთან ასეთი ფრაზაც შეგვხვდება – „ფშაური ენა და მისი კილო“...); ცხადია, ენა ამ შემთხვევაში ზოგადად „მეტყველებას“ გულისხმობს და არა „ენას“ – ლინგვისტურ ერთეულს...

მაგრამ, მეცნიერული თვალსაზრისით, საერთოდ ამ თემაზე – სვანური, მეგრულ-ლაზური ენაა თუ დიალექტი – ქართულ სინამდვილეში ისტორიულად ყურადღება არავის გაუმახვილებია, ოდითგანვე ყველაფერი ნათელი იყო: „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვოდა და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებოდა“ სრულიად საქართველოში. მხოლოდ XIX საუკუნეში რუსულმა იმპერიულმა აზრმა მოისურვა სხვადასხვა კუთხის ქართველთა შორის დაპირისპირება, უთანხმოების ჩამოგდება ენობრივ ნიადაგზე... ჩათესვა იმ აზრისა, რომ ქართველები, მეგრელები და სვანები სხვადასხვა ხალხები არიან, რადგანაც განსხვავებულად საუბრობენო... ასეთ რაღაცასაც წერდნენ: საქართველოში ცხოვრობენ მეგრელები, სვანები და ქართველებიო; მეტიც: ქართველები, აჭარლები, კახელები და სხვანიო...

ეს ნაცადი ხერხი იყო – „დაყავი და იბატონე!“: იმპერია ხელს უწყობდა და აქეზებდა პროვოკატორებს... დაიწყეს ფიქრი ქართული სკოლების მეგრული სკოლებით ჩანაცვლებაზე,

მეგრულად საღვთო წიგნების თარგმნაზე... საბედნიეროდ, XIX საუკუნის ქართველი საზოგადოების საღი აზრი დაუპირისპირდა მტრულ იმპერიულ მცდელობას და გაიმარჯვა.

სწორედ ამ დროს შექმნა იაკობ გოგებაშვილმა თავისი გენიალური ალლოთი ტერმინი **დედაენა** (და წიგნი „დედაენა“). თანამედროვე ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა ვინფრიდ ბოედერმა ეს ფაქტი ასე შეაფასა: „**იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება**“... **დედაენა** – ამგვარი კომპოზიტი ევროპულ ენებშიც არის (მაგალითად, გერმანული Muttersprache), მაგრამ ევროპული გაგება ტერმინისა სხვა არის – იგი დედის ენას, მშობლის სალაპარაკო ენას, აკვნის ენას გულისხმობს. იაკობ გოგებაშვილს ეს ტერმინი ამ გაგებით არ შეუქმნია (თუმცა მისთვის ამ ტერმინის ევროპული გაგება ცნობილი იყო). **დედაენა** ქართული გაგებით იმგვარ კომპოზიტთა ანალოგიით შეიქმნა, როგორიცაა: **დედაბოძი, დედაქალაქი, დედააზრი**... ანუ: **მთავარი ბოძი, მთავარი ქალაქი, მთავარი აზრი** და **მთავარი ენა**. სწორედ ამის შესახებ საუბრობდა მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე: „ქართველთათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს – „დედა-ბოძს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“... და შექმნა იაკობმა ტერმინი **დედაენა**. იაკობამდე ეს ტერმინი რომ არ არსებობდა, ამის დასტური არის თუნდაც ის, რომ ილიასა და აკაკის ნაწერებში ეს ტერმინი ჩნდება მხოლოდ 1876 წლის შემდეგ (1876 წელს გამოვიდა იაკობის საანბანე წიგნი „დედაენა“). რატომ გახდა საჭირო ამ ტერმინის შექმნა, რას გულისხმობდა ამ ტერმინში იაკობი და როგორ გავიგოთ, „ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა“ (ვინფრიდ ბოედერი)?

# დედა ენა

ან უ

ანანი და პირველი საქითხაჲი წიგნი

სახალხო უკოლმებისათვის

შედგნილი ი. ზოგებაშვილისაგან.



გამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

შელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.  
1876

„დედაენა“

დედაენას იაკობი გამოიყენებს მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად. ამ ცნების აღსანიშნავად სხვადასხვა დროს სხვაგვარი შესიტყვებებიც გვხვდება იაკობ გოგებაშვილთან (და მის თანამედროვეებთან):

ლიტერატურული დედა-ენა,  
ძირითადი ქართული ენა,  
ძირითადი მშობლიური ენა,  
მთავარი ენა,  
მთავარი დედა-ენა,  
ზოგადი დედა-ენა,  
ზოგადქართული კულტურული ენა,  
საღმრთო ენა.

ყველა ეს გამოთქმა ქართული სალიტერატურო ენის აღმნიშვნელია, ხოლო მეგრულ-ლაზურისა და სვანურის აღსანიშნავად იგივე იაკობ გოგებაშვილი გამოიყენებს ტერმინებს:

შინაურობაში სახმარი კილო,  
ადგილობრივი კილო,  
ადგილობრივი დიალექტი,  
ადგილობრივი კილო-კავი,  
მშობლიური კილო,  
თემური კილო-კავი,  
შინაურობაში სახმარი ენა...

ასე რომ, იაკობის აზრით, დედაენა, საღმრთო ენა, მთავარი ენა, სალიტერატურო ენა... – მეგრელთათვის, ლაზთათვის, სვანთათვის, იმერელთათვის, კახელთათვის, ხევსურთათვის და, საერთოდ, ყველა კუთხის ქართველთათვის არის ქართული ენა. ესაა მთავარი ფუნქცია (სოციოლინგვისტური ასპექტი) ქართული ენისა. ასე ესმოდათ ჩვენს წინაპრებს ოდითგანვე და ასე ესმით ეს დღესაც სხვადასხვა კუთხის ქართველებს – მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, იმერლებს, კახელებს, მოხვევებს...

თავისთავად ქართულ ენობრივ სივრცეში რომ სიმრავლეა „ადგილობრივი კილოებისა“, ეს სიმდიდრეა ქართული ენისა, ქართველობისა, თუმცა, როგორც ვთქვით, ამ ჩვენი უნიკალური სიმდიდრის ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება სცადეს XIX საუკუნეში ქართველთა არაკეთილმოსურნეებმა. ამგვარი მცდელობა XX საუკუნეშიც იყო: 30-იან წლებში მარქსის შრომების თარგმნა მოისურვეს მეგრულად; გაზეთის გამოცემაც მოინდომეს... საუკუნის დასასრულს „ვეფხისტყაოსნის“ „თარგმანები“ გამოსცეს მეგრულად, გაზეთებიც დაიბეჭდა... სვანურად ბიბლიური წიგნების თარგმნასაც მიჰყვეს ხელი... „ვეფხისტყაოსნის“ ითარგმნა და გამოიცა... ეს მცდელობანი ძირითადად უცხოური გრანტებით ფინანსდებოდა... მტრულად განწყობილი უცხოელის მიზანი გასაგებია – ისევ ენობრივი ფაქტორი გამოიყენება ქართველთა ურთიერთდასაპირისპირებლად...

ქართველთა ეროვნული მთლიანობის მტრები ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულის სწავლება შეძოვიდოთო. უფრო ადრე მეგრული სკოლების გამართვაზეც გაიშალა საუბარი...

ვინც ამას ამბობს ან მხარს უჭერს ამგვარ იდეას (თითო-ოროლა კაცი), არ ითვალისწინებს ერთ არსებით ფაქტს: წიგნის ენა ქართველებისა – დედაენა – ქართულია. შეიძლება თუ არა მას რომელიმე კუთხეში ჩაენაცვლოს ადგილობრივი კილო? – ფაქტობრივ, ეს ყოველად შეუძლებელია:

უპირველესად, ეს იქნება იმათგან მრავალსაუკუნოვან მდიდარ საერთო კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმა.

მეორეც – სვანური და მეგრულ-ლაზური არსებობს მხოლოდ დიალექტების სახით. მაგალითად, სვანური ოთხი დიალექტითაა წარმოდგენილი: ბალსზემოურით, ბალსქვემოურით, ლენტეხურითა და ლაშხურით (ზოგი მკვლევარი მეხუთე დიალექტად ჩოლურულსაც გამოყოფს). თითოეული ეს დიალექტი მკვეთრად ინდივიდუალური ნაირსახეობაა სვანური მეტყველე-

ბისა, საკმაოდ საინტერესო თავისებურებებით განსხვავებული. რომელ დიალექტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, თუკი „ბიბლიას“ სვანურად ვთარგმნით? ანდა ვის სჭირდება ეს და რისთვის? ეს კითხვა პროვოკაციის ინიციატორებს არც დაუსვამთ... არ დაუსვამთ იმიტომ, რომ იციან: ამ კითხვას პასუხი არა აქვს... საერთოდ, წიგნის ენა არცერთ შემთხვევაში არ იმეორებს რომელიმე კონკრეტულ ნაირსახეობას ენისას და იგი საერთო უნდა იყოს ყველა ნაირსახეობისათვის (ასეა არსებული სალიტერატურო ენების შემთხვევაში).

აქ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში სალიტერატურო ენა – წიგნის ენა – და ხალხური შემოქმედება. ხალხური პოეზია, ფოლკლორი ამ ენებზე (სვანურზე, მეგრულზე, ლაზურზე) ყოველთვის იქმნებოდა და იქმნება დღესაც; წიგნებადაც გამოცემულა და გამოიცემა კიდევაც... მაგრამ ეს არაა „სალიტერატურო ენა“, „სამწიგნობრო ენა“... ასეთი ფენომენი სხვა პრინციპებით იქმნება...

ჩვენ მიერ ზემოთ დასმული კითხვები ის კითხვები და პრობლემებია, რომლებზე დაფიქრება არც უცდიათ იმათ, ვინც სვანურად თუ მეგრულად სკოლების შემოღება და ქართული კლასიკური მწერლობის თარგმნა მოისურვა.

და კიდევ ერთი მთავარი (მივანიშნეთ კიდევაც ზემოთ ამაზე): საქართველოს ყველა კუთხის ქართველი საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა იმ მდიდარ და უნიკალურ კულტურას, **ქართული კულტურა** რომ ჰქვია. ამგვარი მცდელობით კი უნდათ მეგრელები და სვანები მოსწყვიტონ ფესვებს, ტრადიციულ კულტურას... მეგრელი, ლაზი და სვანი თუ სხვაა, არაა ქართველი, მაშინ არც ეს ქართული კულტურა ყოფილა მისი!...

**მეგრელები, ლაზები, სვანები** ისევე არიან მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, მწიგნობრობის შემოქმედნი, როგორც იმერლები, ქართლები, კახელები და სხვანი... ქართული სალიტერატურო ენა ისევეა მეგრელების, ლაზებისა და

**სვანების საკუთრება, როგორც იმერლების, ქართლელების, კახელებისა და სხვათა...** მეგრულად, ლაზურად და სვანურად ისევე არ არის საჭირო ლიტერატურის თარგმნა თუ სკოლის შექმნა, როგორც იმერულად, ქართლურად, კახურად თუ ფშაურად... როგორც ვიკვლევთ, ვსწავლობთ და ვპატრონობთ სვანურ და მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორს, უნიკალურ სიმღერებს (როგორც ქართული მუსიკალური ფოლკლორის ორგანულ ნაწილს), ისე უნდა ვიზრუნოთ სვანური და მეგრულ-ლაზური მეტყველების მოვლა-პატრონობაზე (როგორც ქართული ენობრივი სივრცის განუყოფელ და ორგანულ ნაწილზე)... სწორედ ამიტომაც, რომ „საქართველოს კანონში სახელმწიფო ენის შესახებ“ საგანგებო პუნქტია წარმოდგენილი: „სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“.

ასე რომ, ის, რაც თავისებურებაა ქართული ენობრივი სივრცისა (მეტყველების ნაირსახეობათა მრავალფეროვნება), ჩვენს ეროვნულ სიმდიდრედ უნდა შევრაცხოთ, თუმცა, გავიმეორებთ, არაკეთილისმყოფელმა ამ ჩვენი სიმდიდრის ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოყენება სცადა. ცხადია, ამ ხმას არ უნდა ავყვეთ...

ვთქვით, XIX საუკუნემდე ენობრივი სივრცის მრავალფეროვნება პრობლემად არ გვქცევია... ვიცოდით და ვიცით: **ერთობა ამ ნაირსახეობათა არის სიძლიერე ქართული ენისა.** საინტერესო შედარებას გვთავაზობს იაკობ გოგებაშვილი. გვანსოვს, რომ წერდა – მეგრული, ლაზური და სვანური შტოებია ქართული ენისა; ტოტემოჭრილი ხე არ არის ხე. რომელნიც ქართულიდან ამათ მოწყვეტას ცდილობენ, „ისინი იმავე სიკეთეს მოძიებენ, რა სიკეთეც მოელის ტოტებსა, ხიდგან მოჭრილებსა. დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან. ნუ ვინ მოიყვანს აქ



საწინააღმდეგო საბუთად მცნობას. სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე; მაგრამ, თუ იგი ამყენეს სრულიად სხვა გვარს ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებს. ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება... **ღიადი განცალკევება ჰლუპავს ეროვნულს ხესაც და მისგან მოშორებულ ტოტებსაც...**“ და ეს მონაკვეთი ისევ იაკობის შეგონებით უნდა დავასრულოთ, უკეთესად ვერც ვიტყვით: „ღმერთს იმისთანა დიდებული არსება, როგორც არის მთელი ერი, შეუქმნია არა გადაშენებისა და დაქვეითებისათვის, არამედ წარმატებისა და ბედნიერებისათვის. ამიტომ ჩვენ ყველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავსახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის დედა-ენისა სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიაში და სკოლაში, ისეთივე მტკიცე დაცვა, როგორც მტკიცედ იცავდნენ ამერნი, იმერნი – მეგრელები და სვანნი – ამ ეროვნულს საუნჯეს მრავალ საუკუნის განმავლობაში, ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“.

\* \* \*

როგორ ჟღერს, როგორია სვანური, მეგრული თუ ლაზური მეტყველება? ვისთვისაც ეს უცნობია, გარკვეული წარმოდგენა რომ შევუქმნათ თითო ლექსს მოვიყვან ნიმუშად ამ კუთხეთა ხალხური შემოქმედებიდან. ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ მკითხველი იმაშიც დარწმუნდება, რომ ლაზური, მეგრული თუ სვანური პოეტური ფოლკლორი ღვიძლი ნაწილია დიდი ქართული პოეტური კულტურისა, დიდი ქართული პოეტური აზროვნებისა, ღვიძლი ძმა სხვა კუთხეების ხალხური პოეზიისა... საჭიროდ მივიჩნევთ, ლექსებს ქართული შესატყვისებიც თან დავურთოთ.

## სვანური ლექსი

### თამარ დედფალ

ო, ხიადულ, თამარ დედფაღლ,  
ჩინ მაჩენე თამარ დედფაღლ!  
ფაღთვარ ჯაგანდა ყვარყვლაი,  
თერალ ჯისგურდა გიშირიშე,  
შდგქარ ჯადდა მარგლიტიშე;  
სგაშხან ჯაქუდა ატლასე,  
ქაშშხან ჯაქუდა აბჯარე  
ჭგშხას ჯასდანდა, ო, ჩექმარე,  
თხუმას ჯაგანდა ზურჩია;  
ჩაჟილდ ჯეყად ქვიშიში ფერიშ,  
ჰენგრილ ჯიგანდა, ოღ, ლეშქაღდი,  
ჰაღვირ ჯისღანდა ლუნცროვე,  
მიღრაღ ჯულღანდა ოქვრაღში,  
თამარ დედფალ, თაღამარაღლსი,  
ჩიდ მაჩენე თაღამარაღლსი!

(მულახი)

## ქართული შესატყვისი

### თამარ დედოფალი

ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,  
ყველაზე უკეთესო, თამარ დედოფალო!  
თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,  
თვალეები გეჯდა გიშირისა,  
კბილეები გქონდა მარგალიტისა;  
შიგნით გეცვა ატლასი,  
გარეთ გეცვა აბჯარი,  
ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები,  
თავზე გედგა ზურჩი;  
ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,

უნაგირი გეღვა, ომ, მოჭედლი,  
აღვირი გეღვა მოვერცხლილი,  
მათრახი გქონდა ოქროსი,  
თამარ დედოფალო, თამარ,  
ყველაზე უკეთესო თამარ.

მეგრული ლექსი

**ჩქიმი ნინა ქორთული**

ჩქიმი ნინა ქორთული,  
სარიკო დო მორკული,  
მიცორს ჩქიმი დიდაცალო,  
თიშო ვორექ, თიშო ვხანდექ,  
უბირქ მაფშალიაცალო,  
თისი ქოგუალუაფუქ  
სანთელო დო ოკმაფუო,  
სიცოცხლე დო სამოთხე რე  
ოფუჩუერი საქორთუო...

ქართული შესატყვისი

**ჩემი ენა ქართული**

ჩემი ენა ქართული,  
საზღაპრო და საოცარი,  
მიყვარს (ჩემი) დედასავით,  
მისთვის ვარ, მისთვის ვშრომობ,  
ვუმღერი ბუღბუღივით,  
მას შემოვევლები  
სანთლად და საკმეველად,  
სიცოცხლე და სამოთხეა  
საფიცარი საქართველო...

## ლაზური ლექსი

მჯვეში გურჯიშენ მოხთეს, გიჩქინი, ჯუმა ჩქინი?  
ჩქინ გოჭკონდინერი ვორეთ, მჯვეშური ჯუმა ჩქინი!  
გურჯისტანის დილო რენ არქადაშეფე ჩქინი!  
გურჯისტანის რენან-ი ნოსერი ჯუმა ჩქინი?  
ლაზი, გურჯი, მეგრელი – თელითი ჯუმა ჩქინი!  
თურქიქ დომჭვეს, დომხალეს, ამბაი ვარ გიჩქინი!...  
ჩქინ თქვანი ნამუ ვორეთ, აწიშა ვარ მიჩინით...  
დილო ბგორით მეჯვეშეფე, აღანი ვარ ვიჩინით...

## ქართული შესატყვისი

ძველ ქართველთა მოდგმა ვართ, თუ იცი, ჩემო ძმაო?  
დავიწყებულეხი ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!  
საქართველოში ბევრია ჩვენი ამხანაგები!  
საქართველოში არიან ჩვენი ჭკვიანი ძმები?  
ლაზი, ქართველი, მეგრელი – ჩვენი ძმები ყველანი!  
თურქმა დაგვწვა, დაგვდაგა, შენ არ იცი ამბავი?...  
ჩვენ კი თქვენი ვინა ვართ, აქამდე ვერ გვიცანით...  
ბევრჯერ ძველნი ვინატრეთ, ახლები ვერ ვიცანით...

სხვა კუთხეების ქართველთა მეტყველების ნიმუშებს  
ქვემოთ შემოგთავაზებთ (გვ. 136-149).

## ქართული სამეფრობო მნაა

ერის ისტორიაში ღგება ჟამი, როცა მას უჩნდება სურვილი, თავისი ნაფიქრი, ნააზრევი სხვას გადასცეს, დროისა თუ სივრცის მიუხედავად; შემოუნახოს იგი შთამომავლობას... ამისთვის იქმნება დამწერლობა. ამბობენ, დამწერლობის პირველი ნიმუშები უბველეს ეპოქებში ჩნდებაო... მერე იხვეწება, სრულყოფილი ხდება და საუკუნეების განმავლობაში ემსახურება მის მშობელ ხალხს... დიდმა ერებმა ასე შექმნეს თავიანთი დამწერლობანი ათასწლეულების წინათ და კაცობრიობა გაამდიდრეს თავიანთი მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებით... ასე გახდა ათასეული წლების წინანდელი გენიოსების ნააზრევი მომდევნო თაობების კუთვნილება...

ენებს, რომელთაც აქვთ დამწერლობა, სამწერლობო ენებს უწოდებენ. ანუ: არსებობენ სამწერლობო და უმწერლობო ენები. სამწერლობო ენას კულტურულ (ანუ სამწერლობო კულტურის მქონე) ენასაც უწოდებენ; ასე რომ: დამწერლობა საფუძველია წერილობითი კულტურისა.

**ქართული სამწერლობო ენაა!... კულტურული ენაა!...**

ამბობენ, მსოფლიოში 5000-ზე მეტი ენა-დიალექტი არისო. ამათგან დამწერლობა აქვს მხოლოდ რამდენიმე ასეულს.

**მათ შორის არის ქართული ენაც!...**

დამწერლობის მქონე რამდენიმე ასეული ენიდან მხოლოდ რამდენიმე ათეულია უბველესი დამწერლობის მქონე.

**მათ შორის არის ქართული ენაც!...**

დამწერლობის მქონე რამდენიმე ასეული ენა მოიხმარს სხვადასხვა საანბანე სისტემას, ანბანს. ამბობენ, დღეს მსოფლიოში გამოიყენებენ დამწერლობის მხოლოდ ორ ათეულამდე სახეობას.

### **მათ შორის არის ქართული დამწერლობაც!...**

დღეს არსებული ანბანის უმეტესობიდან თითოეულს რამდენიმე ენა მოიხმარს. მაგალითად, ლათინური ანბანის საფუძველზე შედგენილ დამწერლობებს გამოიყენებს რამდენიმე ათეული ენა: ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა, ამერიკის, ავსტრალიისა თუ აფრიკის ქვეყნების დიდი ნაწილი... მსოფლიოში სულ რამდენიმე ანბანია, რომელთაც მოიხმარენ მხოლოდ მათი შემქმნელი ერები...

### **მათ შორის არის ქართული ანბანიც!**

(იყო დრო, როცა ქართულ ანბანს დამწერლობისთვის აფხაზური ენაც იყენებდა (1938-1954 წლებში), მაგრამ ამჟამად აფხაზური დამწერლობა სლავურ ანბანს ეფუძნება...).


ასე რომ, ქართული უძველესი დამწერლობის მქონე ენაა; უძველესი სამწერლობო ენაა, სალიტერატურო ენაა, კულტურული ენაა (ეს სინონიმური გამოთქმებია)... ქართული დამწერლობა არის მსოფლიოში ერთ-ერთი **უძველესი სრულყოფილი ანბანური სისტემა**.

ბუნებრივია, გვანტერესებს, როდის გაუჩნდათ სურვილი ქართველებს, ჰქონოდათ საკუთარი დამწერლობა, საკუთარი ანბანი?

– როგორც ჩანს, ამის შესახებ ჩვენმა წინაპრებმა ძალიან დიდი ხნის წინათ იზრუნეს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, V საუკუ-

ნით თარიღდება. ბოლნისის სიონის ტაძრის (თბილისიდან 60-  
ოდე კილომეტრითაა დაშორებული) სამშენებლო წარწერა  
492-493 წლებში არის შესრულებული (ა. შანიძე). XX საუ-  
კუნის 50-იან წლებამდე ეს წარწერა ჩვენამდე მოღწეულ უძ-  
ველეს ქართულ წარწერად მიაჩნდათ. 1952-1953 წლებში  
იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში,  
იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართუ-  
ლი მონასტრის ნანგრევები, რომლის იატაკზეც შემორჩენილი  
იყო მოზაიკით შესრულებული ქართული წარწერები. ამ წარ-  
წერათაგან უძველესი, მეცნიერთა აზრით, მეზუთე საუკუნის  
დასაწყისისაა – 428-432 წლებით თარიღდება (გ. წერეთე-  
ლი...). ასე რომ, ამ აღმოჩენით უძველესი ქართული წერილო-  
ბითი ძეგლის თარიღმა ერთბაშად ექვსი ათეული წლით წინ  
გადაიწია, 60 წლით გახანგრძლივდა დოკუმენტირებული ის-  
ტორია ქართული დამწერლობისა...




ბოლნისის წარწერა



ამ აღმოჩენამ გააჩინა იმედი, რომ „აღმოჩენათა ეპოქა“ არ დასრულებულა, გაგრძელებოდა და, აი, ისიც: უფრო მოგვიანებით, XX საუკუნის ბოლოს, კახეთში, ნეკრესის ნაქალაქარში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქართული წარწერები, რომლებიც წინარექრისტიანული ეპოქის ძეგლებად იქნა მიჩნეული; ე. ი. IV საუკუნემდე (ლ. ჭრელაშვილი, ზ. ჭუმბურიძე).

ეს ძალიან საინტერესო აზრი სამუშაო ჰიპოთეზაა. თარიღის დაზუსტება და არსებული კითხვის ნიშნების მოხსნა მომავლის საქმეა...



### პალესტინის წარწერები (V-VI სს)

თუ ამ აღმოჩენათა დინამიკას მივადევნებთ თვალს, შეიძლება იმედით შევხედოთ მომავალს: არ გამოირიცხება, აღმოჩენილ იქნეს უფრო ადრინდელი ძეგლებიც დამწერლობისა...



ამ ვარაუდს ლოგიკური საფუძველი აქვს. მეცნიერულად და-  
 დასტურებული, უდავო და უეჭველი კი არის ის, რომ I  
 ათასწლეულის დასაწყისში ქართველებს დამწერლობა უკვე  
 აქვთ! რეალური დოკუმენტირებული ისტორია ქართული მწიგ-  
 ნობრობისა სწორედ V საუკუნიდან იწყება (დანარჩენი ჯერ  
 სამუშაო ჰიპოთეზააა...)...




ნეკრესის წარწერა

\* \* \*

ჩვენი ოპტიმიზმი უსაფუძველო რომ არ არის, ფაქტია.  
 ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ქართლში, გრაკლიანის გო-  
 რაზე, სულ ახლახან არქეოლოგიური გათხრების შედეგად მი-  
 კვლულ წარწერაზე.

უკვე XXI საუკუნეში 2007 წელს, ავტომაგისტრალის მშენებლობის დროს გამოვლინდა უნიკალური არქეოლოგიური მასალა გრაკლიანის გორაზე (კასპის მახლობლად). ამ ფაქტის მოთხრობისას ვემყარებით არქეოლოგ ვახტანგ ლიჩელის პუბლიკაციებს.

გრაკლიანის გორა წარმოადგენს მრავალფენიან ძეგლს (სულ გახლავთ 11 არქეოლოგიური ფენა, რაც მის ძალიან დიდ სიძველეზე მიუთითებს). აქ დასტურდება 300000 წლიანი (3000 საუკუნის!) უწყვეტი განვითარება ქვის ხანიდან დაწყებული რომაული პერიოდის ჩათვლით.



გრაკლიანის წარწერა

გრაკლიანის ისტორიულ მნიშვნელობას აძლიერებს მესამე ტერასაზე გამოვლენილი უნიკალური არქიტექტურული ნაშთი სატაძრო კომპლექსისა (25X6 მ). ეს ტაძარი აღმოჩნდა 2015 წელს. სწორედ ამ ტაძრის პორტამენტზე გამოვლინდა ერთსტრიქონიანი დღემდე უცნობი დამწერლობის კვალი.

ეს არის აშკარად ანბანური დამწერლობის ნიმუში. წარწერა გამოსაკვლევად გაიგზავნა აშშ-ში, მაიამის ლაბორატორიაში (ეს არისო მსოფლიოში ერთ-ერთი ლაბორატორია, სადაც ამგვარი კვლევა ტარდება). დადგინდა, რომ გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი წარწერა **შესრულებულია ძველი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებში (1005-950 წლებში)**. ამ ფაქტს ზოგადად დამწერლობის, და, კერძოდ, ქართული დამწერლობის ისტორიისათვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. წარმოვიდგინოთ: მსოფლიოში უძველესი ანბანური დამწერლობა არის ფინიკიური, რომელიც თარიღდება დაახლოებით ძვ.წ. 1050 წლით. შემდეგ შეიქმნა (მისი გავლენით) ებრაული დამწერლობა დაახლოებით ძვ.წ. მე-10 საუკუნეში; ამის შემდგომ – ბერძნული დამწერლობა, ძვ.წ. IX საუკუნეში; ლათინური დამწერლობა – ძვ.წ. მე-7 საუკუნეში; და მოგეხსენებათ, ქართული დამწერლობა ფარნავაზისდროინდელად მიიჩნევა (ძვ.წ. IV-III საუკუნეები)...

ინტენსიურად მიმდინარეობს გრაკლიანის წარწერის კვლევა. იკვეთება, რომ **„ეს ნამდვილად წარწერაა და თან ქართველური წარმოშობის წარწერა“**. გრაკლიანის წარწერის აღმოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ **„ქართველებმა ანბანური დამწერლობა შევქმენით არა 2400, არამედ 3000 წლის წინათ – მსოფლიოში პირველებმა, ფინიკიელებზე ადრე, ან მეორეებმა – ფინიკიელების შემდგომ“**... ამ ვარაუდს იზიარებენ და აქვეყნებენ ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჰოლანდიური, იტალიური სამეცნიერო გამოცემანი...

ეს ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენა, უდიდეს პერსპექტივას უქმნის ქართული დამწერლობის წარმოშობის ისტორიას... ცვლის დამწერლობის მსოფლიო ისტორიას...

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წელია გასული ამ იმედისმომცემი აღმოჩენიდან. დაველოდოთ მომავალი კვლევების შედეგებს...

არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ დამწერლობა ქართველებს ჰქონდათ V საუკუნეზე გაცილებით ადრე. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძნულ წყაროებში არაერთი ცნობა მოგვეპოვება იმის თაობაზე, რომ ქართველებს (კოლხებს) წინარექრისტიანულ ეპოქაში ჰქონდათ მწიგნობრობა...

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის – **ლეონტი მროველის** – ცნობას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ; უფრო სწორად, ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებულ ცნობას. მემპტიანის მიხედვით, ქართული დამწერლობის შექმნა ფარნავაზ მეფეს (ძვ. წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში მოღვაწეობდა) უკავშირდება: „**ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული** და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თუნეირ ქართულისა და **ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული**“. ფაქტია, რომ XI საუკუნის ისტორიკოსი ემყარება უფრო ადრეული ეპოქის მემპტიანის ცნობას. მეცნიერები საუბრობენ ამ ცნობის სარწმუნოების მაღალ ხარისხზე, რადგანაც ლეონტი მროველის მოთხრობილ სხვა ამბებს ისტორიკოსები ფაქტად მიიჩნევენ (მეფეთა ცხოვრება იქნება თუ ისტორიული მოვლენები). ცხადია, ასევე უნდა მივუდგეთ ფარნაოზის მოღვაწეობის შესახებ გადმოცემულ ცნობასაც. დამწერლობათმცოდნე **რამაზ პატარიძის** კვლევამ მეტი სარწმუნოება და დამაჯერებლობა შესძინა ფარნაოზის ეპოქაში ქართული დამწერლობის არსებობის თეორიას. დამწერლობის წარმოშობის ფარნავაზის ეპოქასთან დაკავშირება კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარმა – **დავათის სტელამ** (ქვაჯვარმა). დავათის სტელის თაობაზე ზემოთაც ვწერდით (გვ. 26-27). აქ იმას ვიტყვით, რომ ფიქრობენ, სტელაზე არსებულ წარწერაში დაშიფრული თარიღი ფარნავაზის ეპოქას ემთხვევაო... ამ და სხვა არგუმენტების

საფუძველზე გამოითქვა ასეთი აზრიც, რომ ფარნავაზის დროს კი არ შეიქმნა ქართული დამწერლობა, უკვე არსებული დამწერლობა ფარნავაზმა სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადაო... ანუ: ფარნავაზმა შექმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, ქართული ენა სახელმწიფო ენად აქცია ამ სახელმწიფოში და ქართული დამწერლობა – სახელმწიფო დამწერლობად!..

სხვათა შორის, მემატიანე ასეთ ცნობასაც გვაწვდის: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა“ („მემეცნებათა მატიანე“). საინტერესო ცნობაა!..

ვთქვით, ფარნავაზმა ქართული დამწერლობა სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადაო... ანალოგიისათვის გამოგადგება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფაქტი: ქრისტიანობა საქართველოში პირველივე საუკუნიდან შემოდის; გავიხსენოთ თუნდაც ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა საქართველოში და სხვა, მაგრამ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა IV საუკუნეში; და მივიჩნევთ, რომ IV საუკუნიდან ვართ ქრისტიანები... ასე გვგონია დამწერლობის შემთხვევაშიც... პოეტი რომ წერს, „26 საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანსო“ (გალაკტიონი), ვითომ ამგვარ ვარაუდს გულისხმობს? ძნელი სათქმელია...

ცხადია, ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ ქართული დამწერლობა V საუკუნეზე გაცილებით ადრინდელი ფაქტია, რატომ არ მოაღწია ადრინდელმა ძეგლებმა ჩვენამდე? ამ კითხვას პასუხი აქვს:

ჯერ ერთი, XX საუკუნის II ნახევრის აღმოჩენები (პალესტინის წარწერები, დავათის სტელა და ნეკრესის წარწერები...) გვაძლევენ იმის იმედს, რომ აღმოჩენების ეპოქა არ დასრულებულა...

და კიდევ: დამწერლობის ადრეული ძეგლების მოუღწევლობის ერთ-ერთ მიზეზად დროის ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ. დრომ და ბედმა აქცია უჩინრად გარკვეულ მომენტამდე პალესტინის წარწერები თუ დავათის სტელა... რამდენ ასეთ ძეგლს ინახავს ქართული თუ არაქართული მიწა, რამდენ ფაქტს საიდუმლოების ფარდა აქვს გადაფარებული. ვინ იცის... ღმერთმა ქნას, პალესტინის წარწერებისა და დავათის სტელის ბედი ერგოთ მათაც!..

დროის ფაქტორთან ერთად შემთხვევითობაც არ უნდა გამოვრიცხოთ. ასეთ ამბავს ჰყვებიან: ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას ექვთიმე თაყაიშვილი შემთხვევით შეესწრო, დიასახლისმა ნაგავს როგორ გააყოლა გაყვითლებული ფურცლები. იგი „ხელმწიფის კარის გარიგება“ აღმოჩნდა, უნიკალური ძეგლი ქართული სამართლისა, XIV საუკუნეში შექმნილი... იგი ამ ერთადერთი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული. რომ არა ბედნიერი შემთხვევა, დაუღვევრობა ამ ძეგლსაც შეიწირავდა... სხვა მაგალითი: ენათმეცნიერ ალექსი ჭინჭარაულს (1925-2011 წწ.) უყვარდა ერთი სინური ხელნაწერის ამბის მოთხრობა – ტყვედყოფილ ქართველს კონსტანტინეპოლის ბაზარში შეუძენია ავკაცის მიერ სინის მონასტრიდან მოპარული ქართული ხელნაწერი (ჯიბეში ორიოდ მარჩილი მელო და მატებითა და მატებითა ორიდან ერთი ხელნაწერის დახსნა მოვახერხეო, – წერს ტყვედყოფილი ანდერძ-მინაწერში) და აუტანია სინაზე ის გამოსყიდული ხელნაწერი. დიან, ამას ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერი გვაუწყებსო. ტყვედყოფილი გვამცნობს, რომ ვერ შეძლო მეორე ხელნაწერის გამოსყიდვა და ანამუსებს იმას, ვინც შეიძენს მეორე ხელნაწერს და არ ამოიტანს იქ, საიდანაც მოიპარესო... ტყვედყოფილი ხელნაწერს თავის სახელსა და გვარსაც კი არ მიაწერს... ამას ალექსი ჭინჭარაული „უსახელო ქართველთა“ ამბავს მოაყოლებდა... არადა შემთხვევამ უსახელო გმირად აქცია ის

ტყვედყოფილი – ძვირფასი საუნჯე გადაურჩინა შთამომავლობას... ასე რომ, შემთხვევითობა ის ფაქტორია, რომელმაც არაერთი წერილობითი ძეგლი შეიწირა ანდა გადაარჩინა...

როცა წერილობით ძეგლთა მოუღწევლობის მიზეზებზე ვსაუბრობთ, გარეშე მტრის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. მოგეხსენებათ, მომხდური არ ინდობდა არაფერს, რაც ჩვენს ეროვნულობას უკავშირდებოდა. ძირითადი სამიზნე ეკლესია-მონასტრები იყო: მტერი ჩვენს სარწმუნოებრივ გატეხას ისახავდა მიზნად; არადა, მწიგნობრობის ძირითადი კერები ძველ საქართველოში ეკლესია-მონასტრები გახლდათ... და, ვინ იცის, გარეშე მტრის ამ ზრახვას რამდენი საუნჯე შეეწირა...

და კიდევ: ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება გარკვეულწილად წინარექრისტიანულ კულტურასთან დაპირისპირების ფონზე წარიმართა. ამ დაპირისპირებამ, როგორც ჩანს, არაერთი კულტურული ძეგლი შეიწირა (სავარაუდოა, დამწერლობის ძეგლებიც...)... გავიხსენოთ თუნდაც უზენაესი წარმართული ღვთაება არმაზი და მისი ბედი... სხვაც შეიძლება გვეთქვას...

ფაქტია: უძველესი წერილობითი ძეგლების მოუღწევლობას აქვს მიზეზები...

მაგრამ მანც – იმედით ვუყურებთ მომავალს; ველით ახალი ძეგლების აღმოჩენას, ახალი არგუმენტების მოძიებას ქართული დამწერლობის წინარექრისტიანული ეპოქიდან მომდინარეობის თაობაზე; იმის შესახებ, რომ, როგორც გალაკტიონი ფიქრობდა, „ოცდაექვსი საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს“...

სანამ გრაკლიანის წარწერის რაობა და ქართული დამწერლობისადმი მიმართება გაირკვევა, მანამ ძველ თეორიებს ვერ დავივიწყებთ და ვერც გადავაფასებთ...

მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმანაც, თუ ქართული ანბანის შემოქმედს რომელი ანბანი ჰქონდა ნიშნად, როცა ქართულ დამწერლობას ქმნიდა. საუბრობენ უფრო ადრეულ ანბანურ სისტემებზე – ფინიკიურზე, არამეულზე, ბერძნულზე... ეს არ გულისხმობს იმას, რომ ქართული ანბანი იმეორებს რომელიმე სხვა ანბანს. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის შემოქმედი იცნობს სხვა დამწერლობებს და ამ ცოდნის საფუძველზე ქმნის ორიგინალურ, დამოუკიდებელ ანბანურ სისტემას. არსებობს სხვაგვარი გააზრებაც, თუმცა ამ თემას ჩვენ არ ჩავუღრმავდებით. მით უმეტეს, გრაკლიანის წარწერის კვლევა გრძელდება!... ამ კვლევის შედეგებმა საკითხის არსი შეიძლება რადიკალურად შეცვალოს, რა თქმა უნდა, ჩვენდა სასიკეთოდ!...

ორიოდე სიტყვა ქართული ანბანის სომხურობის თეორიაზეც; ეს „თეორია“ საკმაოდ პოპულარულია დღესაც უცხოურ გამოცემებში ჩვენი ისტორიული მეზობლებისა და მეგობრების „წყალობით“... VII-VIII საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში ჩნდება ცნობა, რომ სომხური ანბანის შემოქმედმა მესროპ მაშტოცმა (V საუკუნე) მას შემდეგ, რაც შექმნა სომხური ანბანი, ჯერ ალბანელებს (კავკასიის ალბანელებს – ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რომ მოსახლეობდნენ ოდესღაც და დღეს აღარ არსებობენ. იხილეთ აქვე: გვ. 14-15), ხოლო შემდეგ ქართველებს შეუქმნაო ანბანი. სომეხი ისტორიკოსი იმასაც გახაზავს, რომ თურმე მაშტოცმა ქართული ენა არ იცოდა და ღვთის შეწევნით შეძლო უცნობი ენის ანბანის შექმნა. თუნდაც ამ უკანასკნელი ცნობის გამო ეს ისეთი აბსურდული „თეორიაა“, არც ღირდა ამაზე დროის ხარჯვა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორ ვთქვით, ზოგი სომეხი მეცნიერი დღესაც იმეორებს ამ აბსურდს და ეს აზრი უცხოურ ენციკლოპედიურ გამოცემებშიც ჭაჭანებს...



არათუ უცნობი, ნაცნობი ენის ანბანის შექმნაც კი ურთულესი საქმე. სომხურობის „თეორიის“ აბსურდულობის დასტურად ესეც კმარა; გრაფიკული მსგავსება რომ არ არის ქართულ და სომხურ ანბანებს შორის, ესეც ფაქტია (ეს საკითხები მეცნიერულად სარწმუნოდ დაამუშავეს რამაზ პატარიძემ, ზაზა ალექსიძემ და სხვ.)... V საუკუნეზე უფრო ადრე რომ არსებობდა ქართული ანბანი, ამაზეც ვისაუბრეთ... რატომ გაჩნდა ასეთი ცნობა სომხურ საისტორიო თხზულებაში? – როგორც ჩანს, ეს ნაყალბევი ჩანართი V საუკუნის საისტორიო თხზულებაში გვიან, VII-VIII საუკუნეებში, ჩნდება – სომხურ-ქართული საეკლესიო განხეთქილების შემდეგ. ქართველებზე „განაწყენებული“ სომეხი ისტორიკოსი ქმნის „ფაქტს“, რომ ქართველები სომეხებისაგან დავალებულები ვართ! ჩვენი საკუთრების მითვისების არაერთი სხვა მცდელობაც ჰქონიათ ჩვენს ისტორიულ მეზობლებს... ამის თაობაზე არაერთი ნაშრომი შექმნილა... ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“ გახსოვთ? ჩვენ აქ ამის აღნიშვნით შემოვიფარგლოთ...

არადა ვთქვით: ანბანის შექმნა ნებისმიერი ენისათვის ურთულესი საქმეა-თქო. ანბანის შემოქმედი ანალიზებს ენის ბგერით სისტემას, გამოყოფს ბგერებს, როგორც მეცნიერები იტყვიან, ფონემებს – სიტყვათგანსხვავებული ფუნქცია რომ აქვთ, ისეთ ბგერებს, და მიუსადაგებს მათ გრაფიკულ ნიშნებს – ასოებს... (ასევე საოცარი სისტემურობით, გრაფიკული დახვეწილობით, ლოგიკურად უნაკლოდ შესრულებულს); უნდა ითქვას, რომ იმ უხსოვარ დროს ქართული ანბანის შემოქმედმა (თუ შემოქმედებმა) შეძლეს ყოველივე ეს შეესრულებინათ უნაკლოდ, უმაღლესი პროფესიონალიზმით და შთამომავლობას დაუტოვეს უნიკალური ქართული დამწერლობა. ამასაც ამბობენ, ქართული ენათმეცნიერების ისტორია აქედან უნდა დავიწყოთო, – ეს ფაქტი (ანბანის შექმნა) უდიდესი „ენათმეცნიერული ანალიზის“ შედეგია...

# ქართული ანბანი

1	2	3	4	5	1	2	3	4	5
ა	ბ	გ	დ	ე	ს	ლ	ბ	ს	200
ვ	გ	დ	ბ	2	ე	ქ	ც	ქ	300
ე	ვ	გ	2	3	ვ	ყ	3	ყ	
დ	ე	ვ	d	4	Qd	ყ	უ	u	400
ე	ვ	ე	e	5	ფ	ფ	ფ	p	500
ვ	ფ	ვ	v	6	ქ	ქ	ქ	k	600
ბ	ბ	ზ	z	7	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	700
ბ	ქ	ც	ē	8	ც	ყ	ყ	ყ	800
ქ	თ	თ	t	9	ც	ყ	შ	š	900
ე	ვ	ი	i	10	ჩ	ქ	ჩ	č	1000
ბ	ქ	კ	k	20	ც	ქ	ც	c	2000
ბ	ჩ	ლ	l	30	ქ	ქ	ქ	z	3000
ქ	ქ	მ	m	40	ჩ	ქ	ჭ	č	4000
ჩ	ქ	ნ	n	50	ს	ქ	ჭ	č	5000
უ	უ	ი	j	60	ქ	ქ	ბ	x	6000
Q	უ	ო	o	70	ქ	ქ	ქ	q	7000
უ	უ	პ	p	80	ქ	ქ	ქ	z	8000
ვ	ყ	ქ	z	90	ე	უ	ქ	h	9000
ქ	ქ	რ	r	100	ქ	ქ	ჭ	ω	10000

აქ ერთი ფაქტია საინტერესო, მაგალითად, სომხურ დამწერლობას V საუკუნიდან დღემდე სახე არსებითად არ შეუცვლია, მაშინ, როცა ქართულმა ანბანმა სამი საფეხური განვლო: 1. **ასომთავრული**, ანუ **მრგვლოვანი**, 2. **ნუსხური** და 3. **მხედრული**. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი გრაფიკული სტილი აქვს. არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს სამი სხვადასხვა დამწერლობაა. არა, ეს არის ერთი და იმავე დამწერლობის განვითარების სამი საფეხური: ნუსხური არის ასომთავრულის გრაფიკული განვითარების შედეგი, ხოლო მხედრული – ნუსხურისა. **ეს ცვლილებები განსაზღვრა სწრაფი, გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებამ, რასაც წიგნზე მზარდი მოთხოვნილება განაპირობებდა** (წიგნიერი წინაპრები გვყავდა, წიგნის ფასის მცოდნენი!). ეს ძალიან ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, თუ სხვადასხვა დროის წარწერებიდან თუ ხელნაწერებიდან ამოღებულ ასოებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგებთ; ყოველი მეზობელი ამ რიგში მკვეთრად ჰგავს ერთმანეთს, დაშორებულები – სხვაობენ. ასეთი სქემები არაერთი გაკეთდა და ამაში იოლად შეიძლება დავრწმუნდეთ.

ასომთავრულით შესრულებულ წარწერებსა და ხელნაწერებს XI საუკუნის ჩათვლით ვხვდებით. ნუსხური სახეობის პირველი ნიმუშები IX საუკუნიდან გვხვდება, ხოლო მხედრული X საუკუნის ძეგლებიდან დასტურდება. X საუკუნის შემდგომ ასომთავრული გამოიყენება ნუსხურისა და მხედრულის პარალელურად ეპიგრაფიკული წარწერებისა და ხელნაწერთა მთავრული ასოებისათვის... ნუსხური სახეობა მხედრულის პარალელურად XIX საუკუნემდე არსებობდა. ცოცხალია დღესაც – საეკლესიო ღვთისმსახურებასა და საგანმანათლებლო სივრცეში. დღეს ძირითადად გამოიყენება ქართული დამწერლობის მხედრული სახეობა. ანუ: იქმნება ახალი სახეობა, მაგრამ ძველს არ ვივიწყებთ, ძველს ახლის გვერდით თავისი ფუნქცია ეძლევა!...



ასომთავრულით შესრულებული ხელნაწერი



ნუსხურით შესრულებული ხელნაწერი



მხედრულით შესრულებული ხელნაწერი

ისე, საინტერესო კითხვები მაინც რჩება. გვახსოვს ალბათ, ზემოთ იმის თაობაზე ვსაუბრობდით, V საუკუნიდან დღემდე სომხური ენა ისე შეიცვალა, ორი ენა მივიღეთო (გრაბარი და აშხარაბარი), ქართულ ენას კი ამ დროის მანძილზე არ განუცდია მსგავსი ცვლილება; ქართული ერთი ენაა... სომხური დამწერლობა ფაქტობრივ არ შეცვლილა ამ დროის განმავლობაში, ქართულმა ანბანმა კი არსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა (განვითარდა, დაიხვეწა...)...

\* \* \*

როგორც ითქვა, უნიკალური მოვლენაა: საუკუნეთა წიად ჩამოყალიბებული სამი სახეობა ქართული ანბანისა თანაარსებობს გვერდიგვერდ. არ ხდება სრული ჩანაცვლება ერთისა მეორით. გასაგებია: **რომელიმე მათგანის** (განვლილი საფეხურის) **დავიწყება უმნიშვნელოვანეს კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმა იქნებოდა...** ამიტომ ფაქტობრივ ცოცხალია სამივე სახეობა! სამივე მათგანს თავ-თავისი ფუნქცია მიეჩინა! ეს გახდა საფუძველი იმ იდეისა, რომ ქართული ანბანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებულიყო.

და 2015 წელს „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“ მიენიჭა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი** (ინიციატივა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებას ეკუთვნოდა)! იმავე წელს „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ წარდგენილ იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ნომინირებისათვის.

და ღირსშესანიშნავი ფაქტი – **2016 წლის 30 ნოემბერს** იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობათაშორისო კომიტეტმა მე-11 სესიაზე ადის-აბებაში (ეთიოპია) „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ **კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა** და შეიტანა **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში** (უფრო ადრე ამ ნუსხაში საქართველოდან შევიდა ორი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი – „ქართული პოლიფონია“ და „ქვევრის ღვინოს დაცენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“!).

ერთი დამატებაც: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილი ნომინაციის – „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ – ერთ-ერთი მთავარი ელემენტი არის „დედაენა“ (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი)! ე. ი. ქართული ანბანი და მისი სწავლების მეთოდი-კა საკაცობრიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილადაა აღიარებული!

ხოლო ორივე ეს ძეგლი – ანბანიცა და „დედაენაც“ – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლებია!


**მსოფლიოში არსებულ ანბანთა შორის ერთადერთია ქართული დამწერლობა, რომელიც კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად იქნა აღიარებული იუნესკოს მიერ!**


ამ ფაქტით სამარადისო ძეგლი დაიდგა ქართული ანბანისა და მისი შემოქმედისა – ქართველი ხალხისა!

ეს არ იყო მოულოდნელი აღიარება ქართული ანბანისა; ეს იყო ჩვენი ეროვნული საუნჯის ობიექტური შეფასება და დაფასება...

შემფასებლები და დამფასებლები ქართულ ანბანს ყოველთვის ჰყავდა... გადაავლეთ თვალი უნიკალურ ქართულ ხელნაწერებს და დარწმუნდებით, რა სიყვარულით, მოკრძალებით, რუღუნებით ეფერება ქართველი მწიგნობარი თითოეულ ასოს...







მხატვრული ინიციალები (ამოკრებილი სხვადასხვა ხელნაწერიდან ელენე მაჭავარიანის მიერ)

სრულყოფილება და მშვენიერება უმთავრესი ღირსებაა ქართული ანბანისა. მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „ქვეყანაზედ არავის არ აქვს ქართულისთანა სრულყოფილი ალფაბეტი, ჩვენისთანა ფონეტიკური ტრანსკრიფცია მიულწეველია სხვა ერებისათვის ქართული ისე იწერება, როგორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება. ეს არის უმთავრესი თვისება და მშვენება ალფაბეტისა“.



ეს არ არის ქართულ ენაზე თავდავიწყებით შეყვარებული ქართველი მწერლის მხოლოდ თავმოწონება. ასე უცხოელებსაც უფიქრიათ. კონსტანტინე გამსახურდია გერმანელი პროფესორის, ფილოლოგ **ბარონ ფონ ლისტენბერგის** აზრს იმოწმებს: „მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და **ასეთი ლამაზი ასოები**, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება!“. კ. გამსახურდია ქართულის მცოდნე უცხოელი ორიენტალისტის შეფასებასაც გვაცნობს: მითხრაო – „ქართული ალფაბეტი ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია. მარტო ესთეტიკური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადა და ლამაზს, კოხტა ანბანს. ქართველები, ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“.

კიდევ ერთი შეფასებაც მოვისმინოთ. ინგლისელი მეცნიერი, კავკასიოლოგი **უილიამ ედუარდ დევიდ ალენი** წერს: „ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით, ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება...“

სწორედ ამიტომაც ქართული ანბანი არაერთი ქართული შემოქმედის პოეტური აღმაფრენის წყარო გამხდარა. ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) გავიხსენოთ:

„ან, ალვა ხარ ტანადობით,  
ბან, ბულბულს მიგიგავს ენა,  
გან, გიბრწყინავს პირისსახე,  
დონ, დახატული ხარ შენა,

ენ, ელვარე ბადრი მოვარე,  
ვინ, ვარსკვლავთ სურს შენი ბრწყინა,  
ზენ, ზილფ-კაკო, გიშრის თმაო...“ (და ა. შ.).

და ეს ნარკვევი **კონსტანტინე გამსახურდიას** ანბანთქებით დავასრულოთ – ქართული ანბანისა და ქართული ენის დიდებული ხოტბით:

– „ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო-მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

ანი, ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველბერძნებს ჩვენთვის).

ბანი, ყელმოღერილ სურებს, ღოქებს და ჭინჭილებს არა ჰგავს?

განი, ლაგვინებს და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

ღ, ყ, ლ, დ – წათებს, წერაქვებს და ჩაქუჩებს. ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის,

სანის,

ხარის,

ნარის,

ვინის,

ფარის,

წილის,

ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელშუბებს მაგონებს.

აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი.

და ამ დ-ს, ჳ, ჯ-ს პაწია მარყუჟები ვაზისადმი სიყვარულის ანარეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაესი მონადირე ტომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ეს თავმოდრეკილი ღონები, ღანები, ლასები ჩვენს გუთნებს, აჩაჩებს და კავებს მაგონებს.

ზოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის, ეგებ ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი, მესობოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბაღლსავით ვეთამამები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“.

დაბოლოს: ერთმა მწერალმა თქვა – როდესაც საქართველოს ბედზე დავფიქრდები, მიკვირს, როგორ გავუძელით ამდენ უბედურებას; მჯერა, რომ ქართული ენა და ქართული ანბანი იყო ის ორი დიდი გალავანი, რომელიც გარს ერტყა საქართველოს, ჩვენს ქართველობას და ამან დაგვიცვა, გადაგვარჩინაო (ლ. ბრეგაძე)...

აღბათ ამასვე გულისხმობდა მუხრან მაჭავარიანი, როცა წერდა:

„ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა!

ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი!

ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო!

საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია ორთავე“!

ღიას, ქართულმა ენამ და ქართულმა ანბანმა გადაგვარჩინაო...

და ეს გადაგვარჩეს კვლავაც!..

ჭემშარიტად!..

## ქართული სახელმწიფო მნაა

არსებობს ცნება „**სახელმწიფო ენა**“. ეს ცნება უპირველესად გულისხმობს, რომ არსებობს **სახელმწიფო** (პოლიტიკური ერთეული) – „ქვეყანა, რომელსაც თავისი საკუთარი მმართველობა აქვს“; და არსებობს ენა – რომელიც ამ სახელმწიფოს უმთავრესი ენაა; ოფიციალური ენაა... ანუ, ენას აქვს სახელმწიფოებრივი ღირებულება. სახელმწიფო ენად, ჩვეულებრივ, სალიტერატურო ენა იქცევა; სალიტერატურო ენა როცა იღებს სახელმწიფო ენის სტატუსს, იგი პოლივალენტური ხდება (არნ. ჩიქობავა).

**ქართული ენა სახელმწიფო ენაა დღიდან ქართული სახელმწიფოს არსებობისა;** ქართული სახელმწიფო კი ძალიან დიდი ხნის წინათ შეიქმნა.

პირველი ქართული სახელმწიფო – ქართლის სამეფო – თითქმის 2500 წლის წინათ ჩამოყალიბდა. ამ სამეფოს პირველი მეფე ფარნავაზი იყო, რომელიც მოღვაწეობდა ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დამდეგს. მემათიანის (ლეონტი მროველის) ცნობით, ფარნავაზის დამსახურებაა ის, რომ ქართული ენა იქცა პირველი ქართული სახელმწიფოს – ქართლის – სახელმწიფო ენად (რა თქმა უნდა, ტერმინს „სახელმწიფო ენა“ გამოვიყენებთ დღევანდელი გაგებით). ლეონტი მროველი (XI ს.) წერს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა, თუნცერ ქართულისა“.

**ქართლი ამ შემთხვევაში საქართველოს** გულისხმობს. ისტორიკოსები განმარტავენ: ფარნავაზმა ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა – ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად – მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის საერისთავოებად. ასე რომ, თითქმის სრულიად საქართველოს განაგებდა ფარნავაზი და სრულიად საქართველოში იქცა სახელმწიფო ენად ქართული.

მართალია, მომდევნო საუკუნეებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, მაგრამ **ენობრივი მთლიანობა შენარჩუნებულ იქნა**. მაგალითად, VIII-X საუკუნეებში საქართველო რამდენიმე ცალკე პოლიტიკურ ერთეულად წარმოგვიდგება – ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის სამეფოებად და ქართლის საერისთავოდ. გიორგი მერჩულე (X ს.) წერს: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“. გვასწოვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ – აფხაზეთს დემეტრე მეფე განაგებს; ტაო-კლარჯეთს – აშოტი და მერე – ბაგრატე; ქართლში არაბები ბატონობენ და ერისმთავარი მთავრობს (ნერსე იყო ერისმთავარი...). რეალობა ასეთია: ერთიანი სახელმწიფო დაშლილია, მაგრამ არსებობს ერთიანი „სახელმწიფო ენა“. აქ ერთი მომენტიცაა საგულისხმო: **ქართული ენა გააზრებულია საქართველოს ეროვნული მთლიანობის ნიშნად**. რასაც გიორგი მერჩულე ამბობს, ასე უნდა გავიგოთ: რომ არ იყოს წირვა-ლოცვა ერთ ენაზე – ქართულ ენაზე, ქართლი (საქართველო) არ იარსებებდაო. „ფრიადი“ მრავალს ნიშნავს ძველ ქართულში. ე.ი. მრავალი ნაწილი („ფრიადი ქუეყანად“) საქართველოსი ერთიანი ქართლია და მათ ქართული ენა ამთლიანებს, აერთიანებს...

სწორედ ამ განმარტებას („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების...“) უწოდა პავლე ინგოროყვამ **„კლასიკური ფორმულა საქართველოს მთლიანობისა“!**

როცა წერენ, „გრივოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ეროვნული მთლიანობის იდეა ნაქადაგებო, სწორედ ამას გულისხმობენ...

დიახ, ქართული ენა იყო სიმბოლო ქვეყნის მთლიანობისა. ასე იყო ეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების ეპოქაშიც და მაშინაც, როცა ქვეყანა პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული გახლდათ.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქცია არ მოშლილა და არ შეზღუდულა მაშინაც კი, როცა საუკუნეების წიად ჩვენი ქვეყანა განიცდიდა გარეშე მტრის ძლიერ პოლიტიკურ ზეგავლენას. გავიხსენოთ არაბების, მონღოლების, სპარსელებისა და ოსმალების მიერ საქართველოს მთლიანი თუ ნაწილობრივი ანექსიის ფაქტები. ქართული ენა რჩებოდა საქართველოს ოფიციალურ ენად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ასე იყო ეს XIX საუკუნემდე.

**ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას საფრთხე XIX საუკუნეში შეექმნა.** სწორედ XIX საუკუნის დამდეგს საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა: რუსეთის იმპერიამ შეძლო მისი სრული ანექსია; საქართველო აღარ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო; იგი გახდა რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი (დასავლეთ საქართველო ქუთაისის გუბერნიად იქცა, აღმოსავლეთ საქართველო – თბილისის გუბერნიად; თბილისი კავკასიის მთავარმართებლის (შემდგომში მეფისნაცვლის) რეზიდენციად გამოცხადდა. საქართველოში ოფიციალური (საქმისწარმოების, განათლების, სასამართლოს,

ღვთისმსახურების...) ენა რუსული იყო... ვიმეორებთ: ფარნავა-ზიდან მოყოლებული (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე ოფიციალურად კარგავს სახელმწიფო ენის სტატუსს და ეს ვითარება (როცა საქართველოში ქართულ ენას ჩამოერთვა სახელმწიფოებრივი ფუნქცია) საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში დაიწყო ფართომასშტაბიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში ქართული ენისათვის თავისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება, რუსული ენის მიერ წართმეული უფლებების აღდგენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპის დასაწყისად მიჩნეულია ილია ჭავჭავაძის წერილის – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“ – გამოქვეყნება. იდგა 1861 წელი. გავიხსენოთ მთავარი შეგონება ილია ჭავჭავაძისა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“... და იქვე: „სხვისი არა ვიცი და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო“.

სწორედ აქედან, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, იწყება ქართული ენის მიერ დაკარგული სივრცის დაბრუნება: წართმეული სახელმწიფოებრივი უფლებების აღდგენა... მთელ ქვეყანაში გაიხსნა ორ- და ოთხკლასიანი ქართული სამრევლო სკოლები, აღდგა ქართული თეატრი, გამოვიდა ქართულენოვან-

ნი ჟურნალ-გაზეთები (ეს საქმე უფრო ადრე დაიწყო, 50-იან წლებში).

1918 წლის იანვარში ქართული უნივერსიტეტის გახსნამ ქართული ენა მეცნიერების ენადაც აქცია...

და ეს გზა – ქართული ენის მიერ სახელმწიფო ენის ფუნქციების დაბრუნებისა და მოპოვებისა – დასრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით (1918 წლის 26 მაისი). და აი უმნიშვნელოვანესი ფაქტი – საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა.

სამწუხაროდ, საქართველოს პირველი კონსტიტუცია უდღეური აღმოჩნდა. იგი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს. მოგეხსენებათ, ოთხი დღის შემდეგ რუსეთმა კვლავ მოახდინა საქართველოს ანექსია... თუმცა იმ ფაქტს, საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ქართული რომ სახელმწიფო ენად გამოცხადდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: როგორც ქვემოთ ვნახავთ, სანამ ბოლშევიკები თავიანთ კონსტიტუციას მიიღებდნენ (1922 წელს), ქართული ენისადმი დამოკიდებულებას პირველი კონსტიტუციის ნორმა განსაზღვრავდა... და შემდგომაც ბოლშევიკურ კონსტიტუციებში ქართული ენის სტატუსის განსაზღვრაში პირველი კონსტიტუციის გავლენა ჩანს...

პირველი კონსტიტუციის (1921 წ.) პირველ თავში ნათლად და ლაკონიურად იყო ჩამოყალიბებული: „**საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა**“.

ეს გახლავთ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია და პირველი საკონსტიტუციო ჩანაწერი სახელმწიფო ენის შესახებ.

როგორც ვთქვით, სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოსა და მის კონსტიტუციას დიდი დღე აღარ ეწერა...



1921 წლის 25 თებერვლიდან ათვლას იწყებს „ახალი საქართველო“ – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის (მოდერნიზებული რუსული იმპერიის) შემადგენელი ნაწილი გახდა...

ქართული ენა სახელმწიფო ენად ამ „სახელმწიფოს“ კონსტიტუციამაც გამოაცხადა: **„საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა“**...

ყურადღება მივაქციოთ სიტყვას „ითვლება“. ეს არ არის კონსტიტუციისათვის დამახასიათებელი ფორმულირება: ჩვეულებრივ წერენ – „სახელმწიფო ენა არის“... ბოლშევიკების კონსტიტუციაში ეწერა „სახელმწიფო ენად ითვლება“. ფაქტია, აქ მინიშნებაა სწორედ წინა (დამოუკიდებელი საქართველოს!) კონსტიტუციაზე. სხვათა შორის, ასეთივე ჩანაწერი არსებობს დედაქალაქის შესახებაც. ზემომოყვანილი ამონარიდი ასე გრძელდება – „ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად – ქ. ტფილისი“. იგულისხმება „ითვლება“. გააზრება ასეთი ჩანს: სახელმწიფო ენა იყო და იქნება ქართული; დედაქალაქი იყო და იქნება თბილისი...

ამკარა ფაქტია ბოლშევიკურ კონსტიტუციაზე დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის ზეგავლენა. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გვაძლევს.

ბოლშევიკური ხელისუფლება თავისი კონსტიტუციის მიღებამდე საუბრობს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, შესახებ. ჩვენს ხელთაა რევკომის (რევოლუციური კომიტეტის) ერთი ასეთი ბრძანება: **„სახელმწიფო ენა საქართველოში“**.

ბრძანება გამოქვეყნდა ბოლშევიკების უპირველეს სამთავრობო გაზეთ „კომუნისტში“ ბოლშევიკური კონსტიტუციის მიღებამდე. მოვიყვანთ ამ საინტერესო დოკუმენტის სრულ ტექსტს. ბრძანება იმითაცაა საგულისხმო, თუ ავადსახსენებე-

ლი ბოლშევიკებიც კი იმხანად როგორ იცავდნენ ქართულ ენას (ეს „მაგალითად“ გამოგვადგება დღევანდელ საქართველოშიც!...):

„მიუხედავად რეკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან.

რეკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად გაააქტიუროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რეკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციული მოქმედებებისათვის, რომლებიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილინი“.

(გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: ბოლშევიკები სახელმწიფო ენისადმი – ქართულისადმი – უდიერი დამოკიდებულებისათვის აპატიმრებდნენ და სჯიდნენ!...)

ბრძანებულება გამოქვეყნდა 1922 წლის მარტის ბოლოს.

ასე რომ, კონსტიტუციის მიღებამდე ბოლშევიკები საუბრობენ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესახებ. ვიმე-

ორებით, ეს სწორედ იმ პირველი კონსტიტუციის ზეგავლენაა. ფაქტობრივად ამ ბრძანებულებაში განმარტებულია, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი, ერთი მხრივ, ხელისუფლებისა და, მეორე მხრივ, თითოეული მოქალაქისა...

მომდევნო ბოლშევიკური კონსტიტუციები 1927 და 1937 წლებში გამოქვეყნდა. აქ უკვე „კონსტიტუციური ენით“ წერენ: „საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. როგორც ამბობენ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში (მოგესხენებათ, საბჭოთა კავშირში 15 მოკავშირე რესპუბლიკა შედიოდა) ადგილობრივი მოსახლეობის ენას ყველგან ასეთი სტატუსი არ ჰქონდაო (სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა მხოლოდ ქართულსა და სომხურ ენებს...)... ასე რომ, პირველ კონსტიტუციას, მართალია, არ დასცალდა მოქმედება, მაგრამ ამ კონსტიტუციამ სახელმწიფო ენად ქართულის დასამკვიდრებლად დიდი საქმე გააკეთა...

1970-იან წლებში მონინდომეს შეეცვალათ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია და, შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებიც (გაუმჯობესების მიზნით!). ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, საფრთხის წინაშე დადგა 1978 წელს. ამ წელს გამოქვეყნდა პროექტი განახლებული კონსტიტუციისა, რომელიც ქართულ ენას უუქმებდა სახელმწიფო ენის სტატუსს. კონსტიტუციის პროექტში 75-ე მუხლი ასე იკითხებოდა: „საქართველოს სსრ უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის“.

ჩანაწერი – „**უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას**“ – ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული არის სახელმწიფო ენა. ქართული ენა, იმ პროექტის მიხედვით, გათანაბრებული იყო საქართველოში არსებულ სხვა ენებთან. იმ სხვა ენათა ფუნქციებზე კი ასეთი რამ ეწერა: „საქართველოს რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ყველა იმ ორგანოსა და დაწესებულებაში რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“, და ამას მოჰყვებოდა საგანგაშო დასკვნითი ნაწილი ამ მუხლისა: „**რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება**“.

ასე რომ, საბჭოთა კონსტიტუციის 1978 წლის პროექტის მიხედვით, ქართული კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს და ქართული ენა უფლებრივად უთანაბრდებოდა საქართველოში ხმარებულ სხვა ენებს. თუმცა აქ ერთი „დაზუსტება“ საჭირო: რუსული ენა იმ სხვა ენათაგან განსხვავებულად იყო წარმოდგენილი...

ამ შემთხვევაში ერთი საკითხიც უნდა გავითვალისწინოთ: საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა. აქ სხვა ენების (სხვაგვარად: ეროვნული უმცირესობების) ენების სტატუსი და მდგომარეობა ყოველთვის იყო გათვალისწინებული. ამ მხრივ ისევ სანიმუშოა დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია: „**არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება, სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე**“, - ამას დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია აკანონებს. მივაქციოთ ყურადღება: ეროვნულ უმცირესობათა ენების ძირითად სფეროებად განისაზღვრება:

- ა) სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება;
- ბ) განათლების სფერო და
- გ) ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ბოლშევიკურ კონსტიტუციებში იწყება ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციათა გაზრდა. ცხადია, ეს კარგია, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ეს სახელმწიფო ენის – ქართული ენის – უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ხდება.

პირველ ბოლშევიკურ კონსტიტუციაში (1922 წ.) კვითხულობთ: „ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“. ესე იგი, ეს კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობათა ენებს აკანონებს სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც პირველი კონსტიტუციით მხოლოდ ქართული ენა იყო დაკანონებული...

**შენიშნავთ:** ეროვნულ და ენობრივ უმცირესობებზე საუბარი საფრთხილია: თემა ძალიან მგრძობიარეა; არასწორად დასმული აქცენტი შეიძლება უსიამოვნო შედეგის მომტანი აღმოჩნდეს... ტერმინები ენობრივი და ეროვნული უმცირესობები არ არის ყოველთვის სწორად გამოყენებული. **ენობრივი უმცირესობა** დაკავშირებულია ცნებასთან **ეროვნული უმცირესობა**; ანუ ეროვნულ უმცირესობათა ენას ეთქმის ენობრივი უმცირესობა (მაგალითად: ეროვნული უმცირესობებია ქურთები, ასირიელები...)... უხეში შეცდომაა, როცა ქართველურ ენებს ვინმე მოიხსენიებს ენობრივ უმცირესობად: მეგრელები, ლაზები და სვანები ეროვნებით ქართველები არიან და ამ-

ტომაც ვერ იქნებიან ენობრივი უმცირესობანი... სწორია და მართებული, როცა ქართველურ ენათა მიმართ სახელმწიფოს ზრუნვასა და დამოკიდებულებას განსაზღვრავს „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“...

აქვე შევნიშნავთ, რომ ენობრივ უმცირესობებად არ უნდა იქნენ მოხსენიებული საქართველოში კომპაქტურად მოსახლე მეზობელ სახელმწიფოთა წარმომადგენლების სახელმწიფო ენა (სომხური, აზერბაიჯანული)...

ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებებში არაქართული ენის ფუნქციონირების გაზრდა შესაბამისად ზღუდავს ქართული ენის უფლებებს...

ერთიც არის, რეალურად ქართული ენა უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში თითქმის არ იხმარება. მას აქ რუსული ენა ჩაენაცვლება. თუმცა რუსული ენა წინა კონსტიტუციებში ცალკე არ არის გამოყოფილი, მინიშნებული; იგი „სხვა ენებში“ იგულისხმება.

1978 წლის კონსტიტუციაში წინა პლანზე გადმოვიდა რუსული, და იგი „გამოეყო“ „სხვა ენებს“: ქართული, რუსული და სხვა ენები...

ეს იყო საბჭოთა ეროვნული და ენობრივი პოლიტიკის გამოვლენა: **რუსული ენა არ მიეკუთვნებოდა არც უცხო ენებს, არც „სხვა ენებს“**: სასწავლო პროგრამების შედგენისას საუბრობდნენ **ქართულის, რუსულის და უცხო ენების** სწავლების შესახებ. უცხო ენად მოიაზრებოდა ევროპული ენები. ქართული მშობლიური ენა იყო (ასეც აისახებოდა ზოგ დოკუმენტში); რუსული? – არც მშობლიური და არც უცხო ენა... იყო მცდელობა, რუსული ენისათვის „მეორე მშობლიური ენა“ ეწოდებინათ... დიახ, ასეთი იყო „საბჭოური“ კლასიფიკაცია

ენებისა: ქართული ენა (მშობლიური ენა), რუსული ენა (მეორე მშობლიური ენა), უცხო ენები (ევროპული ენები), აღმოსავლური ენები და „სხვა ენები“... – თუმცა ეს სხვა თემაა...

და ფაქტობრივად „სხვა ენათა“ ფუნქციების გაზრდა, რის ტენდენციაც წინა ბოლშევიკურ კონსტიტუციებში შეინიშნებოდა, 1978 წლისათვის ქართულთან მათი ფუნქციური გათანაბრებით დასრულდა. საკონსტიტუციო ჩანაწერი – „რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ – სწორედ ამის დასტურია...

ფაქტია: 1978 წლის კონსტიტუციის პროექტით შემოთავაზებული ვარიანტი იყო მცდელობა **ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევისა**. ერთია: მანამდე სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა ქართულ ენას, მაგრამ მაინც ამ „სახელმწიფო ენის“ უფლებები განუკითხავად ირღვეოდა; და, როცა ეს სტატუსი აღარ ექნებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში აღმოჩნდებოდა...

მოკლედ, ქართული ენის, როგორც აღდგენილი სახელმწიფო ენის, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია მთავრდებოდა – ქართული კარგავდა სახელმწიფოებრივ ფუნქციას...

საბედნიეროდ:

**ქართველი საზოგადოება მზად აღმოჩნდა, არ მიეღო ეს შემოთავაზება**. მეტიც, აშკარად და მკვეთრად დაუპირისპირდა ამ გამოწვევას.

1978 წელს, გაზაფხულზე, ხანგრძლივი საჯარო განხილვა მოეწყო კონსტიტუციის პროექტისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი და მწერალთა კავშირი იყვნენ გეზის მიმცემნი ამ განხილვებისა. სტუდენტობა პროცესში აქტიურად ჩაერთო და **1978 წლის 14 აპრილს**, როცა დაინიშნა ამ პროექტის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში, **მოეწყო გრანდიოზული მასობრივი სა-**

**პროტესტო დემონსტრაცია.** დემონსტრანტები დაიძრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მიაღწენ საკანონმდებლო ორგანოს (რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სახლს, პარლამენტის ამჟამინდელ შენობას)...

ხალხის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: საბჭოთა იმპერია ამ უკან დაიხია (და, მგონი, ამ იმპერიის არსებობის ისტორიაში პირველად!...), კონსტიტუციის პროექტში წარმოდგენილი 75-ე მუხლი შეიცვალა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

**„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.**

საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

(როგორც ითქვა, ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი იყო ქართული ენის ისტორიაში... 1978 წლის მოვლენები შესაფერის პატივს იმსახურებს... ეს ისტორია, ეს ამბები საკმაოდ სრულად აისახა წიგნში: „1978 წლის 14 აპრილი. ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები“ (შემდგენელი ანა ბაქანიძე), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2018... მართალი ისტორიისათვის, ვფიქრობთ, ამ წიგნის მნიშვნელობა ღირსაცოდნელია!... ვამბობთ, „მართალი ისტორიისათვის-თქო“, რადგან „მოგებულ ომში“ ბევრი „გმირი“ გამოჩნდა, ვინც თავის დროზე „ბრძოლის ველზე“ არ ჩანდა. მიმალული იყო, ანდა „საპირისპირო ბანაკში“ იმყოფებოდა...)...

კონსტიტუციის ამ საბოლოო ვარიანტით ქართულმა ენამ კვლავ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი, მაგრამ ამ სა-



ბოლო ვარიანტის 75-ე მუხლის მესამე აბზაცი წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა: „რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვებაო“ გაუგებარია: როცა არსებობს სახელმწიფო ენა, წესით, მას აქვს პრივილეგია და სხვა ენის უფლებები მასთან შედარებით შეზღუდული იქნება. თუმცა ეს დეტალია. მთავარი მაინც რეალური ვითარებაა: საბჭოთა კონსტიტუციას ერთი დიდი უბედურება სჭირდა: ფურცელზე ყველაფერი თითქოს კარგად ეწერა, რეალურად კი სხვა ვითარება იყო... ვთქვათ, ეწერა – საბჭოთა მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლება... საბჭოთა რესპუბლიკას კი – საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებათ... და ასე შემდეგ... თუმცა ეს და ამაღვარი „უფლებები“ მხოლოდ ქალაქებზე ეწერა...

ასე იყო სახელმწიფო ენის შემთხვევაშიც. იყო სფეროები, სადაც სახელმწიფო ენა, მარტივად რომ ვთქვათ, გამოდევნილი იყო: უმაღლეს პარტიულ ორგანოში სამუშაო ენად რუსული რჩებოდა... ერთაშორისი ურთიერთობის ენა საქართველოში ასევე რუსული იყო... (არადა, უფროსი თაობის მოქალაქენი იხსენებდნენ, რომ რევოლუციამდელ თბილისში ყველა ეროვნების თბილისელი ქართულად საუბრობდაო, საურთიერთო ენა ქართული იყო...)... ოთხმოციანი წლების დამდეგს გაჩნდა მოთხოვნა, უმაღლეს სასწავლებლებში ზოგი საგანი წაკითხულიყო რუსულად... ისევ წინააღმდეგობა და დაძლეული ძალადობა სახელმწიფო ენის მიმართ!.. მოკლედ: კონსტიტუციურად ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა – როგორც იტყვიან, დომინანტური ენა, რუსული ენა – ჰიპერდომინანტური ენა...

1978 წლის 14 აპრილმა, როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლება ჩააფიქრა და მომდევნო წლებში ზედიზედ ჩატარდა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება. 1979 წლის 10 აპრილს (წლისთავზე!) გამოქვეყნდა სამთავრობო დადგენილება

„რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამას თვითონვე დაარქვეს „საქმედ ქცევა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა“ (ამ სათაურით გამოქვეყნდა ინფორმაცია ამ დადგენილების თაობაზე).

ეს დადგენილება არ ეხებოდა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. აქ მსჯელობა იყო სადისერტაციო ნაშრომთა რუსულად თარგმანის დაფინანსებაზე, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა ჩართვაზე ამ საქმეში, ქართული ენის სიწმინდის საკითხთა შესახებ ტელე-და რადიოგადაცემათა მოწყობაზე და სხვა... ფაქტობრივი ყურადღება იყო გამახვილებული ყველა იმ უბანზე, სადაც, ასე ვთქვათ, პრობლემები ჰქონდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას...

1983 წლის სექტემბერში ახალი სამთავრობო დადგენილება გამოდის – „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ“...

1978 წლის 14 აპრილის სუნთქვა ისევ ისმის... ცოტა მოგვიანებით, 1988 წლის 3 ნოემბერს, გამოქვეყნდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი“ – ეს იყო სახელმწიფო ენისადმი სახელმწიფო ზრუნვის გამოხატულების საინტერესო დოკუმენტი. პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს. ამ მნიშვნელოვანი პროექტის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (დირექტორი ბესარიონ ჯორბენაძე). ფაქტობრივ, ეს იყო მცდელობა კომუნისტურ ეპოქაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფისა. სწორედ ამ პროგრამაში ჩაიწერა ის, რომ 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადებულიყო. საამისოდ 14 აპრილის

არჩევა გასაგებია: ქართული ენისათვის ბრძოლის და, რაც მთავარია, გამარჯვებით დამთავრებული ბრძოლის დღეა 14 აპრილი („ქართული ენის დღის“ დაწესებისა და მისი არსის განსაზღვრის იდეა ეკუთვნოდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას...)...

ქართული ენის დღის დაწესება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფის მექანიზმი უნდა ყოფილიყო; პროგრამაში ჩაიწერა: **ამ დღეს შეჯამდება, რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის სასიკეთოდ**; პროგრამა ყველა დაწესებულება-ორგანიზაციას ავალდებულებდა ანგარიშგებას ქვეყნისა და ერის წინაშე...

ვფიქრობთ, სახელმწიფო ენაზე ზრუნვის სერიოზული გამოხატულება იყო ამ პროგრამის მიღება. სამწუხაროდ, პროგრამამ დიდხანს ვერ იცოცხლა – გაჰყვა საბჭოთა ხელი-სუფლებას.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: კომუნისტურ ეპოქაში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსი შენარჩუნებულ იქნა; მცდელობა ამ სტატუსის მოხსნისა კომუნისტების მარცხით დასრულდა... და ამასობაში ისტორიას ჩაბარდა კომუნისტების ეპოქაც...

1991 წელს საქართველომ აღიდგინა ეროვნული დამოუკიდებლობა.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომლის მე-8 მუხლი ასე იკითხება: „**საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური**“. ამ კონსტიტუციაში, განსხვავებით წინა კონსტიტუციისგან, არ არის საუბარი ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ. ივარაუდებოდა, რომ უნდა შემუშავებულიყო „კანონი ენის შესახებ“... მომზადდა კი-

დეც იგი და 2003 წელს გადაეცა პარლამენტს განსახილველად, თუმცა მისი განხილვა ვერ (თუ არ) შედგა...

არადა, ამგვარი კანონის არსებობის აუცილებლობა მწვავედ იგრძნობოდა... კონსტიტუციით გარანტირებული სახელმწიფო ენის სტატუსი განმარტებებსა და დაზუსტებებს საჭიროებდა საკანონმდებლო დონეზე...

2004 წელს არჩეულ პარლამენტში ენის კანონის პროექტი „დაიკარგა“... საერთოდ, იმ ხელისუფლებამ და იმ პარლამენტმა (2004-2012 წ.წ.) ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, დიდად დააზარალეს:

– „დაიკარგა“ ათეული წლების განმავლობაში შემუშავებული და შედგენილი „ენის კანონი“...

– გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა...

– გაუქმდა პარლამენტში სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი...

– დაიხურა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომლებიც ქართულ ენას ეძღვნებოდა (მრავლად იყო...)

– დაიხურა ყველა ჟურნალ-გაზეთი ქართული ენის შესახებ...

– სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში პრობლემები შეექმნა ქართულის სწავლებას...

და ყოველივე ეს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უბედურება იყო დამოუკიდებელი საქართველოს მეორე ათწლეულში...

ისევ ბრძოლა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უფლებების აღდგენისათვის და შედეგი:

2013 წელს შეიქმნა სახელმწიფო ენის კანონის შემუშავებული კომისია მეცნიერებათა აკადემიაში და ამ კანონის პროექტი პარლამენტს წარედგინა...

თითქმის ორწლიანი განხილვის შემდეგ, 2015 წლის 22 ივლისს, პარლამენტმა მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის“ შესახებ...

თითქმის ორწლიანი ბრძოლა დასჭირდა იმას, რომ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტი შექმნილიყო (უამისოდ კანონი ვერ იკანონებდა) და 2017 წლის 27 ოქტომბერს მთავრობის დადგენილებით ეს დეპარტამენტიც შეიქმნა...

აქ დავსვამთ სამ წერტილს...

ფაქტია, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია (კონსტიტუციით, სახელმწიფო ენის კანონით)... მაგრამ მთავარი ამ კანონის აღსრულებაა... კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა თავიანთი საქმე უნდა გააკეთონ!

## გზა ქართული სალიტერატურო მნისა

ვთქვით: ქართული სამწერლობო, ანუ სალიტერატურო, ენაა. დღეს ოფიციალური ენის აღსანიშნავ ტერმინად ძირითადად სალიტერატურო ენას ვიყენებთ.

როგორც ვიცით, ენა იცვლება დროსა და სივრცეში. სივრცეში მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოიქმნება სივრცობრივი ნაირსახეობები, რომელთაც დიალექტებს ან კილოებს ვუწოდებთ. კილოები ბუნებრივი ნაირსახეობებია ენისა, ერთ სინქრონიულ დონეზე არსებული (ამ საკითხს ვრცლად შევეხებით ქვემოთ გვ. 129 და შემდეგ).

და არსებობს ერთი (მთავარი) ნაირსახეობაც ენისა, რომელსაც **სალიტერატურო ენას** ვუწოდებთ.

თუ დიალექტების შესახებ ვამბობთ, რომ ისინი ბუნებრივი ნაირსახეობანია საერთო-სახალხო ენისა, სალიტერატურო ენა არის მეტ-ნაკლებად ხელოვნური, ზედიალექტური მოვლენა.

არსებობს ცნება **ეროვნული ენა**. ეროვნულ ენას ქმნის ერთობლიობა იმ ნაირსახეობებისა (სხვადასხვა პერიოდის სალიტერატურო ენისა და სხვადასხვა დიალექტისა), რომლებიც წარმოიქმნა ერთ ენობრივ სივრცეში ისტორიულად თუ თანამედროვე პირობებში. სალიტერატურო ენა გახლავთ ნორმირებული, დახვეწილი ნაირსახეობა ენისა. იგი იცვლება ეპოქის შესაბამისად; „ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებს მათ“.

მაგალითად, როცა ვსაუბრობთ ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, არ იგულისხმება, რომ ეს სალიტერატურო ენა ერთია XIX და XXI საუკუნეებისათვის (ახალი ქართული ენა ამ ეპოქას მოიცავს). სალიტერატურო ენის ნორმები განსხვავებულია ამ მონაცემის (ახალი ქართულის) სხვადასხვა ეტაპზე: მაგ., XIX ს-ის ბოლოს, XX ს-ის დასაწყისში, XX საუკუნის ბოლოს, თუ XXI საუკუნის დასაწყისში. ასე იყო ძველ ქართულშიც. როგორც ვიცით, ძველ ქართულ ენად მოვიხზრებთ V-XI საუკუნეების ქართულს; თუმცა აქაც იყო პრინციპულად განსხვავებული ეტაპები: „ხანმეტი“ (V-VII ს.), „ჰაემეტი“ (VII-IX ს.) და „სანნარევი“ (IX-XI ს.)... ეს კანონზომიერებაა სალიტერატურო ენისა – **იგი არის რეალობა იმ ეტაპისათვის, განვითარების რომელ ეტაპზეც იმყოფება ენა.** ანუ: ვსაუბრობთ იმ ეტაპის სალიტერატურო ენაზე, რომელიცაა განხილვის თემა. ასეა ქართული სალიტერატურო ენაც. დღევანდელ სალიტერატურო ქართულს ვუწოდებთ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას.

**შეგნიშნავთ:** „თანამედროვე ქართული ენა“ შეფარდებითი ცნებაა; ის, რაც „თანამედროვე“ იყო გასული საუკუნის დასაწყისისათვის (როცა დაიწყო ოფიციალურად დადგენა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა“), დღეს უკვე ისტორიაა. ამიტომაც ბევრი ისეთი ნორმა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის „თანამედროვე ქართულს“ ჰქონდა, დღეისათვის გადაისინჯა და შესწორდა...

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას აქვს ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ზოგადად სალიტერატურო ენისათვის:

1. იგი არის საერთო და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;

2. იგი არის ნორმირებული;

3. იგი არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება ამ ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე – სახელმწიფო მმართველობაში, სასამართლოში, არმიაში, განათლების სფეროში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში...

ქართული სალიტერატურო ენის შესახებ ვსაუბრობთ იმ დროიდან, რა დროიდანაც შეიქმნა ქართული დამწერლობა და, შესაბამისად, ლიტერატურის (მხატვრული, საღვთისმეტყველო, საისტორიო, სამეცნიერო...) ნიმუშები. ვიცით, ქართული დამწერლობა დიდი ხნის წინათ შეიქმნა, მაგრამ სალიტერატურო ენის ისტორიის ათვლას V საუკუნიდან ვიწყებთ – ქართული წერილობითი ძეგლები (ლიტერატურის ნიმუშები) სწორედ ამ დროიდან შემოგვრჩა; დოკუმენტირებული მწერლობა სწორედ ამ ეპოქიდან გვაქვს, რამდენადაც სალიტერატურო ენა დოკუმენტირებული სამწერლობო ენაა...

ჩვენ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ თავისი განვითარების 16 საუკუნის განმავლობაში (რისი თვალის მიდევნებაც შეგვიძლია წერილობითი ძეგლების წყალობით) ქართულმა ენამ ისე უმნიშვნელოდ იცვალა სახე, რომ უძველესი წერილობითი ძეგლები დღევანდელი მკითხველისათვის გასაგებია (გავიხსენოთ განსხვავებული ვითარება: ძველი ბერძნული ენა და ახალი ბერძნული ენა, ძველი სომხური ენა და ახალი სომხური ენა...); სწორედ ამიტომ მივიჩნევთ, რომ ქართული სალიტერატურო ენა არის „თექვსმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ (რ. თვარაძე). სწორედ ასე ფიქრობს ანა კალანდაძეც: „ძველი და ახალი ქართული ენა მესახება ერთ მთლიან, ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა მის უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს“... საკითხს ასევე სვამს კონსტანტინე გამსახურდიაც. მას აქვს ამგვარი არგუმენტაცია: „ისეთი დიდი ისტორიის მქონე ენისათვის, როგორცაა ქართული, „ძველი



და ახალი“ პირობითი ცნებაც რომ არ იყოს, ძნელად გასა-  
მიჯნავია, რომელია „ძველი“ და რომელი „ახალი“...

თუძეცა სალიტერატურო ენა იცვლება, იხვეწება, ვითარ-  
დება. ვთქვით უკვე, მაგრამ კვლავაც მივაქცევთ ყურადღებას:  
„სალიტერატურო ენა ეროვნული ენის უმაღლესი ფორმაა. სა-  
ლიტერატურო ენა ითვალისწინებს ეროვნული ენის განვითარ-  
ების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების  
სახით ამკვიდრებს მას“ (ბ. ჯორბენაძე). ამ წესების, ანუ **სა-  
ლიტერატურო ენის ნორმების**, დაცვა ყველა წიგნიერი კაცის  
მოვალეობაა. სხვა რომ არა იყოს რა, ესაა დედაენის პატი-  
ვისცემისა და სიყვარულის გამოხატულება, ზრუნვა მის კე-  
თილდღეობაზე, განვითარებაზე, მონოლითურობაზე...

ვთქვით, სალიტერატურო ენა იცვლებაო. ჩვენ რომ  
წარმოდგენა გვქონოდა, როგორი იყო ქართული სალიტერატუ-  
რო ენა საუკუნეების წინათ, ძველ ეპოქაში, და როგორ შეიც-  
ვალა იგი, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა, ამაზე იზრუნეს ჩვენმა  
სახელოვანმა წინაპრებმა – მწიგნობარმა წინაპრებმა – და დე-  
დაენას ძეგლებს უგამდნენ თავიანთ ეპოქებში. იაკობ ხუცესი  
და იოანე საბანის ძე, გიორგი მერჩულე და გიორგი მთაწმი-  
დელი, იოანე ზოსიმე და იოანე მინჩხი, შოთა რუსთველი და  
სულხან-საბა ორბელიანი, სხვანი და სხვანი **ძეგლისმგებელნი**  
**არიან დედაენისა!..** მათი შემოქმედება უტყუარი და უკვდავი  
ძეგლებია ქართული ენისა!.. **თითოეული მათი ნაწარმოები ძეგ-  
ლია იმ დროის ქართულისა, როცა იქმნება ეს ძეგლი.** ამ  
ძეგლთა გვერდიგვერდ დაყენებით ჩვენ შეგვიძლია თვალი გა-  
ვადევნოთ ქართული ენის ისტორიას – რა სახე ჰქონდა მას  
ოდესღაც, რა რით შეიცვალა და როდის... როგორც კონსტან-  
ტინე გამსახურდია იტყოდა, ისინი არიან „წყაროსთვალნი“  
თავიანთი ეპოქის დიდებული ქართული ენისა!“...

ვთქვით: სალიტერატურო ენა და დიალექტები ნაირსახეობებია საერთო-სახალხო ენისა. დიალექტები ბუნებრივი ნაირსახეობანია, სალიტერატურო ენა – მეტ-ნაკლებად ხელოვნური, ნორმირებული ნაირსახეობა.

ესეც ვთქვათ: რა არის ენობრივი ნორმა? ლექსიკონებში ასე განიმარტება: „ნორმა – აღიარებული, როგორც ნამდვილი, ძირითადი, მისაღები, დასაშვები“; ანუ: ენაში არსებულ ამა თუ იმ ფორმის ვარიანტთაგან ნორმირებული არის ის, რომელიც მოიპოვებს საყოველთაო აღიარებას; რომელიც არის უფრო მეტად დასაშვები არსებული ვარიანტებიდან; თანაბრად მისაღები ამ ენაზე მოსაუბრეთათვის...

სალიტერატურო ენა ყოველთვის ეყრდნობა, ეფუძნება ცოცხალი ენის ამა თუ იმ დიალექტს ან დიალექტთა ჯგუფს, ზოგჯერ, მაგალითად, ახალი ქართულის შემთხვევაში, ქალაქურ ქართულს – კოინეს... დროთა განმავლობაში საყრდენი, საორიენტაციო დიალექტი შეიძლება შეიცვალოს, რაც პრინციპული ხასიათის ცვლილებებს იწვევს სალიტერატურო ენაში. საყრდენი დიალექტის ცვლისა და ამით გამოწვეულ შედეგთა კარგი მაგალითია ძველი ქართული სალიტერატურო ენა; ამის დასტურად მცირე **გრამატიკულ ექსკურსს** მივმართავთ:

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გამოიყოფა ორი საინტერესო პერიოდი – „ხანმეტი“ და „ჰაემეტი“. „ხანმეტობა“ V-VII საუკუნეების რეალობაა; „ჰაემეტობა“ – VII-IX საუკუნეებისა. ტერმინი „ხანმეტი“ გიორგი მთაწმიდელთან გვხვდება. ასე იწოდება ის ძეგლები, რომლებშიც თავსართი **ხ** გამოხატავს: ა) მეორე სუბიექტურ პირს – **ხ**-არ, მი-**ხ**-ვალ (ეს ორი ფორმა იმდროინდელი ნორმის ნაშთია დღევანდელ ქართულში); ბ) მესამე ობიექტურ პირს – შე-**ხ**-უაბთ კარი... (=შევაბით) – ჩვენ **მას** იგი... გ) გვხვდება ერთპირიანი ვნებითის ფორმებში **ხ**-იყო, **ხ**-იმაღების (თავსართის ფუნქცია უცნობია)

და დ) უფროობითი ხარისხის ფორმებში – **ხ**-უდიდეს, **ხ**-უმჯობეს... მომდევნო ეტაპზე ჰაემეტ ძეგლებში **ხანი** შეცვალა ჰაემ...

ხანმეტობა იყო ნორმა V-VII საუკუნეების, ჰაემეტობა – VII-IX საუკუნეების სალიტერატურო ქართულისა. ივარაუდება, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობა ერთი დროის ენობრივი მოვლენებია; ისინი დიალექტური ვარიანტებია. თუ ეს ასე იყო (ანუ ერთდროულად თანაარსებობდნენ სხვადასხვა ტერიტორიულ დიალექტში, მაშინ რატომ არის ერთი ნორმა ადრინდელი და მეორე – უფრო გვიანდელი ქართულისათვის? ამ კითხვას დამაჯერებელი პასუხი გასცა აკაკი შანიძემ:

ერთი ვარიანტი დამახასიათებელი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთა მეტყველებისათვის (ხანმეტობა), მეორე (ჰაემეტობა) – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველთა მეტყველებისათვის. V-VII საუკუნეების სალიტერატურო ქართულისათვის საყრდენი იყო „ხანმეტი დიალექტი“, ხოლო მომდევნო პერიოდის სალიტერატურო ენისათვის – „ჰაემეტი დიალექტი“. ამიტომაც გახლდათ ასე პრინციპული ხასიათის სხვაობა სალიტერატურო ენის განვითარების ამ ორი ეტაპისათვის... ეს პროცესი – საყრდენი დიალექტის შეცვლა – უნდა უკავშირდებოდეს არაბების შემოსევის შედეგად ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით გადანაცვლებას (ა. შანიძე).

IX საუკუნიდან მოყოლებული ძველ ქართულ სალიტერატურო ენას „სანანარევს“ ვუწოდებთ (იქ, სადაც თავსართი **ხ** ან **ჰ** იყო, ზოგან **სანი** ჩნდება, ზოგან **ჰაე** რჩება ადრე და ზოგანაც საერთოდ იკარგება პრეფიქსი)... აღარ გადავტვირთავთ მსჯელობას გრამატიკული წიაღსვლებით, არ დავდღით მკითხველს ენათმეცნიერული მსჯელობით. ფაქტია, სალიტერატურო ენა ეყრდნობა (უპირატესობას ანიჭებს) ენის ერთერთ (ან რამდენიმე) დიალექტს, თუმცა არასოდეს იმეორებს მას; სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიალექტი არ გადაიქცევა სა-

ლიტერატურო ენად. სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობს ენის ყველა ნაირსახეობა (კილო). ძველი ქართული ენა არის ერთიანი, მონოლითური სალიტერატურო ენა. დიას, **V-X საუკუნეების ქართული მკაცრად ნორმირებული სალიტერატურო ენაა**. რამდენად უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ძველ საქართველოში უფრო მტკიცედ, ზედმიწევნით იცავენ მწიგნობრები სალიტერატურო ენის ნორმებს, ვიდრე დღევანდელ საქართველოში(!)... არადა დღეს საამისოდ მრავალი პირობა გვაქვს: სალიტერატურო ენის ნორმებს გვასწავლიან სკოლებში, უმაღლესებში; ამ ენაზე გვესაუბრებიან რადიო-ტელევიზიიდან, პრესიდან, ლიტერატურიდან... არსებობს უამრავი ნორმატიული ლექსიკონი, კრებულები, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები... და მაინც: ძველი ქართული სალიტერატურო ენა უფრო მეტად მტკიცე და მონოლითური იყო... აქ არსებითი არის ის, რომ **მწიგნობრისათვის ძველ საქართველოში სალიტერატურო ენის „ნორმა“ „ბიბლიის“ ენა იყო, უფრო კონკრეტულად, წმინდა ოთხთავის ენა იყო**. ყოველგვარი გადახვევა სახარების ქართული თარგმანის ენიდან მკრეხელობად მიაჩნდათ. ისიც გავისხენოთ: მწიგნობრობის ძირითადი კერები ეკლესია-მონასტრები იყო, მწიგნობრები – ამ მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირები... მოვიგონოთ, რას ამბობს გიორგი მერჩულე – გრიგოლ ხანძთელმა „საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნაო“... დიას, ზეპირად იცოდნენ საღმრთო წიგნები მწიგნობრებმა... ისინი მოუწოდებენ სხვასაც (მკითხველსა თუ გადამწერს), არ დაარღვიონ, არ გაამრუდონ სწორი ქართული: „ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ გინდეს დაწერაჲ, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“... ამას გიორგი მთაწმიდელი სთხოვს მწიგნობრობის მოსურნეს; მოუწოდებს და ევედრება კიდევ: ღმრთისათვის, ნუ სცვალებთო... გიორგი მთაწმიდელი ამ შემთხვევაში სახარების ტექსტს

გულისხმობს (ამგვარი ანდერძ-მინაწერები მრავლადაა. რამდენიმე ზემოთაც მოვიყვანეთ; იხ. გვ. 28-29). აქ ნათლად ჩანს, რომ ბიბლიის ქართული თარგმანების ტექსტი იყო ნორმა იმდროინდელი სალიტერატურო ქართულისა და ეს არა მხოლოდ მთაწმიდელების ეპოქაში (X-XI საუკუნეებში); ასე გახლდათ, როგორც ჩანს, V საუკუნიდან მოყოლებული გვიანობამდის; ამიტომაც იყო მკაცრად ნორმირებული სამწიგნობრო ენა; მწიგნობარს ეკრძალებოდა ამ ნორმიდან გადახვევა... სწორედ ამიტომ ამბობს ხაზგასმით გიორგი მერჩულე – გრიგოლ ხანძთელმა ზეპირად იცოდა საღმრთო წიგნებიო...

სალიტერატურო ქართულით საუბარი, სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდის დაცვა მწიგნობრის უმთავრეს ღირსებად მიაჩნდათ. იოანე და ეფთჳმე ათონელების ცხოვრების აღმწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი საგანგებოდ მიანიშნებს: „ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა **მსოფლიოდ სიტყუად არ გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოდ და სულიერი**“. „მსოფლიოდ სიტყუად“ – არალიტერატურულ, დიალექტურ ფორმებს გულისხმობს; სწორი, ლიტერატურული ქართული – „საღმრთოდ და სულიერია“!

და კიდევ: მიაჩნიათ, რომ კარგი ქართულით, წმინდა სალიტერატურო ენით მოღვაწება ქართველთა ენისა და ქვეყნის ამაღლებაა, განათლებაა, ღირსმსახურებაა: ეფთჳმე მთაწმიდელმაო „**განანათლა ქართველთა ენად და ქუეყანად, რომლისა-იგი ნამუშაჳევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა**“ (გიორგი მთაწმიდელი). აქ, ამ მონაკვეთის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფასდაუდებელია ოთხთავის ქართული თარგმანის როლი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განმტკიცებასა და სწორი გეზის მიცემაში. „**სახარება**“ არის პირველი ქართული წიგნი, რომელმაც სწორ გზაზე დააყენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება.



მოქვის სახარება (ხელნაწერი)

სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის ასე პრინციპულ პოზიციას ჰქონდა მეორე, ასე ვთქვათ, „უარყოფითი“ მხარეც: გარკვეულწილად იზღუდებოდა ენის ბუნებრივი განვითარება; სალიტერატურო ენის ნორმათა ცვლა მხარს ვერ უბამდა ენის ბუნებრივ ცვლა-განვითარებას და შედეგი ამგვარი დამოკიდებულებისა სამწიგნობრო ენისადმი, სალიტერატურო ენისადმი იყო ის, რომ **სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად დაშორდა ცოცხალ სასაუბრო ენას**; „მოფლიოჲ სიტყუაჲ“ უკვე ამკარად სხვაობს სამწერლობო ენისაგან. ეს სხვაობა თანდათან იზრდება. დაუუკვირდეთ: წიგნის ენა შორდება ცოცხალ სასაუბრო ენას. მიუთითებენ: „სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატიული ხასიათისაა და საუკუნეებს უძლებს; ცოცხალი მეტყველების ნორმები გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. სალიტერატურო ენის ნორმები ხშირად მას შემდეგაც უცვლელია, რაც ცოცხალ მეტყველებაში ამ ნორმათა საფუძველი გრამატიკული თუ ფონეტიკური ევოლუციის შედეგად აღარ არსებობს“ (ზ.

სარჯველაძე). ეს ფაქტი უკვე ამზადებს ენობრივი რეფორმის საფუძველს...

როგორც ჩანს, ქართულ ენაში მეტყველებისა და წერის ურთიერთმიმართება იმთავითვე, კარგად ჰქონდათ გააზრებული ჩვენს წინაპრებს (რასაც ვამბობთ, იმას ვწერთ და რასაც ვწერთ, იმას ვკითხულობთ!); ამიტომ **სასაუბრო და სამწერლობო ენების მკვეთრი დაშორება საფუძველი ხდება ენობრივი რეფორმისა...** რაც უფრო დროული იქნება ეს რეფორმა, რაც უფრო სწორად წარმართული, მით უფრო მნიშვნელოვანია იგი ენისათვის... თუ სალიტერატურო ენის ნორმირებაში მომხდარი ცვლილებები არაა ადეკვატური ცოცხალ ენაში მიმდინარე კანონზომიერი პროცესებისა, მოხდება მეტყველებისა და წერის აცდენა, დაშორება... არადა, ამბობენ, ამ მხრივ ქართული იდეალური ენაა (ვიმეორებთ: რასაც ვამბობთ, იმას ვწერთ)... სხვათა შორის, როცა ქართულში წერისა და მეტყველების შესაბამისობაზე საუბრობს მიხეილ ჯავახიშვილი, შედარებისათვის ინგლისური ენის მაგალითი მოჰყავს და „ლიმილით“ შენიშნავს: „**ინგლისურში იწერება ოქსფორდი და იკითხება მანჩესტერი**“... ჩვენეული თანხვედრა წერისა და წარმოთქმისა კი დამსახურებაა სწორად აგებული დამწერლობის სისტემისა და გონივრულად წარმართული ენობრივი რეფორმებისა...

**და პირველი პრინციპული ხასიათის ფართომასშტაბიანი რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა განახორციელა შოთა რუსთველმა.**

როგორცა ვთქვით, საკმაოდ დაშორდა „წიგნური“ და „ხალხური“ მეტყველება ერთმანეთს. შოთა რუსთველმა ფაქტობრივ იმაზე იზრუნა, რომ ეს განსხვავება მოშლილიყო და სამწერლობო ენა (ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ ენა) დაუახლოვა (დააფუძნა) სასაუბრო ენას. **პრინციპი – სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენას უნდა ეფუძნებოდეს – შო-**

**თა რუსთველმა ბოლომდე გაატარა.** ამიტომაცაა: X-XI საუკუნეების ძეგლების ენა (მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ენა) უფრო მეტ სხვაობას რომ ამჟღავნებს „ვეფხისტყაოსნის“ ენასთან, ვიდრე V-VI საუკუნეების ძეგლების (მაგალითად, „შუშანიკის წამების“) ენასთან; სხვაგვარადაც შეიძლება ვთქვათ: „ვეფხისტყაოსნის“ ენა მეტ სხვაობას ავლენს X-XI საუკუნეების ძეგლების (მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“) ენასთან, ვიდრე XVIII-XIX საუკუნეების ძეგლთა (მაგალითად, „სიბრძნე სიცრუისას“, თუ „დავითიანის“) ენასთან (სპეციალისტებისათვის ეს იოლი შესამჩნევია)...


რუსთველთან დაკავშირებით ვერ ვიტყვით, რომ იგი ქართული ენის რომელიმე კონკრეტულ დიალექტს დაემყარა; მისთვის საორიენტაციო იყო საერთო-სახალხო ენა, ზოგადად, სასაუბრო ცოცხალი ენა და არა რომელიმე კუთხის მეტყველება. საკითხის საგანგებო შესწავლის შემდეგ არნოლდ ჩიქობავა დაასკვნია, რომ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებისათვის (უმთავრესად ქართლ-კახეთის) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები; ფაქტია სამცხური დიალექტის თავისებურებათა დადასტურებაც...

ამიტომ, ვიმეორებთ: შოთა რუსთველის მიერ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მომხდარი რეფორმის მთავარი მიმართულება ასეთია: **სალიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები.**

„ენობრივი რეფორმა“, რომელიც შოთა რუსთველმა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნით განახორციელა, წარმატებული აღმოჩნდა – საუკუნეთა განმავლობაში სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ იყო ქართული სალიტერატურო ენის სწორი გეზის მიმცემი.



ლიახ, „ვეფხისტყაოსანი“ არის ის მეორე წიგნი, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის სწორი განვითარება XII საუკუნიდან შემდგომ... (გვახსოვს: პირველი ასეთი წიგნი „ქართული ოთხთავი“ იყო)...



მარტივი ჭეშმარიტებაა: ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს კულტურის დონეს. ამის დასტურად XI-XII საუკუნეების საქართველოს ვითარების განსწავლაც იკმარება: საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით აღორძინებული ქვეყანა და უმაღლეს საფეხურზე ასული დონე არქიტექტურისა, მხატვრობისა, ლიტერატურისა, განათლებისა, მეცნიერებისა რუსთაველის ეპოქაში... მოგეხსენებათ, „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა... ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა“ (არნ. ჩიქობავა). ამიტომაც ენის მდგომარეობა, კეთილდღეობა, ცხადია, დამოკიდებულია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე... რუსთაველის ენა სწორედ თამარის ეპოქის შესაფერისი ენა იყო!..

რუსთაველის შემდგომ ეპოქაში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას... დიდია უცხო ენათა გავლენა... მაღალი პოეტური ენა რუსთაველისა გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგა. „სხვა ენათა განუკითხავმა მოძალეობამ გარდაუვალი შერყვნის საშიშროება შეუქმნა მას. დარბაისლური მეტყველება გარმიანული ჟარგონით იცვლება. ენა კარგავს ეროვნულ ნიშანს. ივსება ბარბარიზმებით, უცხოური კალკები, იფიტება, მოუქნელი და მყიფე ხდება“ (ბ. ჯორბენაძე).

შემფოთდნენ ერისკაცები.

„ეგ ნუ გგონია, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით!“ – ეს მეფე-პოეტ, არჩილის შეძახილია. სულხან-საბა ორბელიანმა ქართული ლექსიკონი შექმნა; თავ-თავისი ადგილი მიუჩინა დიალექტურ თუ უცხოენოვან სიტყვებს და, სალიტერატურო

ენის თვალსაზრისით ნორმატიული ფორმები წარმოაჩინა. განმარტავდა: „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე და რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდი ღრმათ, წიგნებთა შინა ვპოე და რომელნიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე. რომელნიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“... და ეს ყოველივე იმისთვის კეთდება, „რათა ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა, წარმართი“...

XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებული რეალური საფრთხის წინაშე დადგა ქართული სალიტერატურო ენა...

და ასპარეზზე გამოჩნდა **ანტონ ბაგრატიონი – ანტონ I კათალიკოსი**. ამ უდავოდ ბუმბერაზმა პიროვნებამ, თვალსაჩინო მოღვაწემ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა შემოგვთავაზა: მან სამი სტილის თეორიის დაკანონება სცადა. მიზანი ანტონ კათალიკოსისა იყო მამულიშვილური, კეთილშობილური: **სურდა გაესწორებინა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზი**; აღედგინა დაცემული დიდება ქართულისა, გადაერჩინა დედაენა... რადგან მიაჩნდა, რომ „არარაჲ მოყუარება სიბრძნისა იქმნების თჳნიერ მართლუბნობისა ანუ წესიერ წერისა“... მაგრამ ანტონისეული რეფორმის გასააზრებლად მცირე ექსკურსის გაკეთება დაგვიჭირდება...

სწორად შენიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ: „ანტონ კათალიკოსი პეტრიწონელის ენას წაეპოტინა და ამან გამოიწვია ქართული ენის კრიზისიო“... ანუ: ანტონის რეფორმა კრიზისულ მცდელობად შეფასდა იოანე პეტრიწის ენასთან მისი ენის მსგავსების გამო...

ვინ იყო იოანე პეტრიწი და ანტონის მოღვაწეობამ რატომ გაახსენა მწერალს იგი?

იოანე პეტრიწი XI-XII საუკუნეების უდიდესი ქართველი მოღვაწე გახლდათ. მან შექმნა ლიტერატურული სკოლა, ჰყავდა მრავალი მოწაფე, მიმდევარი... და მემკვიდრეობად დაგვიტოვა უამრავი ნათარგმნი თუ ორიგინალური ფილოსოფიური და რელიგიური ლიტერატურა. იოანე პეტრიწი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისებური ენით და სტილით; აღნიშნავენ: ის იღვა ორიგინალურ ენობრივ პოზიციასზე; „იგი ქმნიდა ახალ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, ბერძნულ დედანთან ზუსტი მიმართების მიზნით უხვად იყენებდა ქართული ენის ბუნებისათვის შეუფერებელ მიმღეობიანი კონსტრუქციების წინადადებებს, რაც ართულებდა მის სამწერლო ენას“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია)... ფაქტობრივად იოანე პეტრიწი ასცდა ქართული ენის განვითარების ტრადიციულ მაგისტრალურ ხაზს; მან ვერ იქონია ზეგავლენა ქართული სალიტერატურო ენის გენერალური ხაზის განვითარებაზე: XI-XII საუკუნეთა ქართული მძლავრი სალიტერატურო ენაა, კლასიკური მწერლობის ენაა, რუსთველისა და „ვისრამიანის“ მთარგმნელის ენაა!... ფაქტობრივ იოანე პეტრიწის ენა აღმოჩნდა განშტოება ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზისა, პარალელური ხაზი, რომელმაც განვითარება ვერ შეძლო...

და აი, როგორც კ. გამსახურდია იტყოდა, ამ ენას „წაეპოტინა“ ანტონ I. ფაქტობრივ ანტონ კათალიკოსის ენა იყო **„წყვეტილი გაგრძელება“** იოანე პეტრიწის ენისა, აცდენილი სალიტერატურო ენის მაგისტრალურ ხაზს...

საინტერესოა კლასიკოსი მწერლის თვალთ დანახული ამ მაგისტრალური ხაზის განვითარება: **„ქართული ენის გენერალური ხაზი არის ის მაგნიტური ველი, რომელსაც მწერალი არ უნდა გადასცდეს“** (კ. გამსახურდია)... აი, ამ მაგნიტუ-

რი ველის მიზიდულობის ძალით „ცურტაველიდან მოაქჟამოდდე“ ერთიანი სალიტერატურო ენა გვაქვს. ამ მაგისტრალური ხაზის მწვერვალები არიან („წყაროსთავნი ანკარა ქართული-სა“) იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე, შოთა რუსთველი და „ვისრამიანის“ მთარგმნელი, სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა... აი, სწორედ ამ მაგისტრალური ხაზის მაგნიტური ველის მიზიდულობის ძალას გაექცა თავის დროზე იოანე პეტრიწი და მოგვიანებით – ანტონ პირველი...

ზემოთქმული მიზეზების გამო იოანე პეტრიწმა ვერ შეძლო ქართული სალიტერატურო ენა თავისი (პეტრიწის) გზით წაყვანა. ანტონის დროინდელმა ენობრივმა ეპოქამ კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა რეფორმატორს და თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მეტ-ნაკლებად ანტონის იდეები აძლევს იმპულსს სალიტერატურო ენის განვითარებას...

ვიმეორებთ: მიუხედავად იმისა, რომ იოანე პეტრიწი ძალიან დიდი ფიგურა იყო, მაინც ვერ შეძლო XI-XII საუკუნეების ძლიერი ენობრივი ეპოქის თავისი (პეტრიწის) გზით წაყვანა; მაგრამ ანტონის დროინდელი ენობრივი ეპოქა იმდენად დაუძლიერებული იყო, ანტონმა თავისი რეფორმის განხორციელება შედარებით იოლად მოახერხა.

მაგრამ ანტონისეული რეფორმის შედეგი სავალალო აღმოჩნდა: ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნაცვლად მივიღეთ სამგვარი ტიპის სამწერლობო ენა – **მაღალი სტილის, საშუალო სტილისა და დაბალი სტილისა**. ვითარება ასეთი ისახებოდა: მაღალი სტილით უნდა შექმნილიყო საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა; საშუალო სტილით – საისტორიო ხასიათის ლიტერატურა, დაბალი სტილით – საყოფაცხოვრებო ხასიათის ლოკუმენტები... დაბალი სტილი ჩვეულებრივი სასაუბრო, არაწიგნური ენა გა-

ხლდათ... ლიტერატურაში ეს ასე ლაგდებოდა: მაღალი სტილი – ტრაგედიის ენა, საშუალო სტილი – დრამის ენა, დაბალი სტილი – კომედიის ენა.

სტილებრივი დაყოფა როდია ანტონ კათალიკოსის „გამოგონება“; ეგ საკითხი ანტიკურ საბერძნეთში იღებს სათავეს – არისტოტელეს მოძღვრებაში. რუსეთში სამი სტილის თეორიის დამუშავება ლომონოსოვის სახელთან არის დაკავშირებული. ანტონი კარგად იცნობს ლომონოსოვის მოძღვრებას და ცდილობს, ქართული სალიტერატურო ენის გადარჩენის გზად ეს თეორია გამოიყენოს.

მაღალი სტილის ჩამოყალიბებასა და დამუშავებაში ანტონი აქტიურად ჩაერია. მისი სამეცნიერო და სალეთისმეტყველო შრომები სწორედ ამ „ენით“ დაიწერა. რას წარმოადგენს ეს ენა?

**არნოლდ ჩიქობავას** შეფასებით, ანტონმა „დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროგატი – ენა ღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“. მსგავსება პეტრიწის ენობრივ პრინციპებთან აშკარაა...

ვიმეორებთ: მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ტრადიციონალურად არ იქნა გამოყენებული საერთო-სახალხო ენა... ხოლო, თუ როგორი იყო იმდროინდელი, XVIII საუკუნის, სახალხო ენა, ამის თაობაზე წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ თუნდაც დავით გურამიშვილის პოეზიით... ხოლო როგორი იყო ანტონის მაღალი სტილით დაწერილი თხზულებანი, ნიმუშად ერთ ამონარიდს მოვიყვანთ, რომელიც არნ. ჩიქობავამ შესთავაზა მკითხველს შესაბამისად „დაბალი სტილის“ ვარიანტიურთ (არნ. ჩიქობავასეული ვარიანტი):

**ანტონისეული ვარიანტი:** „ვინადცა მოქმედებად ჩუჴნი და შრომად აწინდელი არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა გზა იყოსმცა სლჴსა ჩუჴნისა არამეცდო-

მელ ანუ დასაბრკოლებელ, ხოლო ხელოვნებად ესე წინამდებარე, რომელა ღრამმატიკად, ბრძენთა კარად თქუჳს სიბრძნისა, რამეთუ ღრამმატიკა, ვინაითგან არს შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერწერად, და არა-რად მოყუარება სიბრძნისა იქმნების თუნიერ მართლუბნობისა ანუ წესიერწერისა...“

**არნ. ჩიქობავასეული „გარიანტი“:** „ჩვენი მოქმედება და შრომისაა, რომ შეუცდომლად და დაუბრკოლებლად ვიართოთ სიბრძნის კარისკენ; ბრძენებმა-კი გრამატიკა მიიჩნიეს სიბრძნის კარად; გრამატიკაა სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის ხელოვნება; სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის გარეშე სიბრძნის სიყვარული არ შეიძლება...“

ამგვარი „სტილებრივი“ შედარება რომ მოჰყავს, არნ. ჩიქობავა დაასკვნის: „ეს სქოლასტიკური მსჯელობა „სიბრძნისა“ და „სიბრძნის კარის“ შესახებ, გადმოცემული „მაღალი შტილით“, ხელშესახებად გვიჩვენებს, რა გასაჭირიც დაადგებოდა იმ პირს, ვინც იძულებული იქნებოდა, ამ სტილით ეწერა“...

ასე რომ, **ანტონ კათალიკოსისეული რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა;** ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზი ვერ გასწორდა... პირიქით...

ანტონ კათალიკოსზე იმიტომ შეეჩერდით ამდენ ხანს, რომ მისი დიდი ავტორიტეტის წყალობით სამი სტილის თეორია, თითქმის მთელი საუკუნე განსაზღვრა სამწიგნობრო ენის ბედი... თუმცა ეს მარტო ანტონის ავტორიტეტის წყალობა არ უნდა იყოს: სალიტერატურო ენა კრიზისს განიცდის, ხოლო **წიგნიერ ქართველობაში გაჩნდა მოთხოვნა „მართლუბნობისა და წესიერ წერისა“... ჰოდა, ანტონი იყო ორიენტირი წიგნიერი ქართულისა...**

ენობრივი კრიზისი გრძელდება...

**დადგა XIX საუკუნე...** ბუნებრივ ენობრივ კრიზისს რუსული ენობრივი პოლიტიკის სიმწვავეც ზედ დაერთო და ქართული ენა უმძიმეს დღეში აღმოჩნდა...

ანტონ კათალიკოსი ისევ ახსოვთ და მისი თეორიის „დიქტატი“ გრძელდება. საუბრობენ მის შემაფერხებელ როლზე სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე. მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე იტყვის: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდ ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“...

და ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური ხაზის გასწორებას, ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის მოგვარებას ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა სჭირდებოდა...

ეს ის პერიოდია, როცა დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადებს: **„იმ ხალხს, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, ხალხობა არ ეთქმისო“...**

და XIX საუკუნის 60-იან წლებში ასპარეზზე გამოჩნდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა... დიახ, ამ შეჭირვების ჟამს ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა „მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა!“...

ცოტა ხნით ისევ წინა პერიოდს გადავხედოთ, ოღონდ ახლა კლასიკოსის თვალთ:

ძალიან საინტერესოდ დაინახა და, ვფიქრობთ, მართებულად შეაფასა ეს პერიოდი კონსტანტინე გამსახურდიამ: XVII-XVIII საუკუნეებში, „ენაამღვრეული საქართველოს მწუხარე ფონზე“, სულხან-საბა ორბელიანმა „ხელახლა აღუძრა ქართველობას დიდი და ბრწყინვალე ქართული ენისათვის ოცნება“... „რადგან მშობლიური ენის გავრცობა და გაძლიერება ისეთივე დიდი და საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი ქვეყნისა. ამიტომაც, ვიდრე ქართველი ხალხი და



მისი ენა იარსებებს ამ მიწის პირზე, საბა ორბელიანი შერაცხული იქნება, როგორც ღვაწლმოსილი და მხცითმოსილი მამა სამშობლოსა“... – სწორედ რომ ღირსი შეფასებაა სულხან-საბას ღვაწლისა დედაენის წინაშე... და შემდეგ: „ის, რაც პროზისათვის საბამ გააკეთა, პოეზიაში იტვირთა დიდმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, რომელიც ქართული ენის განახლების საკითხებში წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ჩვენი დიდი ვაჟის“...

და „ილიამ და აკაკიმ გახსნეს დაშრეტაზე მიმდგარი წყაროსთვალის დიდებულისა ქართულისა ენისა“ (კ. გამსახურდია).

სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზი აღდგა, უფრო სწორად, გაცოცხლდა, გაგრძელდა... ანტონის „განშტობა“ შეწყდა...

და განხორციელდა ენობრივი რეფორმა...

რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა, XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული, თავისი ბუნებითა და ხასიათით ისეთივე იყო, როგორც წინა რეფორმა, რომელიც შოთა რუსთველმა ჩაატარა XII საუკუნეში... თუმცა რუსთველურ რეფორმას თუ სტიქიური ხასიათი ჰქონდა, თუ გენიალური შოთას ნიჭის ბუნებრივი გამოვლინება იყო, შეიძლება ითქვას, დაუგეგმავი, – XIX საუკუნის ენობრივი რეფორმა კარგად გააზრებული, გონივრულად დაგეგმილი, გეგმაზომიერი მოვლენა გახლდათ.

ძირითადი პრინციპი ილიას თაობისა ასეთია: **სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას.** ეს იყო ტრადიციული დამოკიდებულება (გავიხსენოთ რუსთველის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმა); ილია და მისი თაობა თავგამოდებით იცავენ ამ პრინციპს...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იმ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ილია ჭავჭავაძემ ქართული ენის უფლებების

აღდგენა, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დედაენისათვის ბრძოლა წინა პლანზე დააყენა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი შეძახილი: „**სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?**“... და მერე იყო გრიგოლ ორბელიანის შეძახილი – „**რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო**“... და სხვა... და სხვა...

ძირითადი მოსამზადებელი ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის რეფორმისა, რომელიც დაიწყო 1860-იან წლებში, დასრულდა 70-იანი წლების შუახანებში იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებითა და მის მიერ გაწეული ფასდაუდებელი საქმიანობით...

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მათი თანამებრძოლების დაწყებული დიდი საქმის გვირგვინი იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა იყო. არ არის შემთხვევითი ის, რასაც აკაკი წერეთელი ამბობს იაკობ გოგებაშვილზე: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა...“


ორ ფაქტს გამოვყოფთ: იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლასა (1876 წ.) და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას (1879 წ.). ილიასა და აკაკის დაწყებული ბრძოლა (იაკობი მათ 1863 წელს შეუერთდა) სწორედ „დედაენის“ გამოსვლით დაგვირგვინდა: იმჟამად, როცა არ არსებობს ერთიანი ენობრივი ნორმები (თანამებრძოლების – ილიასა და აკაკის – ნაწერებს თუ ერთმანეთს შეუუდარებთ, იოლად შევაძინევთ, რომ ისინი სხვადასხვა „ნორმებით“ წერენ...), არ არსებობს ერთიანი სალიტე-

რატურო ენა, უპირველესად იაკობის „დედაენამ“ იტვირთა ეს მისია – სწორედ „დედაენის“ ქართული იქცა იმდროინდელი სალიტერატურო ენის ნორმად. ეს იყო ის ქართული, რომელიც წიგნის ენად მოველინა სრულიად საქართველოს. სწორედ ეს არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უდიდესი დამსახურებაც – მისი მეშვეობით სრულიად საქართველო მოიფინა ორ და ოთხკლასიანი სასწავლებლებით, სადაც I-II კლასებში ქართული იაკობის „დედაენით“ ისწავლებოდა, III-IV კლასებში – იაკობის „ბუნების კარით“. სწორედ ამას გულისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშიღმა თავის „დედა ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“.

ისევ წამოიწია წინა პლანზე ენის, როგორც ერის გამაერთიანებელი უპირველესი ძალის, როლმა; ამ პერიოდზე როცა ფიქრობს, მწერალი შალვა დადიანი წერს: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსნით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთაკლდეებში – თუშეთსა და სვანეთში; მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“...

ჩვენ ზემოთ ორი წიგნი გამოვყავით, რომელთაც სხვადასხვა ეტაპზე განსაზღვრეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სწორი გეზი – ეს იყო „ქართული ოთხთავი“ და „ვეფხისტყაოსანი“. პირველმა მათგანმა განაპირობა ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობა და სიმტკიცე V-XI საუკუნეებში; მეორემ – XII საუკუნიდან მოყოლებული XVII-XVIII საუკუნეებამდე.

მესამე დიდი წიგნი, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობა, სიწმინდე და სიმტკიცე, არის „დედა ენა“. ამ წიგნმაც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში იგივე როლი შეასრულა, რაც პირველმა ორმა!.. „ქართული ოთხთავი“, „ვეფხისტყაოსანი“, „დედა ენა“!..



და ლეთის წყალობით, ჩვენი კლასიკოსების დიდი ძალისხმევით, ამ სამი დიდი წიგნის შემწევობით XIX საუკუნის ბოლოს ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზი აღდგა; დაიწყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დამკვიდრება. ეს საკმაოდ ვრცელი თემაა (XIX საუკუნის II ნახევრის მოღვაწეთა როლი ამ დიდ საქმეში), მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ...

### **და ესტაფეტა მიიღო XX საუკუნემ.**

„XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას... უკვე გვემაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს ატარებს ის, რაც ადრე მეტ-ნაკლებად სტიქიური ხასიათისა იყო“ (ბ. ჯორბენაძე)...

ქართული სალიტერატურო ენის წინაშე პრობლემები, რა თქმა უნდა, არის და – როგორც ნებისმიერი ცოცხალი, კულტურული სამწერლობო ენის წინაშე – იქნება კიდევაც... მაგრამ ჩნდება დიდი იმედი იმისა (და, რაც მთავარია, შესაძლებლობა, პირობები, ნება...), რომ ეს პრობლემები მოგვარდეს... იმედს გვაძლევს ქართველი კაცის შეგნება, რომ „**ქართული ენის სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა**“ (კონსტანტინე გამსახურდია).

„ამ არც ერთ კილოს არ ვფუნოვ“ –  
ანუ  
დროსა თუ სივრცეში წარმოქმნილი  
ნაირსახეობანი ქართული ენისა

კიდევ ერთხელ უნდა გავიძეოროთ: ენა იცვლება დროსა და სივრცეში. ამ ცვლილებათა შედეგად წარმოიქმნება ენობრივი ნაირსახეობები. დროში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს ენის პერიოდებს (ეტაპებს) ვუწოდებთ. სივრცეში მომხდარი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ნაირსახეობებს – დიალექტებს (კილოებს). ამთავითვე შევნიშნავთ: განვითარების ნებისმიერ ქრონოლოგიურ ეტაპზე ენას აქვს თავისი სივრცობრივი ნაირსახეობანი – დიალექტები.

თავისთავად საინტერესოა, რა სახის ენობრივი ცვლილებები ხდება დროში, რა იწვევს ამ ცვლილებებს და რა შედეგები მოჰყვება მათ. შედეგებად იმას ვგულისხმობთ, რომ დროში მომხდარმა ცვლილებამ განსხვავებული ენები შეიძლება წარმოქმნას (მაგ., ძველი სომხური და ახალი სომხური...); ჩვენს შემთხვევაში (ზემოთაც ვისაუბრეთ) ასეთი რამ, საბედნიეროდ, არ მომხდარა. სხვაობა კი მაინც თვალშისაცემია. მაგ.: ძველ (ადრეულ) ქართულთან შედარებით გვიანდელი პერიოდის ქართულში გამარტივდა ბგერითი სისტემა; ბრუნვათა და მწკრივთა სისტემა და სხვა; შესაბამისად გადანაწილდა გრამატიკული თუ სემანტიკური ფუნქციები... პასუხი კითხვაზე – რამ გამოიწვია ესა თუ ის ცვლილება – ძნელი გასაცემია; უფრო სწორად, ცვლილებების მიზეზი და მიზანი ხშირად ამოუხსნელია... მაგალითად, მოხდა ასეთი ცვლილება: ძველ ქართულში ზმნის მომავალ დროს გამოხატავდა კავშირებითის

მწკრივი; ახალ ქართულში ეს ფუნქცია ძირითადად ზმნისწინ-  
მა შეითავსა. ამავე დროს, ზმნისწინმა ძველი ფუნქციებიც შე-  
ინარჩუნა; კავშირებითმა გაიმარტივა ფუნქციური დატვირთვა...  
ამ შემთხვევაში კითხვა „რატომ?“ ჩვენგან უპასუხოდ რჩება –  
ენას აქვს თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი,  
რომელთა ამოცნობა ჩვენს გონს ჯერჯერობით არ ძალუძს...

საბოლოოდ ეს ცვლილებები ახალი ნაირსახეობის  
წარმოქმნას უწყობენ ხელს.

როგორც ვთქვით, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულ სინამ-  
დვილეში სხვაობა დროში წარმოქმნილ ნაირსახეობებს შორის  
ერთი ენის ფარგლებში რჩება...

როცა ვლაპარაკობთ დროში წარმოქმნილ ნაირსახეობებ-  
ზე (პერიოდებზე) ქართული ენის სივრცეში, ერთ არსებით  
მომენტს ვითვალისწინებთ: რაზე ვსაუბრობთ – სალიტერატუ-  
რო ენის განვითარებისა თუ ეროვნული (საერთო-სახალხო)  
ენის განვითარების ეტაპების შესახებ.

ვიცით, ეროვნული ენა ურთულესი ფენომენია; იგი არის  
ერთობა ყველა იმ ნაირსახეობისა, რომლებიც დროსა თუ სივ-  
რცეში ოდესმე წარმოქმნილა. როცა ვსაუბრობთ ეროვნული  
ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ის უნდა განვიხილოთ,  
როგორც შედგენილობით რთული მონაცემი: ძველი ქართული  
ენა – ანუ ადრეული საფეხური ქართული ენის განვითარებისა  
– არის ერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და  
იმდროინდელი ქართული დიალექტებისა.

იგივე ითქმის ახალი ქართული ენის თაობაზე: ესეც  
რთული მონაცემია – ერთობაა ახალი ქართული სალიტერატუ-  
რო ენისა და მისი ცოცხალი კილოებისა.

**„ძველი ქართული ენა“** და **„ახალი ქართული ენა“** პი-  
რობითი ტერმინებია, სამუშაო ცნებებია და ჩვენს სინამდვილე-

ში ერთი ენის – ქართული ენის – განვითარების ორ ქრონოლოგიურ ეტაპს გულისხმობს.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, **ძველ ქართულ ენად** V-XI საუკუნეების ქართულს განიხილავენ, XIX საუკუნის (და შემდგომი) ქართული **ახალი ქართულია**.

ძველსა და ახალ ქართულს შორის გარდამავალ პერიოდს – XII-XVIII საუკუნეებს – **საშუალო ქართულს** უწოდებენ; ზოგი მკვლევარი მას ძველი და ახალი ქართულის პერიოდების ტოლფას ენობრივ ოდენობად განიხილავს, ზოგიც ძველიდან ახლისკენ გარდამავალ პერიოდად მიიჩნევს.

აქ ერთი რამაა არსებითი: XII-XVIII საუკუნეების ენობრივი პერიოდი როდია ტოლფასი მისი წინა და მომდევნო ეტაპებისა. როგორც წინა (V-XI სს), ისე მომდევნო (XIX-XX სს.) ეტაპები თავიანთი შედგენილობით ერთმანეთის ტოლფასია – მოიცავენ სალიტერატურო ენასა და ტერიტორიულ დიალექტებს (ბუნებრივ ნაირსახეობებს). XII-XVIII საუკუნეების ქართულის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ბუნებრივ ნაირსახეობათა მრავალფეროვნებაზე, მაგრამ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ პერიოდის ქართულ სალიტერატურო ენაზე – ასეთი რამ არ არსებობს; გავიხსენოთ: სალიტერატურო ენას აქვს ნორმები, დადგენილი წესები; გრამატიკული სისტემა... ასეთი რამ ფაქტია ძველი ქართული ენისათვის, ასევე – ახალი ქართულისათვის, ოღონდ უცხოა საშუალო ქართულისათვის. მოკლედ: არსებობს **ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და მისგან სისტემურად განსხვავებული **ახალი ქართული სალიტერატურო ენა**; მაგრამ არ არსებობს **საშუალო ქართული სალიტერატურო ენა**. გარდამავალი პერიოდი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ გვერდიგვერდ თანაარსებობს ძველი და ახალი ენობრივი ფაქტები, მოვლენები; ხდება თანდათანობითი გადასვლა ერთი ენობრივი რეალობიდან მეორეზე. იგი ნარევი პერიოდია და ამით არის საყურადღებო. სხვაგვარად რომა ვთქვათ, არ არსებობს საკუთრივ საშუალო ქართულისა-



თვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტები, რითაც იგი წინამორბედ ან მომდევნო საფეხურებს დაუპირისპირდებოდა.

როცა ვსაუბრობთ ძველი და ახალი ქართული ენის შესახებ, ამ შემთხვევაში არაერთგვაროვანია ჩვენი ცოდნა ქართული ენის განვითარების ამ ორი საფეხურის თაობაზე. ძველ ქართულ ენას ფაქტობრივად მხოლოდ სალიტერატურო ნაირსახეობის მიხედვით ვიცნობთ; ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობის შესახებ მხოლოდ სავარაუდო წარმოდგენები გვაქვს... (ამიტომ სქემაზე მას \*(ვარსკვლავით) აღვნიშნავთ. იხ. სქემა გვ. 134) ახალ ქართულ ენას ვიცნობთ სრულად – სალიტერატურო ნაირსახეობებსაც და დიალექტებსაც. ამიტომაც ტერმინოლოგიურად ძველი ქართული სალიტერატურო ენა და ძველი ქართული ენა დაახლოებით ერთსა და იმავე ოდენობას ასახავს... ასე არ არის ახალი ქართულის შემთხვევაში: ახალი ქართული ენა ძალზე ვრცელი და რთული ენობრივი სივრცეა; სალიტერატურო ნაირსახეობა მისი ერთი მცირე ნაწილია (მრავალთაგან ერთი ნაირსახეობა)...

ვთქვით, რომ ძველი ქართული ენის დიალექტურ შედგენილობაზე სავარაუდო წარმოდგენა გვაქვს. ამ სავარაუდო წარმოდგენას გვიქმნის ძველი ქართული სალიტერატურო ენა: მასში ასახული ცალკეული მოვლენების კვალიფიკაცია ხდება, როგორც დიალექტურისა. ზოგჯერ ეს ფაქტები სისტემურ ხასიათს იღებს და შესაძლებლობას გვაძლევს, ძველ ქართულში გამოვყოთ სავარაუდო ტერიტორიული დიალექტური ერთეულები თუ ჯგუფები. ამგვარი ანალიზის შედეგად საუბრობენ ძველი ქართულისათვის ოთხ ძირითად დიალექტურ ერთეულზე თუ ჯგუფზე (ა. შანიძე).

ესენია:

ა) „ხანმეტი“ დიალექტი – სამხრეთ-აღმოსავლური დიალექტი ძველი ქართული ენისა;

ბ) „ჰაემეტი“ დიალექტი – სამხრეთ-დასავლური დიალექტი ძველი ქართული ენისა;

გ) „ევ-კილო“ – ცენტრალური დიალექტი ძველი ქართული ენისა;

დ) „ფხოური“ დიალექტი – ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტი (დიალექტთა ჯგუფი) ძველი ქართული ენისა.

ვიმეორებთ, ესაა სავარაუდო ჩამონათვალი; ჩვენ გვაქვს ცალკეული (თითო-ოროლა) ენობრივი ფაქტი (მოვლენა), ამ „კილოთა“ დამახასიათებელი; ცხადია, ეს არ არის საკმარისი ამ დიალექტების არსებობის სამტკიცებლად, მაგრამ საკმაოდ საკითხის დასასმელად...

ასე რომ, ძველ ქართულ ენას ამგვარი ნაირსახეობებით მოვიაზრებთ: ძველი ქართული სალიტერატურო ენა, „ხანმეტი“ დიალექტი, „ჰაემეტი“ დიალექტი, „ევ-კილო“ და „ფხოური“ დიალექტი. ძველი ქართულის შემთხვევაში სრულყოფილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ სალიტერატურო ნაირსახეობის შესახებ...

საკმაოდ რთული და ძალზე საინტერესოა ახალი ქართული ენა თავისი გავრცელებულობით, ნაირსახეობათა შედგენილობით...

სანამ ახალი ქართულის დიალექტურ შედგენილობაზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით დიალექტთა წარმოქმნისა და გამოყოფის პრინციპებსაც შევეხოთ.

ამა თუ იმ ენის დიალექტური დანაწევრება საკმაოდ რთული და საინტერესო პროცესია. მას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ უკვე ზემოთ აღნიშნული ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერება, რომელიც ენის გავრცელების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს... ერთი და იმავე ენობრივი ტენდენციის განვითარება შეიძლება სხვადასხვა ეტაპზე შეჩერდეს სხვადასხვა კუთხეში (მაგალი-

თად, უკანაენისმიერი სამეულის – **ღ ჳ ყ** – გამარტივება და სხვ.); ასევე ამ პროცესზე გავლენას ახდენს გარე ენობრივი კონტაქტები (ენობრივი სამეზობლო) თუ შიდა დემოგრაფიული ვითარება; გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ეთნოგრაფიული კუთხის მცხოვრებთა ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებებიც... ყოველივე ეს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა აღწერილი... ამ პირობათა ხელშეწყობით ენებში წარმოიქმნება ტერიტორიული დიალექტები.

აქ ერთ შენიშვნას გავაკეთებთ: არასალიტერატურო ნა-ირსახეობებს ზოგადად **დიალექტებს** ვუწოდებთ. **დიალექტი** შეიძლება იყოს: **ტერიტორიული, სოციალური და ეთნიკური**.

ა) **ტერიტორიული დიალექტი (კილო)** – არის საერთო-სახალხო ენისნაირსახეობა, რომელიც დასტურდება ამა თუ იმ ენის გავრცელების რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე (რეგიონში); მაგ. ახალი ქართულისათვის: კახეთში გავრცელებული ქართული მეტყველება კახურ დიალექტად იწოდება, ქართლში გავრცელებული – ქართლურად და ა. შ.; 20-მდე ასეთი დიალექტია ახალ ქართულში)...

ბ) **სოციალური დიალექტი (სოციოლექტი)** – არის საერთო-სახალხო ენის სუბვარიანტი, რომლითაც სარგებლობს საზოგადოების ესა თუ ის ჯგუფი და მოიცავს ისეთ ლექტებს, როგორცაა: ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიული და ასაკობრივი „ენები“, გენდერი, ტექნოლექტები...

გ) **ეთნიკური დიალექტი (ეთნოლექტი)** სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ქართული მეტყველება: მაგ. ქართველ ებრაელთა ქართული, ქისტების ქართული, წოვა-თუშების ქართული, უდინების (ყვარელში) ქართული და სხვა...

დღევანდელ დღეს ქართულ ენაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ტერიტორიული დიალექტები... დაწყებულია სო-

ციოლექტების შესწავლა; გვაქვს რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა... ეთნოლექტები ფაქტობრივ შეუსწავლელია, ეს მომავლის საქმეა...

\* \* \*

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთგვარობა ახალ ქართულ ენაში ტერიტორიულ დიალექტთა გამოყოფის და დიალექტთა დაჯგუფების თაობაზე (ქვემოთ დიალექტზე საუბრისას ვიგულისხმებთ მხოლოდ ტერიტორიულ დიალექტებს). არც არის მოსალოდნელი: დიალექტური ერთეულის გამოყოფა მეტ-ნაკლებად პირობითი ამბავია. მეტყველების ერთსა და იმავე ნაირსახეობას ერთი ავტორი თუ დიალექტს ეძახის, მეორე ავტორისათვის იგი კილოკავია... და ეგ იმიტომ, რომ არა გვაქვს ზუსტი კრიტერიუმები, მეტყველების ამა თუ იმ ნაირსახეობას როდის ვუწოდოთ კილო (დიალექტი) და როდის – კილოკავი (მეცნიერები ასე მიიჩნევენ: **კილოკავი** არის დიალექტის შემადგენელი ნაწილი, ისევე როგორც **თქმა** არის კილოკავის ნაწილი...).

დიალექტთა სახელდება (გამოყოფა) ძირითადად ტერიტორიულ (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ) პრინციპს ემყარება. ამა თუ იმ ტერიტორიაზე – ისტორიულ კუთხეში – გავრცელებულ ქართულ მეტყველებას სახელსვდებთ ამ კუთხის სახელწოდების მიხედვით: კახეთში გავრცელებულ ნაირსახეობას ვუწოდებთ კახურ დიალექტს, იმერეთში გავრცელებულს – იმერულ დიალექტს და ა.შ. ხშირად ასეთი დაყოფა ენათმეცნიერთა დავის საფუძველი ხდება: მაგალითად, **ლენხუმური** მეტყველება ენათმეცნიერულად უფრო ახლოს არის **ქვემოიმერულ** მეტყველებასთან, ვიდრე ქვემოიმერული მეტყველება – ზემოიმერულ მეტყველებასთან. ამიტომ ქვემოიმერულისა და ლენხუმურის ერთ დიალექტად (ერთ ენობრივ ნაირსახეობად) განხილვა მეცნიერულად შეიძლება უფრო მართებულიც კი იყოს, მაგრამ ტრადიციულად იმერულს (ზემოიმერულსა და

ქვემოიძვრეს) ერთ კილოდ მოიაზრებენ, ხოლო ლეჩხუმურს – ცალკე კილოდ...

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ახალ ქართულში გამოყოფდნენ დიალექტთა ორ ძირითად ჯგუფს: 1. ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისა და 2. ქართული ენის დასავლური დიალექტების ჯგუფებს.

თუმცა აქ შეიძლება ცოტა მეტი ვთქვათ: XX საუკუნის ბოლომდე, სანამ გაიხსნებოდა სარფის კარი და ქართველ მკვლევარებს შესაძლებლობა მიეცემოდათ ისტორიული ტოკლარჯეთი (სამხრეთ საქართველო) ენობრივად უკეთ გაეცნოთ, ჩვენ ძალიან მწირი წარმოდგენა გვქონდა იქაურ მეტყველებზე. XX საუკუნის დამდეგს ჩაწერილი ტექსტები არ იყო საკმარისი სრული წარმოდგენის შესაქმნელად. ამიტომ ვსაუბრობდით ერთ დიალექტურ ერთეულზე – იმერხეულზე (ზოგი კლარჯულსაც უწოდებდა). XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო; ძალიან საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული და გაანალიზებული. თუმცა სრულყოფილი ანალიზი და დასკვნები მომავლის საქმე ჩანს. დღესდღეობით ამ ახალი მასალის საფუძველზე აზრთა სხვადასხვაობაა თურქეთში დარჩენილი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქართული მეტყველების ნაირსახეობათა შესახებ. ენათმეცნიერები საუბრობენ რამდენიმე დიალექტის არსებობაზე – **შავშური, კლარჯული, ტაოური** და სხვა ნაირსახეობების შესახებ.

დღეს მნიშვნელოვანი ფაქტია ამ ხეობებსა თუ პროვინციებში ქართული მეტყველების არსებობა. რა სტატუსი მიეცემა ამ ნაირსახეობებს (დიალექტი, კილოკავი...), ვფიქრობთ, ეს მომავლის საქმეა... და ეს ახალ ვალდებულებასაც აჩენს ქართული ენის მკვლევართა წინაშე – საშურია ამ მეტყველებათა ფიქსირება და ანალიზი, რადგან საკმაოდ აჩქარებული ტემპით ხდება ქართული მეტყველების ჩანაცვლება თურქულით (განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში)... დიახ, საშური საქმეა არა მხოლოდ

ამ ნაირსახეობათა, საერთოდ ქართული დიალექტური მეტყველების კიდევ უფრო ღრმა და გამოწველილვითი ანალიზი. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, გლობალიზაცია გარკვეულ საფრთხეს უქმნის მათ თავისთავადობას...

ჩვენ ბოლო პერიოდის კვლევების გათვალისწინებით განვიხილავთ დიალექტთა სამ ჯგუფს: I) აღმოსავლურ დიალექტებს, II) დასავლურ დიალექტებს, III) სამხრულ დიალექტებს.

I. **აღმოსავლურ დიალექტებში** გამოყოფენ ორ ქვეჯგუფს:  
ა) ბარის დიალექტებსა და ბ) მთის დიალექტებს.

ა) აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებია:

1. **ქართლური**, 2. **კახური**, 3. **მესხურ-ჯავახური** (ზოგჯერ ამ ნაირსახეობას **სამცხურსაც** უწოდებენ და სამხრულ დიალექტად მოიხსენიებენ. ზოგ ავტორთან მესხური და ჯავახური შეიძლება ცალ-ცალკე დიალექტებადაც განიხილებოდეს), 4. **ინგილოური** (ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, ამჟამად საინგილო აზერბაიჯანის შემადგენლობაშია), 5. **ფერეიდნული** (ფერეიდანი ირანის პროვინციაა. XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა იქ კახეთიდან გადაასახლა ასეულ ათასობით ქართველი. მათ ფერეიდანში, ქართველთა კომპაქტური ჩასახლების ადგილზე, დღემდე შეინარჩუნეს მამაპაპათა ენა).


ბ) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებია:

6. **ხევსურული**, 7. **ფშაური**, 8. **თუშური**, 9. **მოხური**, 10. **მთიულურ-გუდამაყრული**.

II. **დასავლეთ საქართველოს დიალექტებია:**

11. **იმერული**, 12. **რაჭული**, 13. **ლენხუმური**, 14. **გურული**

III. **სამხრული დიალექტებია:** 15. **აჭარული**, 16. **შავშური**, 17. **კლარჯული**, 18. **ტაოური**.



სქემა „ქართული ენა“ (გ. გოგოლაშვილი)

არ მეგულება ქართველი კაცი, რომლისთვისაც ახლობელი და მშობლიური არ იყოს საქართველოს რომელიმე კუთხის მეტყველება (კილო, დიალექტი). ზოგს რამდენიმე კუთხურ ნაირსახეობაზეც შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენა... თუმცა ძნელია ისეთი ვინმეს პოვნა, ვინც ყველა კუთხის ენობრივ ნაირსახეობას იცნობდეს...

ამიტომაც გადავწყვიტეთ, დაინტერესებული მკითხველისათვის გასაცნობად მოვიყვანოთ თითოეული ქართული კილოს ნიმუში. ცხადია, არ ვფიქრობთ, რომ ამით სრულყოფილ წარმოდგენას შევქმნით ამა თუ იმ ნაირსახეობის შესახებ. ჯერ ერთი: ასე მცირე მოცულობის ტექსტებით ასეთი წარმოდგენა არ შეიძლება შეიქმნეს; საამისოდ თითოეული დიალექტის ვრცელი და მრავალფეროვანი მასალის გაცნობაა საჭირო... მეორეც: დიალექტის სახეს ქმნის არა მხოლოდ ფონეტიკური, გრამატიკული, სტილისტური თუ ლექსიკური თავისებურებანი, არამედ ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ინტონაცია, სიტყვისა თუ ფრაზის მახვილი... ამის ასახვა კი ამგვარ გამოცემებში, ცხადია, არ მოხერხდება...

მაგრამ ვფიქრობთ: ამგვარი მცდელობით მკითხველს მიახლოებით წარმოდგენას მაინც შევუქმნით ქართული ენობრივი სივრცის მრავალფეროვნებაზე. ტექსტები მოგვყავს ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიიდან (ავტორები: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, წიგნი გამოცემულია 1961 წელს). გთავაზობთ მცირე მოცულობის გაბმულ ტექსტს და ცალკეულ გამონათქვამებს, საუბრის ფრაგმენტებს... ტექსტებს სათაურები შევუნარჩუნეთ, რათა დაინტერესების შემთხვევაში ადვილად მოვძებნოთ დასახელებულ წიგნში და უფრო სრულად გავეცნოთ მათ... ჩვენ მიერ გამოყენებულ წიგნს ლექსიკონიც თან ერთვის, სადაც, ცალკეული კილოების მიხედვით, განმარტებულია თავისებური სიტყვები თუ ფორმები (ამ ქრესტომათიაში დაბეჭდილი ტექსტებისდა კვალობაზე).



მაშ, ასე: ვიმოგზაუროთ საქართველოში. მეგზურობას ქართული ენა გაგვიწვევს.

\* \* \*

## ქართულური

### გაუცინარი ხემწიფე

იყო ერთი გაუცინარი ხემწიფე. იმ კაცმა დევი მოიყვანა და დააბა თავი კარებზედა. როცა პირი დაბანა მოუნდა, უთხრა: მოდი, ფეხი დამბანეო. დაბანა. ასე ცხოვრობდნენ.

ამ ხემწიფეს ყაბდა ერთი ლამაზი გოგო. ი შვილი ძი-ენ უყვარდა. როცა ძღვეი იქ იყო, გოგო იმი შიშით არ შედი-ოდა. ერთხელ მამამ დაუძახა იმ გოგოსა და მუხლზე დაიჯი-ნა. მერე ძღვე უთხრა: მოდი და წყალი მამიბანეო. ადგა ე დევი, წავიდა, აილო ტაქანი და მისცა. სანამ ე ხემწიფე სომ-და, დაავლო ამ ქალ ხელი და გაიტაცა. დაღონდა ხემწიფე. წავიდა იმი საძებნელათ, მავრა ვერსად ნახა. ამი შემდეგ ი ხემწიფეი სულ დაღონებული იყო და დაარქვეს გაუცინარი ხემწიფეი.

### ფრაგმენტები:

- ნათელაჲ დაუძახე.
- სუ თითონ დადსთოხნის, დადსთესამს, დადჰბარამს.
- რასაც გამოდჰწერამენ, გამოდჰწერამენ.
- დაწერა ლამაათ პირობეები.
- სალდადჰტი ვნახევი, წაუკითხევი...

(შიდა ქართლი)

## პახური

### შვიდნი ძმანი ჯოხარნი

შვიდნი ძმანი იყვნენ ჯოხარნი და მოხუცი დედა-დევიან-დათ და ერთი გასათხუარი და. დედას უთხრედ: დედიო, ჩვენ ალავერდში უნდა წავიდეთ სალოცავათაო. აქაო, თუ მტერი

მოვივიდეს, ამ თივეფს ცეცხლი წაუკიდლო და იქიდან ღავინა-  
ხამთ შუქსაო, მოვალთ და მოგეშველებითო.

რო დაღამდა, შუალამისას შვიდასი კაცი მოვიდა მტერი  
და იდ ქალი წაიყვანედ. დედამ თივებ ცეცხლი წაუკიდა. ძებმა  
იქიდან გამაიხედეს და დაინახეს ცეცხნი შუქი თავიანთ ეზოში,  
თქვედ: უთუოდ მტერი მოსულა ჩვენ ეზოშიო, მოიდნენ და ის  
ბიჭები და დედად უთხრეს: - რა ამბავია, დელიო?

დედამ უთხრა: - თქვენი და მაიტაცესო, შვიდასი კაცი  
იყო მტერიო.

მამრე გამოუდგნენ ის ბიჭები და დეეწონენ ხევერძელაზე...

### **ფრაგმენტები:**

- დახეჩილ შეშად პლახ ვეტყვით.
- ღორი გამოდღგომიყო უკან.
- ვერაფერი უთხარიკე.
- გოლვა იყო, გოლვა იგეთი რო.
- ყველაყა წავიდა იმაითან.
- თელაური ქალი მაიყვანეს რძლათ.
- ჩუძლაყურები სუყველა გაღმა გავიდნენ...

(შიგნი კახეთი)

## **ინგილოური**

### **ქალ თხოვნად უწინ დროზე**

ჩონში ამჟურა ვითხოვნით ქალს. თხოვნად ჟაფადს ჩემბე.  
ერ კაი ნაცნოვ ინსან უნდა გოჭუგ ზავენ (// გოჭუგ ზავენო) იქ, ქა-  
ლი სახში. დოდწყით ყაჭმობად. ე კაც წოჭუდა იქ, ქალი მა-  
მასთან, დედასთან.

- რაბეთ მოსუვარ, ჩემო ყონალო, იციხარა?
- არ ვიცივარ.
- შენ რაბე არ მებნევი, რაბე მოსუხარავ?
- ფიქირ არა, ეხლა გეტყუ: რაბე მოსუხარა?

– მე ალაჰვერდიამ გამამგზავნა. იმი გადითუნ ჩონ ყაჟ-  
მოზად დოდიწყოთ. მაგიბე შენ რას იტყუა, მე იმიბეთ მოსუვარ...

– ჰო, კად იქნევის. ჩემ ბიზად არის, ჩემ დედად არის,  
ქალებიც არიან, იმათთან მე მოვმასლაათებ...

(ჩაწერილია კაკში)

## ფერეიდუნული

### გაფი

ერთი ყენი იყო. იმას ყვანდა სამი ყორი, ერთიც ვაზირი  
ყვანდა ყენსა. ერთ დღესა ვაზირმა ემ ყენის ქალებსა თითო-  
თითოს ჰკითხაყე, იმ დიდი ქალსა უთხრა, რო: – ასტარი  
პირს შაინახავსო თუ პირი ასტარსაო?

ქალმა უთხრა ვაზირსა, რო: – ასტარი პირს შაინახავ-  
სო.

ვაზირს ეწყინა, რო: – რა აზრი აქ ემასაო? – ვაზირმა  
გულჩი გაიტარა, ვაზირმა თქო, რო: ავე დღე მოვიტანლო, რო  
ემ შენი სიტყოს ფასუნი იყოს.

ემ ვაზირმა ის ბადტა ყორები (=ქალები) გაათხოვაყე ნა-  
მაი ადგილებზე, მისცაყე ვაზირ-ვაზირებს...

### ფრაგმენტები:

- თოვლმა ჩამოუკივლა წრილად.
- ჰა, გინდა გეშეჯეო? არა, არ გეგეშეჯევიო.
- თურძე გოვჯავრდაყე, რო: როგო შამჭამდავო.
- ემამ უამბისყე. ეს ყენის ყორი ასწავლიდისყე, ელა  
რო შაიტყვისყე...

## ხევისურული

### მამკალნი

მამკალნი იციან ქერისაიცა-დ' სვილისაიც. მამკალთ შახ-  
ყრიან კაის-დროს ქალ-ვაჟთ. მამკალთ აწვევენ ჰევისურეთითაც

არხვატ, არხვატითაც. არხვატით სუყველას კაისდროს ქალ-  
ვაჟთ აწვევენ.

მასხდებიან ოყებ ცხენებზე; ქალებ ცხენის გავაზედ შა-  
ისძენა-ღ' წავდენ სამკალზედ. ყანასა თაოდ მახმეიან, ძნასა  
თაოდ შახყრიან, აავებენ, სუყველას თაოდ აკეთებენ მამკალნი.

მამკალნი ლუდითაც იციან, არაყითაც, უმაგაოდაც, მაგრემ  
უნდა დანათლანა კი. ზამთრის აღარ აქეიფებენ მამკალთ.  
ღამით, რახა სამუშეელს მასჩან, ქეიფობენ.

### **ფრაგმენტები:**

- მთიბელნი კაცები, მეკენცლენი ქალები.
- ორნი ზალნი ხყვანივანი.
- მახკვლოძივანი ი დაწყეულ დიაცს შვილები.
- ისრ მცესავ, რო ტყავ გამაძვრინესავ. რა საკვირველს  
შავესწვერ.
- ძუძუს წოვაში უკებნავავ ძუძუსაღა...

## **ფშაური**

### **ჩემი წაყვანა ქისტეთს**

აბა, რაღა მაკსონ, შე ჩემ თავმამკვდარო! სიბერემ გადა-  
მაჟამყრუა, გონთით ვაღამავდლო. ჩვენ ნაუბარი, შვილო, აღარ-  
ცრაისად არ არი გამოსადეგი, არც არა ყურდასაგდუა.

აბა, ი უწინა ამ ფშავის კევსა, შვილო, ბევრ ცოდვა-  
ბრაღი ბრუნავდის, ჩვენ საქონისავანი იყვნიანი ე მთა-მთისყელ-  
ნი ვადათელილნი, ჩვენის ცრემლით იყვის მორწყული ე ახუ-  
ნის გორი. ურჯულოთავანი ვიყნოდით ვაძეკებულნი, კაცნი-სა-  
ქონიანად წაგვასხიანი ხანდიხანა...

მაშინის ბაღდადავ ვიყავ, თოთხმეტ-ხუთმეტის წლისამ-  
ცას ვყოფილიყავ, მეტისი კი არ ვიქნებოდი, ჯუყუყუ რაიმ  
დაიწყეს და მამკვივდენ, პირში მაშინავ თიკვ რაიმ ჩამიდვეს...

**ფრაგმენტები:**

- აი, ექ რო ლექსი თქვიან ბიჭებმა, ის დაიჭირის და დაწერის იმან, ჩაწერის, რომელნიც კაი ლექსი იყვის.
- ნეტავი ერთხელ კიდნაო ის ფშავ-კვესურეთის კლდეებისთვის შამახედებინაო.
- ჩემი შვილის მამნათლაკი იყო ვაჟა, ძალიან მიჩნეული ვიყვენით ერთმანეთში.
- აი, გვიბაი გადსთიბს და ადხვეტოდი.
- წავიდი, ავხვეტოდი და თივა ავაგოდი...

**მთიულური**

**ფუტკარი:**

ფუტკართვინ წინათ იცოდნენ ხოკრები. ხოკერი აი ესეთი მგრავალი რამ არი და თავზედაც სარქველებ აქვის შამოკერებულნი და ბოლოზნდაც.

წავა მთაში ფუტკარი და მაქვის და შავალის აქედამა. ეხლა აშიკებ ვიცით. ერთ აშიკში ფუთ-ნახევარი თაფლი ამოა, თუ კარგ აშიკრა.

ზამთარი როა და თოვლი მუალის, უნა სახში მოიტანოთ ფუტკარი, კარებები უნა აუღესოთ. შიგ თავი სარჩო აქვთ და შჭამენ, ზამთარში თავად არ მუშოობენ. როცა თოვლი აღგება... დაიწყებს ფუტკარი მუშოობას.

**ფრაგმენტები:**

- ჩონი მეცხორული ზღაპარი თქვენ რაისთვი დაგითრწლოთ?
- სახელი ვისმე ექვივნებოდა.
- ოხშამი გოჭუ სახში.
- ზამთარში დაიჯოცებიანკე.
- ვაჭმით, აბა, რას ვიქამდით?

- ფეკებილა დამისივლის.
- ნუ შჭამ, გავნია...

## გულამაყრული

### ამინდი

ნების წვიმაა მაშინ, როცა ცოტა წვიმს, ნებისა რა! – უუუუნები არა ვიყოდით რა აქა. ნამს გაუშობს ზოგჯერ. სახვეტალი არ იხვეტისკე. ნამი გაუშვისკე. სანამ არ მოშრება, არ იხვეტება. ნიავლორი როცა მუა, კეეებს დაღვლეჯს. მოკდა ერთხელ, საარაყე ქობი მქონდა, უნდა გამამეხადნა, მავლო ნიავლორმა, სუ წაილო ქობი, ბოჭკა... ეხლა დამალულია ისა, დაიკარგა სულა. სიამოვნობის წვიმა, ნების წვიმა ჭირნახულს უკდება, საფარცხავს წინავ იცოდინ, თიკანი დაკვლითკე, სამხვთო ვქნითკე ხალხმა, სოფელმა, რო ელია არ გაწკრესო. ეხლა არ კოცენ არც საკლავებსა.

### ფრაგმენტები:

- მამავ, დაუთოლეუ მავათ რამე, მეძცხვარე ხარ.
- ფასანაურში მიხლ? მერე წაოლ.
- წყალში ქომოთ ვერ გავალის. ზეით კი გავალის კაცი.
- არ გეელება ეს?
- შარშან იყვისკე და წელს აღარ არი.
- აქ ბატარაი სახლა იყო...

## მონეშრი

### აბელი და თუთუნი

აბელს ხე იკეთებსკე. მერე ძროხის ძწვირეჩი, ჯინჭარჩი-ვა, ნაცარჩივა მოვხარშითკე, ვერე კოროცისოლენა ხარშვაი კი

უნდა, მზეზე გაფენთკე, მეძრენის მოხარშულ აბელს ღავჭუენამთ.

თუთუნის მარცვალს ნაცარჩი აღვრევთ და მოვაპნევთ.

თუთუნის ფოთოლი რო შეეკრიფათ, ამათ იმ ღღეს ღეე-მალათ დაბლა, უნდა კი შეეტანათ მალლა. კრამიტმა ძალიან გაახმის თუთუნი.

### **ფრაგმენტები:**

– ცდოს გახაა, ას ექვს წელჩია ახლა ისა, იმან არაფერი ვიამბა?

– ცხო იქიველი კაცი არვინ ღნახე?

– რატომ ჩავრავ, შენ, კაცო, მაგ კაცს, მიეცი თავის ფიცარი!

– მე არ ვჩავრი, მავრამ ახლა არ მაქუ.

– ახალგაზრდამ თუ რაიმე მაიტანას, მოხუცმა მაიჭმარას.

## **თუშური**

### **დიკლოს წაკდენის ამბავი**

ზამთარ ყოფილიყუ, წელწლობად. ღამ სოფელ ჯარში ყოფილიყუ. ერთ ღიაცც გარეთ გამოსრულიყუ, ხალხისად ეთქვ შინ შესრულს: – ემანდავ ფეკის ჭყრიალ მოღისავ თოვლზედავ.

გამქსხედ, ცხვათაც ენახ, რომ დიდობის ჯარ შემოსრულიყუ სოფელში. რაცსალ იქმოდეს, ცრქმ ერთ სახლში გამავრებულიყუ მთელ სოფელრ.

ვარღიზე გამოხქცევიყო-ღ' ციხეში შეღვარღნილიყუ, ოთხ ცხვანიც შეხყოლიყენეს ვარღიზეს. ჯარ დასცემიყუ მთელ სოფელს. გათენებამდინას ვარღიზეს შვიდ მქსკლ...

**ფრაგმენტები:**

- ღთისო, დაქ გოხებშიგ რო ნაფუძრები, ეგ როდინდე-ლი?
- ეგ უღერაყ ხნისაი, ბიჭუ, უღერაყ ხნისაი.
- ვინ ცრელუ ჩემ მათრაკივ?
- იგეთ წელ არ გავიღისავ, რომ დიდონ ორ-სამჯერ არ ჩამეცტანიანავ ხისოსავ...

**მისს ური**

**გადმოცემები**

ძველებისგან გამიგონია, როდცა ქართველებ ათათრამდნენ, გახურებულ თას აღვამდნენ თავზეო, ან უნდა მიელო მაჰმადი, ან უნდა მაქეკდარიყოო.

თათრობის ღროს ქართველი გლეხები თათრი ცხენს რო აჭმევდნენ, ცხენი პატრონი გადასახად ახლეინაძღა: ჩემი ცხენის კბილის ქირა მომეცით, რო თქვენი ქერი დაქბაო. ამას თათრულად დიშქირას ეძახდნენ.

ერთხელ, დილით, არაღს თათრები დასცემიან და საქონელი გაურეკიათ. აქ ერთი ფალავანი კაცი ყოფილა, სახელათ – გიქრო აფრიამაშვილი. ძმაც ძრავლი ჰყოლია, პეტეე, იმათზე იტყოდნენ ხოლმე: გაღმა რო ბადებია, იმ ალაგ როდცა ტყე ყოფილა, იქ მუშაობდნენ ეს ძმებიო. ქანჩს მოსდემდნენ და დიდვრიან-დიდვრიან ხიებს ძირიანათ გლეჯდნენო...

**ფრაგმენტები:**

- იმ ქალს უთხრობია, რო...
- თხიები შესულან ყანაჩი.
- მეძრე ღრუბელს მიმართა, რო ქალიშვილი მამეციო.
- რამდენიც რომა კაცმა იკუნტოს, რაც არი, ის ნაქნას, ვერ გადააბიჯამს.



- მოაკვლინა კვიცი, გადააჭრევია ზე.
- ერთი მებაღური ჰყამდა შემოჩენილი.

## გ. ავას ური

### გმირი დედის ნაამბობი

ოთხმოზდაცხრა წლისა ვარ, თერთმეტი შული მყამ: ორი ქალი და ცხრა შული გმირი დედის ორდელი მამცეს.

ძველათ ოზდახუთი სული ხიზანი ვიყავით სახში. როდცა რო თათარი აიყარა გოკიოდან, ერთი უძფროსი შული იქ ჩასახლა ჩემმა ქმარმა, ერთიც ტამბოლში გაგზავნა საღვდელთ. მალე ჩამოვიდა და აქ ხელობანი შევიდა. მასწავლებელი იყო. შენსეეფ პოვეტი იყო, წერებდა. სხვა შულებიც აქეთ-იქით გლეხობანი არიან. სამი შული გურიანი იყო, ერთი დაიკარქა. ერთი ნაბოლარი შვილი მყამ აქ, სოფელჩი. ერთი შულიც ასპინძაში მყამ. მეტი თამალი აღარა მაქ...

### ფრაგმენტები:

- დილით მზე არ ნა იყვეს ამოსული, როდცა რო მინდორში მივდივართ.
- მერე ებნევა, რო: ერთად შეჰბერდითო...
- ჩვენ ოთხი ძმანი ვართ.
- ნახეთ, რას ლაპარაკობენო.
- ის ხენწიფეს ყამდა ჯარში...
- ეჰ რა დავმართიაო, რო აღიონ დილაზე მამადექითო...
- ქალო, ხანჯალი მამიტანე, რაჰ ფიქროძო...

## იჰმრული

### მოხუცის ნაამბობი

მახსოვს, ახლა რო სამტრედიას, იქინე ტყის მეტი აფერი არ იყო. ტყე იყო მარტვე და შით ნადირიც იყო ბლომათ.

მარა, ერთხელ დეიწყენ ლაპარიკი, რო აქანე კინისგ ზაი უნდა გეიყვანოსენ და თბილის და ფოთს უნდა შოუერთოსენ, ხალხს უკვირდენ ძან, რაფერ გააკეთებენო კინისგ ზას... დეიწყენ მუშაობა, ბევერი ხალხი მუშაობდენ, ტყეეფს ჩეხდენ...

**ფრაგმენტები:**

- ზამხული ძალიანი ადრე დეიწყო წროულს.
- ჩვენი ეზო თხმელაეფშია და საურცხოვო სანახავი იყო...
- ქე გეცოდინება შენ, ვო...
- პეტერე როცხა იყო, ძიძასთან იყო...
- წამოსულარიენ მარტვილის ეკლესიიდეგან და მისულარიენ ქუთიში. იქინე დუორიგებიანყე ყველეზა მენდლები...
- ი გოვოს ი ბიჭი ნაყვარება...

(ქვემოიმერეთი)

**რაჭული**

**სადღევრბელოებიდან**

რამდენი დღე თქვენ ფეხი აქ არ შემოგიდგამთ, იმდენი დღე იქნა, შვილო, თქვენი თაუკაც კარქათ და ჩემი მონაგარიც... დედებმა გიცოცხლოსყე, გიცოცხლოსყე ძმებმა, ოთხმოცი წლის თქვენც გამხთარიყოთ. ქვეც გეპეროსყე, ქვეც გეწეროსყე...

– კაი ქმები შეგხლომოდენყე, როგორ თქვენ გულ გახაროდესყე. მოქცესყე ჯანი მთელი... მეიყარეთ ჩემხელათ, იყავით კარქათ...

**ფრაგმენტები:**

- ჩემი და პატარუკა ამხელუკა იყო. ცხვარუკა გვინდაო, ძროხუკა არა მყავს. წყალუკა უნდა მოვიტანო...
- მოდი-თქვა. მე არ ვტყუი, ის ტყუა-თქვა...

– ქვე გვეშინოდა. ქვე შევიწუხებიანო... ბიჭი ღვეღვენებათ მათ, იმან აძლერათ... რა უნდაყე ამათ?

(ზემო რაჭა)

## ლექს უმური

### ნადელის გადახდა

ბატონყმობა რო გადავარდა, მერე ყმები იყონ და ნადელს იხდიდენ. ბატონს მიუტანდენ ნადელს. ჩხუტელები ხოლია ამ ჩვენ ბატონს. ხარებით გამეუპყარებოდენ და ღვინოებს უწიკავდენ, მეიტანდენ აქანე, დაშინჯავდენ ღვინოს, თუ მაგარი არ იქნებოდა, დანას შჩხუტავდა და ღლოუქკევდა: წადი და კაი ღვინო მომიტანეო...

### ფრაგმენტები:

- პეტრე ხვთემოდა. პეტერას ქე ისტავლიდა.
- ყველაფერი მტკივა. ყველაფერი ხონებოა.
- კაი მორება აძლებიფეს.
- პური ნასუქება მიწას. ის ნაპარავა, ისენი ნაპარავლარიენ.
- მონატანლარიენ ღვინოეფს... ორშაფათამდი არ იქნება, აქნობამდი ვაძლო.
- აქანეც ასეა, იქინეც.
- მასტავლებლები სკოლაში დავტოვეყე...

## გურიული

### აჩაბაჩაი

მე ვარ აჩაბაჩაი. ქორწილი მაქ რაცხა პაწაი, კიდევაც მეწვიე და კიდევაც მომიტანე რაცხა პაწაი.

გელმა ძროხა მუეყვანა, ტურამ თხაი მუეყვანა, მელამ ქათამი მუეყვანა, ყვავმა თხილი მუეტანა, ჩხიკვმა ნიგოზი მუ-

უტანა, ქორმა ჭუჭულა მუუყვანა... ყორიფელი მუუტანეს ამ აჩაბახას.

მერე აჩაბახამ წუუსია ერთქამეთის მომრევი ერთქამეთ და ღარჩა მას ქონება თავმოყრილი... ძროხა ბეური ხავდა, ყორიფელი ბეური ქონდა...

### **ფრაგმენტები:**

- ჩვენ სადღენძელო ძალიან კაი ვიცით.
- აქირო ხალხი მუა, უხარიენ...
- რაცხა მელქისე და ილაკრიე დუუბარებიენ.
- ტყემალი მორეკილი მაქ, უნდა წიელენ, ჩიებარებიენ.
- ისთე დემეპნა აი სინწრით მონაკარკლავი ტყემალი, რო ვერაფლობაში ვერ მუუყარე თავი.

(ქვემო გურული)

## **აჭარული**

### **ნესრეთი ხოჯა**

ნესრეთი ხოჯამ ევდა ხეზე და იმ ტანის ჭრა დეიწყო, რომელცხაზე თვითან იღვა. გეძარა ეთმა კაცმა და შამუძახა:

– ხოჯავ, ჰა ჭრი ტან, ჩამუარღებივო.

არ დუუჯერა ნესრეთი ხოჯამ. – მე ნა მოვჭრა ისო.

მოჭრის ხის ტან და თანაც ჩამუარღება თურმი. ახლა ხოჯა შამუბრუნდება ნგ ზავრ და დუუწყევს ლანძღვას: ჰელბეთ შენ იცოდი, რუძე მეწნდა ჩამუარდნილიყავ... შენ უცვილვებლათ იპიც იცი, რამდენ ხანდა ვიცოცხლო კიდევენო...

### **ფრაგმენტები:**

- დიდი ციცაჲ და გენილი თუთუნში წევდენ დილასვედ.
- ჰიდან მოდიხარ, ჭო, ამ დილაჲ?
- თუ რამე შიძიძლია, თქვი, ძიავ, არ დივიშლი.

- მოდი სახლში და პატევს გეცემი, რაც გინდა, მთხუე, არ დაგიშლი,
- რაფერი კაცი ხარ, ჭო!..

(ზემო აჭარული)

## სამხრული\*

### ქოროლის ექია

ჰასან ფაშა იყო სილისტრას. იმან ემრი ქნა, თელაღს დააძახნია: „ვინცხას თუ შეიძლება, წუჟდეს ჩამლიბელში, ქოროლის ცხენი მომიყვანოს, მე ჩემ დას მივსცემ“. მეძრე ერთმა კაცმა ქელიღლანმა: „მე წავალ და მეუყვან ცხენს, თუ მომცემს თავის დას“. დუუძახა ჰასან ფაშამა ქელოღლანი. მიიყვანა მასთან: „ეს კაცები შაადი იყვენ, ე ბეგები, ე ფაშები: მე უნდა მოგცე და შენ, თუ მეიყვანე ცხენი“...

#### **ფრაგმენტები:**

- ამას ჳევი ქვია, უკან ჳევი.
- პაწად ზროხა – დეკეუღლი, სულ პაწად – ხბო.
- პაშტა ხანია, პაშტად დათვები იყო.
- უგულო თაფლი არი გოლოუმდნარი, ცეცხლ-დოუნახ-ველი.
- ბევრ ინადირებენ, დათვ-მათვ ბევრ მოკლვენ, ყურ-დღელ მოკლვენ.
- დოს მოიდულებ, ბეზში გადაასხამ, გეძწურვის...

---

\* რამდენადაც ჩვენ მიერ გამოყენებული ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიაში იმერხეული მეტყველების ნიმუშებია წარმოდგენილი, ჩვენი სქემის შესაბამისად სამხრულ დიალექტებს (შავშურს, კლარჯულსა და ტაოურს) ცალცალკე ვერ წარმოვადგენთ აძვერად...

\* \* \*

დავასრულეთ მოგზაურობა ქართულ ენობრივ სივრცეში; თვალი შევაღვლეთ ყველა კუთხის ქართულს...

გვანსოვს ალბათ, ენობრივ საკითხზე აკაკი წერეთელთან პოლემიკის დროს ვაჟა-ფშაველამ თქვა: „**მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისაო**“.

ამით ვაჟას იმის თქმა სურდა, რომ ყველა კილო ერთნაირად ძვირფასია ქართველი კაცისათვის და ერთნაირად მნიშვნელოვანი ქართული ენისათვის. არც უპირატესობა უნდა მიენიჭოს რომელიმე მათგანს სხვასთან შედარებით და არც მისი როლი უნდა დავამციროთ. უნდა ვირწმუნოთ, რომ მრავალფეროვნება, მრავალსახეობრიობა ქართული მეტყველებისა ეროვნული სიმდიდრეა. ამ სიმდიდრეს გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა და შესწავლა სჭირდება...

## ბოლოთქმა

რა არის ქართული ენა?

ამდენი ვისაუბრეთ, მაგრამ პოეტური განმარტება უფრო ზუსტი და შთამბეჭდავია:

ქართული – „ენად შექმული და კურთხეული“.

ქართული – „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“.

ქართული – „ქართველთ რწმენაა!...“

ქართული – „ჭირთა ჩვენთა ტკბილი მალამო“...

ქართული – „ენა – ბედისწერა!...“

და კიდევ რამდენი... ჩვენც ამ პოეტური ფორმულების „ამოსხნა“ ვცადეთ... ისიც გავიხსენოთ, რუსთველის ხმა რომ მოესმა პოეტს კატამონთან:

„შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთანო!“ – ქართულ ენას გულისხმობდა რუსთველი... ენაა ის, რაც სამარის კარამდე მიჰყვამ პოეტს და იქაც არ ეთმობოდა...

აი, ეს არის ქართული ენა!...

## შინაარსი

წინათქმა .....	3
„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ“ .....	5
„ქართული ქართველთ რწმენა“ .....	12
სამი ღვთაებრივი საუნჯე და ოთხი ბურჯი ეროვნებისა .....	24
ქართული იბერიულ-კავკასიური ენაა .....	34
ქართული ქართველური ენაა .....	41
ქართული სამწერლობო ენაა .....	60
ქართული სახელმწიფო ენაა .....	83
გზა ქართული სალიტერატურო ენისა .....	101
„მე არც ერთ კილოს არ ვწუნობთ“, ანუ დროსა და სივრცეში წარმოქმნილი ნაირსახეობანი ქართული ენისა .....	125
ბოლოთქმა .....	150